

29
174

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ԳՐԱԴԱՐԱՆ

ՄԱՍԻՆԻՍԻ ՊԵՆՏԵՆՆԵ



724

84

1974



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

162

№ 1 (77)

იანვარი — თებერვალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი	3
ქართული თეატრის დღე	3
თეატრალურ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა	5
ლიბრეტი ალექსიძე — დაუვიწყარი შეხვედრები	6

საქართველოს თეატრალურ ავითარება

რუბენ ჩეთოი — ცხინვალის ოსური დასის სპექტაკლი	9
ნანა კობეშვიძე — „ბალადა კლასში დარჩენილზე“	10
ჯაბა იოსელიანი — „რაიკომის მდივანი“ ქუთაისის თეატრის სცენაზე	12
თელაველა „საბრალდებო დასვენება“	13
სპექტაკლის მონაწილენი გაზეთის რედაქციაში	14
გამოფენის დახურვა	15
მურად ხინიაძე — ათი დღე ბულგარეთში	16
„ძველი ვოდვილებს“ მე-200 წარმოდგენა	19
ალექსანდრე ესკინი — მეიერჰოლდი დგამს კანტატას	20

ჩვენი იუბილარები

გუგული ბუხნიკაშვილი — მიხეილ ჭიატურელი თეატრში	22
ნათელა არველაძე — სალომე ყანჩელი	25
არჩილ დავითიანი — საქმენმან შენმან გამოგაჩინოს	28
გურგენ ჩანიბეკიანის საღამო	30

სახალხო თეატრები

ქეთევან ხუციშვილი — კახეთის სახალხო თეატრების დათვალიერება	31
მიხეილ იარალი — პირველი ნაბიჯები	32
ი. თოდუა — კარგი ტრადიცია გრძელდება	35
გიორგი მარკოზაშვილი — შეხვედრები სესილია თაყაიშვილთან	37
ევგენი ბართაია — ორ დიდ ხელოვანთან	38
გივი ჭაოშვილი — ალ ყაზბეგის ერთი ლექსის ნამდვილი ადრესატი	40

ჩვენი კულტივატორები

კარლო კალანდაძე — ჩემი არქივიდან	41
--	----

გამოთხოვნილებები

ლევან მირცხულავა — მეგობრის გახსენება	42
გივი ჭიჭინაძე — სინმარი (ლექსი)	43
ნელი ჩაჩავა — ფატი გოკიელი	43
ელენე შაფათავა	44
გენო ქელბაქიანი	45

რედაქტორი — ენაქია ქარელიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი — გურამ ბათიაშვილი

**სარედაქციო
კოლეგია:**

ნოდარ გურაბანიძე, ოთარ ეგაძე, ვასილ კიკნაძე,
ბაღრი კობახიძე, ლილი ლომთათიძე, გიორგი შავენიძე,
ვახტანგ ქარტიანი, ნინო შავენიძე,
გიორგი ციციშვილი, დიმიტრი ჯანელიძე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის კლენუმი

18 თებერვალს საქართველოს თეატრალური საზოგადოების აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ჩატარდა ამავე საზოგადოების გამგეობის მე-7 მოწვევის მე-4 პლენუმი.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტმა პროფესორმა დიმიტრი ალექსიძემ.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა საკითხი: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურა კომიტეტის 1973 წლის 27 ნოემბრის დადგენილება რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრების რეპერტუარის შესახებ და თეატრალური საზოგადოების ამოცანებზე“. მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **ბ. გურაბანიძე** და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე **დ. ალექსიძე**.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **გ. ანჯაფარიძემ**, **ზ. ფალიაშვილის** სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა **პროფ. ირ. ბერიძემ**, **ი. ჭავჭავაძის** სახ. ბათუმის სახ. თეატრის დირექტორმა, საქართველოს თეატრალური სა-

ზოგადოების აქარის განყოფილების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **მ. ხინიკაძემ**, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **დ. ჭეიშვილმა**, მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **თ. მაღალაშვილმა**, მარჯანიშვილის სახ. თეატრის სარეჟისორო კოლეგიის წევრმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **გ. ლორთქიფანიძემ**, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ა. ვასაძემ**, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა **ბ. უდენტმა**, მარჯანიშვილის სახ. თეატრის დირექტორმა **რ. თვარაძემ**, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **არ. ჩხარტიშვილმა**, დრამატურგმა **ი. ვაკელმა**, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **დ. მჭედლიძემ**, რესპუბლიკის დამს. არტისტმა **დ. ქუთათელაძემ** და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა **ბ. კობახიძემ**.

დასასრულ პლენუმმა მიიღო დადგენილება. პლენუმის დაწერილებით ანგარიში გამოქვეყნდება „თეატრალური მოამბის“ მორიგ ნომერში.

ქართული თეატრის დღე

მიმდინარე წელს თეატრის დღე — 14 იანვარი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ფართოდ და რაგანიზებულად ჩაატარა. ამ დღეს თბილისისა და პერიფერიის სახელმწიფო თეატრებმა თავისი საუკეთესო სპექტაკლები მიუძღვნეს და მყოფრებულთა ფართო აქტივი მიიზიდეს. თბილისის ქუჩებში და თეატრის შენობებთან გამოკრულმა სავანგებოდ დაბეჭდილმა ფრაღმა აფიშებმა კი დედაქალაქში ნამდვილი საზეიმო განწყობილება შექმნა და იმ ღონისძიებებმა, რომლებსაც თეატრალური საზოგადოება აკავი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ატარებდა, ფართო საზოგადოებრიობა მიიზიდეს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი სიცოცხლე მსახიობის სახლს თითქმის არ ახსოვს. აქ იყვნენ მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, თბილისისა და რუს-

თავის თეატრების მსახიობები, მყოფრებულთა აქტივი. ისინი ერთმანეთს გულთბილად ზედბოდნენ და ცალკეულ სპექტაკლებზე თავის აზრს გულწრფელად უზიარებდნენ.

მსახიობის სახლი და ეზო ლამაზად იყო გაფორმებული ფერადი პლაკატებით, ფოიეში გამოკრული იყო საქართველოს სახალხო მხატვრების ელ. ახვლედიანისა და ს. ქობულაძის, მხატვრების — მ. მაღალაშვილის, გ. გუნიას, შ. ჭეიშვილის, ა. სლოვიანის, თ. ქოჩიაძის, ი. ჩიკვიანიძის, მ. მურვანიძის ესკიზები, ხოლო სენსა და მყოფრებულთა დარბაზს ამშვენებდა მხატვარ ნ. ივანტოვის მიერ ძველი ქართული თეატრის თემაზე შექმნილი დეკორაციული პანო, რაც მეტად მიმზიდველ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

დღის ბირველ საათზე მსახიობის სახლის მცირე დარბაზში შედგა საქართველოს თეატრა-



ლური საზოგადოებისა და თეატრალური ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ალექსიძემ. სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „საქართველოს კვ-ის IX, X, XI პლენუმების გადაწყვეტილებები და რესპუბლიკის თეატრების ამოცანები“ — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. ევაძის; „ტრაგედიის ძველი ქართული განსაზღვრა“ — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ დ. ჯანელიძის; „რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის აღზრდილნი საქართველოს თეატრებში“ — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ე. გუგუშვილის; „დღევანდელი ქართული თეატრი საქართველოს საზღვრებს გარეთ“ — თეატრმცოდნე ია თუხარეღის.

8 საათზე მყურებელთა დიდ დარბაზში ჩატარდა საზეიმო საღამო და მხატვრული განყოფილება, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო. საღამო ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ალექსიძემ. მან ილაპარაკა ქართული თეატრის განვითარების გზებზე, ქართული თეატრის დღის 14 იანვრის მნიშვნელობაზე, დღევანდელი ქართული თეატრის წარმატებებზე და იმ დიდ შემოქმედებით ამოცანებზე, რასაც მომავალში ისახავს საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

მხატვრულ განყოფილებაში ნაჩვენები იყო სცენაზე თბილისის თეატრების სპექტაკლებიდან: რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა წარმოადგინა სცენა სპექტაკლიდან — დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები გ. გეგეჭორი, გ. საღარაძე, რ. ჩხიკვაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ნ. მგალობლიშვილი, გ. თალაკვაძე, კ. საკანდელიძე, მსახიობები — ზ. ბოცვაძე, ა. მახარაძე, გ. ჩხარტიშვილი, დ. უფლისაშვილი, ს. აბრამიშვილი.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი მყურებლის წინაშე წარსდგა ნაწყვეტით სპექტაკლიდან — კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის კ. მახარაძის, საქართველოს სსრ დამ-

სახურებული არტისტების ს. ჭიაურელის, მ. მახვილაძის, მსახიობების ა. მიქაძისა და ჯ. მონიაგას მონაწილეობით.

რუსთავის თეატრმა წარმოადგინა სცენა სპექტაკლიდან „კომედის ხელოვნება“, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები თ. მისიურაძე, ლ. ანათაძე და მსახიობი ჯ. გაგნიძე.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტების, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ლ. ჭყონიას და მსახიობ ჯ. მდიენის მიერ შესრულებული იქნა ნაწყვეტი ოპერა „ჯამაზუბი“-დან, აგრეთვე საბალეტო ნომრები ნ. არბელაძის, ც. ბალანჩივაძის, პ. ჩხიკვიშვილის, ს. ტერესჩენკოს და სხვათა მონაწილეობით.

მუსიკალური კომედიის გ. აბაშიძის სახ. თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ნაწყვეტი სპექტაკლიდან — „ჯერ დახოცნენ, მერე იჭორწინეს“, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები თ. ქუთათელაძე, თ. ბახტაძე, ე. გურაშვილი და მსახიობები ე. ჩხეველი და თ. კოდანიშვილი. მოზარდმაყურებელთა ქართულმა თეატრმა — სცენა გ. ნახუციანიშვილის „ჰინკრაქადან“ მსახიობების გ. მახათაძის და ნ. ბერიძის მონაწილეობით.

მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გრიბოედოვის სახელობის სახ. თეატრისა და თოჯინების სახ. ქართული თეატრის კოლექტივებმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა გ. საღარაძემ, ნ. შრეგვაძემ და თ. ჩანტლაძემ, მსახიობებმა მ. ბიბილიშვილმა, ელ. ასლამაზიშვილმა, კ. კავსაძემ, ნ. ჭულელმა, გ. ხარაბაძემ, მ. გორგოლაძემ და სხვებმა.

ქართული თეატრის დღის საზეიმო საღამოს დაესწრო სომხეთის თეატრალური საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების თავმჯდომარის, სსრკ სახალხო არტისტის პ. კაკლანიანის მეთაურობით. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოსა და სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა დ. მალიანმა.

საღამო მიჰყავდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ბ. კობახიძეს.

ამ დღესთან დაკავშირებით თეატრალურმა საზოგადოებამ გამოსცა ლამაზად ილუსტრირებული ვაზეთი „ქართული თეატრის დღე“.



თეატრალური მხატვრობის ნაშრომების გამოყენება

წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ქართული თეატრის დღეს 14 იანვარს მიუძღვნა რესპუბლიკის თეატრალური მხატვრობის ნაშრომების გამოყენება (1972-1973 წლის სეზონის შედეგები).

გამოყენებაში მონაწილეობა მიიღო 28 თეატრალურმა მხატვარმა. მათ შორის არიან აფხაზეთის დამსახურებული მხატვარი ევგენი კოტლიაროვი — სოხუმის ქანაზის სახელმწიფო თეატრი, ჭყვიანთა ფანჯარა — ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი გიორგი ბერეჟიკაძე — ქუთაისის თიხისების თეატრი, შმაგი შევლაშვილი — აკ. წერეთლის სახ. ჭიათურის სახელმწიფო თეატრი, ავთანდილ გოგოლაძე — მესხეთის სახელმწიფო თეატრი, ვიქტორ ცერაძე და როლანდ ჩიხიძე — კ. ხე-თაგუროვის სახ. ცხინვალის სახელმწიფო თეატრი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი შოთა ხუციშვილი — გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრი.

გამოყენებაზე წარმოდგენილი ნაშრომები ცხადყოფდა ქართველი თეატრალური მხატვრობის დიდ ნიჭიერებას, მათი შემოქმედებითი ჰორიზონტის სიფართოვეს. ჩვენი მხატვრობის ნიჭიერება გასცდა საქართველოს ფარგლებს. ამ მხრივ გამოყენებაზე ყურადღებას იპყრობს კოსტუმების ესკიზები ოპერისათვის ოთ. თაქთაქიშვილის „მინდია“ მინსკის დიდ საოპერო თეატრის სცენაზე (მხატვარი მ. მალაზონი), დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისათვის ო. იოსელიანის, „სანამ ურემი გადაბრუნდება“ — მოსკოვის გოგოლის სახ. თეატრში და ნ. ღუმბაძის „ნუ გეშინია, დედა!“ მოსკოვის მალაია ბრონიაის თეატრში (საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრები ოლეგ ქოჩიაძე, ალექსანდრე სლოვინსკი და იური ჩიკვაძე), დეკორაციის ესკიზები ნ. ღუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ რიგის რუსულ მოზარდმეყვრებელთა თეატრში (საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი გივი ცერაძე), „ნუ გეშინია, დედა!“ ბაქოს სახელმწიფო დრამატულ თეატრში (საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი დ. თავაძე), ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარბრთუენის საოპერო თეატრში და „მინდია“ ერენის სპენდიაროვის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (მხატვარი თეიმურაზ სუშმათაშვილი).

გამოყენებაზე მნახველის ყურადღებას იპყრობს ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში დადგმული

სპექტაკლების დეკორაციისა და კოსტუმის ესკიზები — „მეფე ლიონი“ რუსთავის სახელმწიფო თეატრში და „უამთა სიყვარული“ მარტანშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (მხატვარი გიორგი გუნია), ფარდის ესკიზი ოპერისათვის „ფაუსტი“ და „ჰამლეტი“ დეკორაციისა და კოსტუმის ესკიზები ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო თეატრისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, „უცნაური ბიჭი“ მოზარდმეყვრებელთა ქართულ თეატრში და „უცხო კაცი“ რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (მხატვარი მურაზ მურვანიძე), „მაკბეტი“ კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში (საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ფარნაოზ ლაპიაშვილი), ესკიზები ოპერისთვის „ორესტა“ და ბალეტისათვის „ბერიკობა“ ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო თეატრისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში (მხატვარი ნიკოლოზ ივანტოვი), დეკორაციისა და კოსტუმის ესკიზები სპექტაკლისათვის „ყვარულთა თუთაბერი“ ილ. ჭავჭავაძის სახ. ბათუმის სახელმწიფო თეატრში და დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის „ნაიკაქეძია“ რუსთავის სახელმწიფო თეატრში (მხატვარი თამაზ ხუციშვილი). „ბრალდების მოწმე“ და „ივანოვი“ გრიბოედოვის სახ. რუსულ დრამატულ თეატრში (მხატვარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ევგენია დონცოვა), დეკორაციის ესკიზები ბალეტისათვის პროკოფიევის „კლასიკური სიმფონია“ და შობის ვარიაციები მოტარტის თემაზე ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო თეატრისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში (მხატვარი ინა ინაშვილი) და სხვ.

გამოყენებაზე წარმოდგენილია აგრეთვე პრემიერული სპექტაკლების ესკიზები, რომლებიც ქართულ თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნების მაღალ დონეზე მეტყველებს. ასეთებია: დეკორაციისა და კოსტუმის ესკიზები სპექტაკლისათვის „მთვარის დაბნელების დამეს“ მესხეთის სახელმწიფო თეატრი (საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ფარნაოზ ლაპიაშვილი), დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისათვის „აბანო“ რუსთავის სახელმწიფო თეატრში (საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი დ. თაყაიშვილი), ჩეხური პიესების ფესტივალზე საკავშირო კულტურის სამინისტროს სივლით დავიდლოვული მხატვრის შ. ხუციშვილის დეკორაციის ესკიზები სპექტაკლისათვის კ. ჩაპეის „თეთრი სენა“ და მხატვარ მამია მალაზონის მაკეტი რუსთავის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლისათვის ნ. ღუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“.

დაპინდარი მხეველარი

ლიმიტრი ალექსიძე

ალექსანდრე კორნეიჩუკი გავიცანი თბილისში 1935 წელს. მაშინ წითელი არმიის თეატრის რეჟისორი ვიყავი. ამ თეატრში დავდგი ჩემი პირველი სადიპლომო სპექტაკლი და ის-ის იყო ვიწყებდი დამოუკიდებელ ცხოვრებას ხელოვნებაში. ა. კორნეიჩუკი ჩამოვიდა თავისი პიესის „პლატონ კრეჩეტის“ პრემიერაზე, რომელსაც რუსთაველის თეატრში შ. აღსაბაძე დგამდა. სპექტაკლის მხატვარი იყო საყოველთაოდ ცნობილი ირაკლი გამრეკელი. საქართველოს ლიტერატურული და თეატრალური საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა სპექტაკლის პრემიერას, რადგან პარალელურად მიქსა მოსკოვში, ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში იდგმებოდა და პოპულარობით სარგებლობდა. ამ სპექტაკლს ჩვენთანაც დიდი წარმატება ხვდა წილად. კრეჩეტის როლი ბრწყინვალედ შეასრულა აკაკი ხორავამ, ხოლო ბერესტისა — აკაკი ვასაძემ. კორნეიჩუკმა ქართველი მაცურებლის უდიდესი სიყვარული დაიმსახურა გუშინდელი ამბავით მახსოვს გამხდარა ახალგაზრდა კაცი, სახეზე ბავშვური ღიმილი რომ დასთამაშებდა, მაშინ ოცდაექვს წელზე მეტის არ იქნებოდა. მას თავს დასტრიალებდნენ იმ დროს ცნობილი ქართველი პოეტები, კრიტიკოსები, მხატვრები. იგი ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენელთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

მეგობრები ალერსით საშკოს ეძახდნენ.

შემდგომ წლებში ქართულ თეატრში ასეთივე წარმატებით დაიდგა კორნეიჩუკის „ბოვდან ხმელნიკი“, „ესკადრის დაღუპვა“ და ბევრი სხვა პიესა. ეს კი მისი ტალანტის ნამდვილ აღიარებას ნიშნავდა.

გავიდა წლები. კიევში ცხოვრებისას კორნეიჩუკი მიამბობდა, თუ როგორი სიყვარულით შეხვდნენ მას მოსკოვის სამხატვრო თეატრში, მიამბობდა იმ ალერსსა და ყურადღებაზე, რომელიც ახალგაზრდა დრამატურგის მიმართ გამოიჩინა

თეატრის ერთ-ერთმა დამაარსებელმა გამოჩენილმა რეჟისორმა ალ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ. როგორც რუსთაველის, ასევე სამხატვრო თეატრისათვის კორნეიჩუკის დრამატურგია ერთ-ერთი ახალი ნაბიჯი იყო საბჭოთა რეპერტუარის ათვისების გზაზე, საბჭოთა თემატიკის დამკვიდრებაში.

წლები გადიოდა, კორნეიჩუკი-დრამატურგი იზრდებოდა, ვაჟკაცდებოდა სოციალიზმის ქვეყანასთან, ჩვენს ხალხთან ერთად. მისი შემოქმედება და იდეური წინსვლა განუყოფელია მრავალრიცხოვანი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობისაგან.

კორნეიჩუკის პიესები სიმართლით გვიამბობენ ჩვენი ხალხის შემოქმედებით შრომაზე, საბჭოეთის ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, მის პიესებში ასახება პოეზიურ სოციალიზმის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპები, ისინი ადამიანებს ეხმარებიან თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გადაჭრაში, წარმოგვიდგენენ საბჭოთა ადამიანის ზრდას, სრულყოფილების გზებს უჩვენებდნენ მას.

„კორნეიჩუკის ნაწარმოებთა მთავარი გმირი საბჭოთა ადამიანია. მწერალი ფხიზლად, კვლადაკვალ მისდევდა მის სულიერ ზრდას. უბრალო, რივი საბჭოთა ადამიანებში იგი კომუნისტური მორალისა და ზნეობის ახალ ნიშნებს ხედავდა და პრობაგანდას უწევდა მას“, — წერს ე. ვარუწოვა თავის წიგნში „კორნეიჩუკის დრამატურგია“. სწორედ ამიტომ დაიმსახურეს მისმა პიესებმა საბჭოთა მაცურებლისა და მკითხველის საერთო სიყვარული და პატივისცემა და მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი საბჭოთა თეატრის რეპერტუარში. ამ პიესებმა უდიდესი როლი ითამაშეს საბჭოთა თეატრალური ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მე უბედნიერეს კაცად ვთვლი თავს, რომ მუშაობა მომიხდა მშენიერ უკრაინულ მიწაზე, შვიდი წელი აქტუალად ვმონაწილეობდი სახელგან-



თქმულ ივ. ფრანკოს სახელობის თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. კარპენკო-კარის სახელობის კიევის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში ვამზადებდი რეჟისორთა და მსახიობთა ახალ კადრებს. ფრანკოს სახელობის თეატრის სცენაზე მე განვახორციელე კორნეიჩუკის ორი პიესა: „ხსოვნა გულისა“ და „სიმართლე“. კორნეიჩუკთან შემოქმედებითი შეხვედრები დიდ ადამიანურ სიყვარულსა და მეგობრობაში გადაიზარდა. არასოდეს დამავიწყდება 1969 წლის ზაფხული. ამ ცნობილი მწერლის ახალ პიესაზე ვმუშაობდი. გადავწყვიტეთ ზაფხული ერთად გავგეტარებინა — გვემუშავნა და დაგვესცენა კიდეც. ივლისის თვე იყო, ავგანტომი კი რეპეტიციებზე უნდა დაწყებულიყო. კორნეიჩუკის ავარაკი კიევის ახლოს, პლიუტაში მწვანეში იყო ჩაფლული. ავარაკი ყვავილებს შთაუნთქა, ირგვლივ ხეხული გაეშენებინათ, ჩემი ოჯახით კორნეიჩუკის ავარაკის ახლო, ერთ პატარა სახლში დაგვასხიდა. სწორედ აქ, პლიუტაში წაუკითხა მთელს ჩემს ოჯახს კორნეიჩუკმა „ხსოვნა გულისა“. ბევრ დრამატურგს არ ძალუძს ისე წაიკითხოს თავისი პიესა, როგორც ეს კორნეიჩუკს შეეძლო. იგი კითხულობდა სახირობად, გულში ჩამოვლომად, მოქმედ პირებთან თავის დამოკიდებულებას ამყარებდა. ძალიან ტაქტიურად გაგრძობინებდა მათი ხასიათის ნიშნებს, მძაფრად ქმნიდა და განიცდიდა საჭირო ატმოსფეროს, ამა თუ იმ სცენის განწყობილებას. იგი კითხულობდა წყნარად, ხმას არ აუწევდა, მსმენელები ფრთხილად შეჰყავდა თავისი პიესის გმირთა შინაგან სამყაროში. ა. კორნეიჩუკი ხშირად გვასეირნებდა ხოლმე თავისი კატეგორიით მდინარე დნებრზე. ეს იყო სიხარულით, იუმორით, სუბიუმბით, ლაღობით აღსავსე დღეები. იგი თავის ახალ გმირებზე ჩამოაგდებდა ხოლმე სიტყვას და ისე ლაპარაკობდა მათს შესახებ, როგორც ძალიან ახლობელ, ძვირფას მეგობრებზე. ეს იყო სერიოზული, მღელვარე საუბარი ჩვენს თანამედროვეზე, ჩვენს ქვეყანაზე, საბჭოთა ადამიანების ბედზე. მან ბრწყინვალედ განსაზღვრა „ხსოვნა გულისას“ გმირთა გამჭოლი მოქმედება — „ჩემი ახალი პიესის გმირებმა ტანჯვის გავლით უნდა მიაღწიონ ვარსკვლავებამდე“.

ზე საბჭოთა სახელმწიფოსათვის პირადი კეთილდღეობასაც თმობდნენ! ეს გახდა ჩვენი ადამიანის ძირითადი და წამყვანი თვისება, ჩვენი თანამედროვის გულს თვისება, რომელმაც აიტანა ეპოქის მღელვარებანი და ქარიშხალი. მიზნად დავისახეთ სპექტაკლში ხოტბა შეგვესხა უბრალო, რიგითი თანამედროვისათვის. რომელიც ცხოვრებაში ლენინის პრინციპების მატარებელია. ასე გვესმოდა ჩვენი მომავალი სპექტაკლის ზეამოცანა. კორნეიჩუკთან ურთიერთობა, მასთან სასუბრები დიდად დამეხმარა ფრანკოს სახელობის თეატრში პრაქტიკულ მუშაობაში.

ა. კორნეიჩუკი თეატრში მოვიდა პირველ რეპეტიციავ. მსახიობთა შრომად მიიზიდა, ჩაითრია და უცებ პიესის მოვლენათა თანამონაწილეც გახდა, მან ირწმუნა მსახიობების, გახდა აქტიური, უშუალო მაყურებელი, ეს იყო ჩვენი პირველი დიდი გამარჯვება. კოლექტივში განმტკიცდა თავისი თავისადმი რწმენა.

სპექტაკლი ზემიდა იქცა, დიდი წარმატება გვხვდა წილად! მაყურებელმა ყვავილებით აავსო სცენა, კორნეიჩუკი რამდენიმეჯერ გამოიძახეს სცენაზე. ეს იყო მთელი შემოქმედებითი კოლექტივის წარმატება.

ჩვენ ბედნიერად ვთვლიდით თავს, რომ „ხსოვნა გულისას“ პირველად მოჩვენები ვიყავით და პირველი სიცოცხლე მივანიჭეთ კორნეიჩუკის ამ ახალ პიესას. რომელი ჩვენგანი იფიქრებდა მაშინ, რომ კორნეიჩუკის უკანასკნელ პიესას ვთამაშობდით და იგი მეტს ვეღარ დაწერდა?

1971 წლის 9 მარტს გამოქვეყნდა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება იმის თაობაზე, რომ ტ. გ. შეჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭათ „ხსოვნა გულისას“ ავტორს ა. ე. კორნეიჩუკს, სპექტაკლის დამდგმელს დ. ა. ალექსიძეს, კატერინას როლს შემსრულებელს ი. ს. ტკაჩენკოს, ანტონიო ტერაჩინის როლის შემსრულებელს ე. პ. პონომარენკოს, გალინა პეტროვნას როლის შემსრულებელს პ. ვ. კუტაჩენკოს, მაქსიმ მაქსიმოვიჩის როლის შემსრულებელს მ. ა. ზადენპროვსკის და კირილ სერგეის ძის როლის შემსრულებელს ვ. მ. დალსკის კიევის ივ. ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიურ თეატრში „ხსოვნა

ისინი ხომ მთელი ცხოვრების მანძილ-

გულისას“ დადგმისათვის. ეს იყო ჩვენი შემოქმედებითი შრომის აღმნიშვნელი უდიდესი ჯილდო. ჩვენ ვიყავით მამყინი და ბედნიერნი.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის თეატრის რეპერტუარში შევიტანეთ კორნეიჩუკის „სიმართლე“.

პიესაზე მუშაობა დიდი გატაცებით დავიწყეთ. გვესმოდა, რომ ძალზე რთული და ძნელი ამოცანის წინაშე ვიდექით. კორნეიჩუკის ამ პიესას ხომ დიდი და საინტერესო სცენური ისტორია გააჩნდა. იგი ხომ ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი პიესა იყო. აღექსანდრე ევდოკიმეს-ძე გვიამბობდა ამ პიესის მოსაკოვნი, რევოლუციის სახელობის თეატრში დადგმის თაობაზე. სპექტაკლში ლენინის როლს შტრაუხი თამაშობდა. იმ დროს ვახტანგოვის თეატრის ამზადებდა ნ. პოგოდინის „თოფიან კაცს“, რომელშიც ლენინის როლს შჩუკინი ასრულებდა. ნ. კ. კრუბსკაია „სიმართლის“ გენერალურ რეპეტიციაზე მოვიდა და ზოგიერთი რჩევაც მოგვცაო. კრუბსკაია კმაყოფილი ყოფილა შტრაუხის თამაშით და კორნეიჩუკის პიესისათვის კარგი შეფასება მიუცია.

ჩვენც ვისარგებლეთ კორნეიჩუკის ნაამბობით და ყველაფერი გამოვიყენეთ ჩვენს მუშაობაში. ფრანკოს თეატრში ლენინის როლი ომელჩუკმა შეასრულა.

სპექტაკლში იყო ბევრი საინტერესო აქტიორული მიჯნა. მხატვარმა მირონ კიპრიანიმ ორიგინალურად გადაწყვიტა სპექტაკლის კონსტრუქცია. ასეთი გადაწყვეტა გამომსახველობითი გრაფიკული კომპოზიციის შექმნის საშუალებას იძლეოდა, საშუალებას გვაძლევდა კარვად გვეჩვენებინა სახალხო სცენები, სახიერად გადაგვიწყვიტა კერენსკის გაქცევის სცენა.

1971 წელს საქართველოში რომ დავებრუნდი, მარჯანიშვილის თეატრის ჩაგუდექი სათავეში. ამ თეატრში ჩემი პირველი სპექტაკლი იყო შილერის „დონ კარლოსი“. ამის შემდეგ კი „ხსოვნა გული-სას“ დადგმა გადავწყვიტე. თბილისის დადგმა არავითარ შემთხვევაში არ იყო კიევში განხორციელებული სპექტაკლის მექანიკური განმეორება. თუმცა, სცენური გადაწყვეტა იგივე დავტოვე. ეს სპექტაკლი ვერ წარმომედგინა ისე, თუ არ იქნებოდა ნიჭიერი ლოგოველი მხატვრის მირონ კიპრიანის მხატვრობა და მიროსლავ სკირიკის ჩინებული მუსიკა.

ქართველმა მსახიობებმა დიდი სითბო-თი და გულითადობით, რაღაც აუხსნელი შინაგანი თრთოლვით იმუშავეს ამ სპექტაკლზე. სცენაზე იყვნენ ჩვენი თანამედროვენი, სამი თაობის წარმომადგენლები. ნათელი სახეები შექმნეს სსრკ სახალხო არტისტებმა ვერიკო ანჯაფარაძემ (გალინა სერგეის ასული) და ვასო გოძიაშვილმა (კირილი). ვიდრე რეპეტიციებს დავიწყებდით, კორნეიჩუკი მოვიწყვიტე. იგი ჩამოვიდა ჩვენთან თბილისში. არასოდეს დამავიწყებდა ეს შეხვედრა. მთელი თეატრის კოლექტივი ქართული სიმღერებითა და ყვავილებით შეხვდა მას; ყველაფერი ზვიმურად გამოიყურებოდა. კორნეიჩუკმა წაიკითხა პიესის პირველი მოქმედება უკრაინულ ენაზე. მსახიობები სულგანაბული უსმენდნენ. უკრაინული ენის მუსიკალობამ და კორნეიჩუკის კითხვის მანერამ ყველა მოხიბლა.

მეორე მოქმედება ქართულ ენაზე წაიკითხა ცნობილმა ქართველმა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ, რომელსაც ეკუთვნის პიესის თარგმანი. ყველაფერი ეს ლაპარაკობდა ჩვენი წინაპრების მეგობრობის ღრმა ისტორიულ ფესვებზე. ორი ერის უდიდეს წარმომადგენელთა — ტარას შევჩენკოს და აკაკი წერეთლის მეგობრობაზე, ქართველი ხალხის დიდ ყურადღებაზე ლესია უკრაინკასადმი და უკრაინელი ხალხისას — დავით გურამიშვილისადმი. „ხსოვნა გული-სას“ ახლაც თეატრებით მიდის მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. დარბაზი მუდამ ხალხითაა სავსე. ერთხელ აღექსანდრე ევდოკიმესძემ მითხრა:

— „თუ ხეს ღრმა ფესვები აქვს, ტოტებისა არ უნდა გვეშინოდეს, მას შეუძლია გაიზარდოს, ავიდეს მაღლა, მაღლა, ცის სიღურჯეში, რადგან საიმედო ფესვები აქვს“.

ამ სიტყვებით დავიწყე მე ყურნალ „თეატრში“ ჩემი საუბარი ჩვენს პროფესიაზე, რეჟისურაზე. როგორ სიმაღლეებს აღწევს ზოგჯერ თეატრი, მაგრამ ყოველი აღმაფრენისათვის ღრმა ფესვებია საჭირო. ამ ღრმა ფესვებზე იზრდებოდა და სიმაღლეებს იპყრობდა ა. კორნეიჩუკის დრამატურგია.

რა გულსატკეპნია რომ ასე უდროოდ შეწყდა დიდი ხელოვანისა და სახელმწიფო მოღვაწის სიცოცხლე, რომელიც ესოდენ საჭირო იყო ჩვენთვის.



სხინვალის ოსური დანის სპექტაკლი

რუხან ჩათითი

სამხრეთ ოსეთის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსურმა დასმა მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელა თავისი არსებობის პერიოდში. თეატრმა შირშან იხეიმა მეორეოვ სეზონი. ოსმა მყურებელმა შეიყვარა ნაციონალური კულტურის ეს წმინდათაწმიდა კერა. ცხინვალელი თეატრალური ხელოვნების მოყვარულნი ყოველთვის მოთმენლად ელიან ახალ სპექტაკლს. ამ ბოლო ხანს ცხინვალელმა მყურებელმა ნახა მიხ. გუჩმაზოვის სატირულო პიესა „აიი სიზმრები“. პრემიერის საღამოს დარბაზში ხალხის ტევა არ იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, სპექტაკლის მნახველებს აძვირად მოლოდინი არ გაუმართლდათ, პრემიერიდან უმეყოფილონი დაბრუნდნენ და აი რატომ:

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პიესას გაანია მთელი რიგი სერიოზული ხარვეზებისა და თეატრს მუშაობა უხდებოდა სუსტ დრამატურ-გიულ მასლაზე, შეიძლება კოლექტივის ნამუშევრის საშუალო შეფასება მიეცეს. მსახიობები დამაჯერებლად მოქმედებდნენ სცენაზე. რეალური სახეები დახატეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა კახაშთა ჩოჩიევმა (ყილი), ნინო ჩოჩიევამ (დედა), ლუდმილა გალაგანოვამ (დედეკა), ივანე ჯიგაძევმა (მილიკონერი), ჩრდილო ოსეთის დამსახურებულმა არტისტებმა დავით გაბარაევმა (დაკა), ჯეღა სარებოვმა (ხიდირი).

მდიდარი რეჟისორული ჩანაწერითაა გადაწყვეტილი სპექტაკლის ცალკეული ეპიზოდები: სიზმრის სცენა, დედგვის ურთიერთობა ბავშვებთან და სხვა, მაგრამ ზოგერთი სცენა მეტისმეტად უფერულად გამოიყურება (დაკას ძალიერით აყვება, მილიკონერის აყენები, ხიდირის შემოსვლა დაკას ოჯახში), რაც არსებითად პიესის მიზეზით არის გამოწვეული. დრამატურგიული ნაწარმოების ცალკეული სცენები პრიმიტიულადაა დაწერილი, ნაკლებად ორინობა ავტორის დამოუკიდებელი შემოქმედებითი ფანტაზია. ნაწარმოების სიუჟეტის შექმნის დროს ავტორს გამოყენებული აქვს სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ნაწარმოებები და ვერ ქმნის ერთ მთლიან შთაბეჭდილებას. დრამატურგი „დაესესხა“ დემნა შენგელიას „განძის“ ძირითად კონფლიქტს, სიუჟეტის „გაქამდიღრებლად“ მოიშველია საკმაოდ ცნობილი პიესა,

გეორ ხუგაევის ვოდევალი „ჩემი ცოლის ქარი“. „აიი სიზმრები“ ავტორი ცდილა გადაეხვია ხუგაევის ჩანაფიქრისათვის, შეექმნა ერთგვარი მოხვედებითი ორიგინალობა, მაგრამ ამიოდ: ძირითადად სიუჟეტი იგივეა, რაც ხუგაევის პიესისა, იგივეა აგრეთვე პერსონაჟები, მათი მოქმედება და ხასიათი, მაგრამ უფრო სტატიურტი და პრიმიტიული. შევედართ ორივე ნაწარმოები ერთმანეთს: ხუგაევის ვოდევილში „ჩემი ცოლის ქარი“ ყარევი გაიძვერა და თვალთმაქცია, ქალებისა და ფულის მოყვარული, რის გამოც იტანება მისი მეუღლე ფარიხათი. აქვე ავტორს გამოჰყავს ამ ოჯახის კარის მეზობელი და მეგობარი, ვინმე მსახიობი ელბრუსი, რომელიც ცდილობს როგორმე გამოასწოროს გზასაცდენილ ყარევი. მდგომარეობის ვართულების შემდეგ ელბრუსი ქალის სამოსელში გამოეცხადა ყარევის, როგორც იგივე უცნობი ასული, რომელსაც ელოდება ორი დონეუანი. ეს უქანასკნელი ტყუედება და ხვევნა-კოცნით უმასპინძლდება ელბრუსს, როგორც მდგომარეობით სქესს. ბოლოს ყველაფერი ნათელი ხდება, კეთილი ადამიანის — ელბრუსის საშუალებით ყარევი შეიცნობს შეცდომებს და ცხოვრების ფერხულში ჩაღდება.

ასეთივეა მ. გუჩმაზოვის „აიი სიზმრები“. სიუჟეტიც, დაკამ და მისსა მეუღლემ ბალიშები ფულით აავსეს. ეს იცის ვინმე უცხო პიროვნებამ, ხიდირმა, რომელსაც დაკას ოჯახთან არავითარი კავშირი არა აქვს, მხოლოდ და მხოლოდ სარჯერ თუ სამჯერ შეხვდა ცოლქმარს ქუჩაში, სადაც სულ სხვა საკითხზე გამოესაუბრნენ ერთმანეთს და მინც ჯადოქარეობით გამოიცნო, რომ ეზოში მათ დამალული აქვთ ფულით სავსე ბალიში და დამცეკლად უყენილთ ძალა. ხიდირი შეეცდება ძალი მოიშოროს და დაკას სიმდიდრე ორგანოებს ჩააბაროს, რომ ამით გზასაცდენილი ადამიანის საქმეები გამოამუშეოს. ამის ახერხებს კიდევ, შეუფერხებლად და მეტად იოლად. ხიდირიც გ. ხუგაევის ელბრუსით დაკას სამოსელში გამოეცხადა დაკას და დაკაც ხვევნა-კოცნით უმასპინძლდება თავის ოთახში შემოსულ უფრო ასულს“.

პიესის მოქმედების მანძილზე ხიდირი მხოლოდ ერთხელ შედის დაკას ოჯახში და მინც ყველაფერი იცის, სად რა ინახება. მის მეორე ოთახიდან გამოაქვს განძეულით სავსე



ჩემოდნები და ცდილობს ფულით სავსე ბალიშის ხელში ჩაგდებასაც. ამავე დროს დაბარებულივით გამოცხადდება მილიციონერი, რომელსაც ხიდირი ქურდი ეგონება. ეს „დაძაბული სცენები“ ავტორმა თავისი სურვილის მიხედვით დალაგა.

ხუგავეის პეისისაგან განსხვავებით მ. გუმბაზოვის თავის პეისის სიუჟეტში შეაქვს რამდენიმე ახალი ეპიზოდი; ალბათ, იმ მიზნით, რომ თავისი სიუჟეტისათვის ხუგავეის სიუჟეტისაგან ოდნავ განსხვავებული ხასიათი მიეცა, მაგრამ, სამწუხაროდ, მიწებებული ეპიზოდები გუმბაზოვის მეტად პრიმიტიული და ცალბე გამოუვიდა. აი ის ეპიზოდებაც.

ფულის დარაჯად დაბმულ ძაღლს ხიდირი აძინებს, დაგქას კი მკვდარი გონია. იგი ძაღლს ჩაასვენებს კუბოში, ცოლ-ქმარს ძაღლის კუბო მიცვალებულივით გამოაქვთ სცენაზე ტრიოლითა და გოდებით. ეს არასასიამოვნო სცენა რამდენიმე წუთს გრძელდება, რაც მაყურებელში უხერხულ და უსიამოვნო გრძობას იწვევს.

ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი დაგქა

უნივერსალის დირექტორია, მაგრამ ამას ვერც უსუსური და ზნედაცემული, თვალმწიკრისადგაიძვერა. ავტორმა ამ პიროვნების უარყოფითი მხარეების გამოსახატავად მიმართა ისევ პრიმიტიულ ზერხს: სამ-ოთხ ეპიზოდში დაგქა ოც ფეხზე დგას და ძალივით იყეფება, რომ ქურდს მოაჩვენოს თითქოს ფულის დასაცავად ისევ ძაღლი ჰყავს დაბმული.

მ. გუმბაზოვმა „ავ სიზმრებში“, ხუგავეის პერსონაჟებისაგან განსხვავებით, დამატებით შეიყვანა ვინმე ვაიკვერა ცილო. იგი სიუჟეტზე ხელოვნურად არის მიკერებული და არაჯანსაღ ემოციებს იწვევს.

ვინაიდან მ. გუმბაზოვის დრამატული ნაწარმოები „ავი სიზმრები“ თავისი მხატვრული ღირსებით პროფესიონალური თეატრის მოთხოვნების დონეზე არა დგას, საჭიროა მისი გადამოქმედად, დახვეწა და, თუ თეატრის ხელმძღვანელობა საჭიროდ დაინახავს, მისი ხელშეწყობა დადგმა, წინააღმდეგ შემთხვევაში სპექტაკლი ამ სახით მხატვრულ ღირებულებას მოკლებულია.

„ბალადა კლასში ლარჩენილზე“

ნანა კობეჯაშვიძე

მეხანის ხეაღინდელ დღეზე ყველაზე მეტად ის ზრუნავს, ვინც ახალი თაობის აღსაზრდელად იღწვის. მორალურად და ფიზიკურად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა და ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

დრამატურგი ა. კორინი თავის კომედიაში „ბალადა კლასში დარჩენილზე“ მეტად საჭირობოროტო პრობლემას — მოსწავლეთა აღზრდას პრობლემას შეეხო, რითაც სამართლიანად მიეცა თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის რუსული მოზარდ-მსაუბრეებელთა სახელმწიფო თეატრის კოლექტივისა და რეჟისორის ყურადღება. ავტორი ეხება მოსწავლეთა ცხოვრებას, მათს ურთიერთდამოკიდებულებას, მათს ყოფას სკოლასა და ოჯახში. ამ სპექტაკლში საკმაოდ დამაჯერებლად გამოჩნდა ნ. ჯანდოგირის რეჟისორული ფანტაზიის თავისებურება, მისი პროფესიული დაოსტატება.

სცენის სიღრმეში ნელა აიხადა ფონად დაშვებული შავი ფარდა, მარჯვნივ, ოთხკუთხა თეთრ სვეტზე ჩამოშვებული და მუხლებში თვჩაქინდებული ალისფერყელსახვევიანი 13-14 წლის სანდომიანი სახის ბიჭუნა მუსიკის ხმაზე შეიშმუშნება, ფრთხილად დადგამს ფეხს მიწაზე, მუსიკის აბობრაქებელი მელოდია თანდათან აიყო-

ლებს მის სულს — თათქოს ჰანგებთან ერთად ცაში გაფრენა სურდეს, ხელებს წინ გაიშვირ. უცებ კედლიდან პუშკინის ჰეკიანური თვალუბი შემოანათებს, ერთგვარად შეკრძება, გაუჭირდება მისკენ ნაბიჯის გადადგმა, ბოლოს შეწუხებული ისევ პირკანდელ მდგომარეობას დაუბრუნდება.

სპექტაკლის ამ ეპილოგიით (რომელიც პეისაში არ არის მინიშნებული), რეჟისორმა მთავარ სათქმელს გაუსვია ხაზი.

რეჟისორის გაბედულ შემოქმედებით ძიებას დიდად შეუწყო ხელი მხატვარ გ. ცერაძის მიერ სცენაზე დამაჯერებლად შექმნილი ატმოსფერომ. მოქმედების დამახასიათებელი დეკორაციის ხშირი ცვლა აძლიერებს მხატვრულ-აზრობრივ ზემოქმედებას.

პიონერთა ოთახში ენერგიული ნაბიჯებით შემოდის პიონერებელმძღვანელი ვალოდია (ს. კორინიშინი). ყველანი ფეხზე დგებიან. „მისმინეთ!“ ბრძანების კილოთი მიმართავს და საქმიანად გადახედავს იქ მყოფთ, — გუშინ ვაკვეთილზე პენსიონერ კალერია მასწავლებელთან ერთის გარდა ყველამ მოახერხა წიგნიდან დავალების გადაწერა, მან განაცხადა, რომ მომზადებული არ არის და წაეფიდა. ეს პატროსანი აღმიაჩნა — მსახიობს სახეზე თანდათან დამციანივი ღიმილი გამოესახა და ოდნავ თვალუბ-



მოკუტული ერთგვარი ველისწყრომით წარმოსთქვამს ბოლო სიტყვებს, — არის დენისა, ჩვენი მეორეწლიანი. მისი ორიანების გამო კლასმა შეიძლება დაკარგოს პირველი ადგილი და მოსკოვში გამგზავრების შესაძლებლობაც — დაასრულებს გაბრაზებული და ნასტიკის მიუბრუნდება, თვალში თვალს გაუყარის და ოდნავ მუქაირის ტონით მიმართავს. — თუ ვინდა შენმა მშობლებმა არ გაგიგონ, რომ დენისთან ერთად კინოში იყავი, წახვალ მასთან შინ და დაიყოლიებ, რომ ხვალ კალერია მასწავლებლას გაკეთილზე წიგნიდან დავალუბა ვადაიწეროს. მტკიცედ ავალუბს ნასტიკს და ოთახიდან სწრაფად ვადის.

მთელი კლასის თვინიერი მოწაფეებისათვის პონერხელმძღვანელ ვალოდიას სიტყვა კანონია, რავინდ უმართებულოც უნდა იყოს ის. ბავშვებს მხოლოდ ერთი სახსრუნავი აქვთ ერთი რამ აწუხებთ — როგორმე ორიანი არ მიიღონ და მხად არიან წიგნიდან ვადაიწერონ, მასწავლებელი მოატყუონ.

მსახიობი ს. კორნილიშინი დეტალებისა და ნიუანსების გააზრებით მაყუარებელს ცხადად წარმოდგენის ისეთი პონერხელმძღვანელის სახეს, რომელსაც ბავშვები არასდროს ჰყვარებია. ავტორი ნაწარმოებს ავებს მთავარი მოქმედი გმირის შინაგან მოქმედებაზე. პიესის ამბედვით დენისი რთული პიროვნებაა, როგორც ამბობენ, კლასის „შავი ლაქა“, ჭედმადლობას იხიენს კოლექტივთან ურთიერთდამოკიდებულებაში.

„მე რომ ის პირველად ვნახე, შეშეშინდა, მკაცრი მეგონა — უხსნის დენისა (მსახ. ს. ისმანგულიანი) კლასის მეგობარს ნასტიკს (მსახ. ე. ტრუბცინა). კალერია მასწავლებელი კი შესანიშნავი ადამიანი ყოფილა, მასეთება მხოლოდ თეატრში თუ მინახავს. — სივრცეს მიაპერობს დაფიქრებულ თვალს და დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოსთქვამს მასწავლებლის სახელს, — არა, არ შემოძლია მე იგი მოვატყუო, დავალუბა წიგნიდან ვადაიწერო, ხელი არ შემორჩილება“. ვადატრით გამოუტყდება ნასტიკს და ისე შეხუდავს, თათქოს პატივსა სთხოვდეს.

როგორც ვხედავთ, დენისი სიყვარულითა გამსჭვალული მასწავლებლის მიმართ, ვაუჭირდება მას ამხანაგების თხოვნის შესრულება.

მსახიობი ს. ისმანგულიანი ცდილობს იყოს მართალი და დამაჯერებელი. იგი ადვილად პოულობს თავისი გმირის თვისებების შესატყვის შტრიხებს, მეტყველია და ბუნებრივი, ყოველთვის ნარჩუნებს ზომიერების გრძნობას.

„— მამა, მე დღეს ის ფირფიტა ვიყადე, კოსტიამ რომ ვთხოვა“ — შემოვივებლური ტონით მიმართავს დენისი, როდესაც გაბრაზებული მამა უმიზეზოდ აწყენინებს კოსტიას, და

სახეზე გამოცოცლება დაეტყობა, — „შენ წახვალხარ, — ახლა მუდარა იგარძნობა მის ხმაში, — მოვიდეს შენთან. თუ ის შენსკენ არც მოიხედავს, მაშინ მიდი მუხლებზე დაისვი“, — დენისი მამას მიუახლოვდება, დაიხრება და უჩვენებს თუ როგორ უნდა მოეფეროს და დაუყვავოს კოსტიას.

ამ სცენიდან კარგად სჩანს დენისის კეთილი დამოკიდებულება პატარა მამისადმი. ასეთივეა ის მშობლებისა და ამხანაგების მიმართ.

ეს დალოკო ძალიან ცოცხალია და მეტყველია, მსახიობიც უნარირანი თამაშით გვარწმუნებს თავისი გმირის კეთილშობილებაში.

დენისის მამა ხშირად მივლინებაში უხდება ყოფნა, დედა — მსახიობია, ბავშვები თითქმის ყოველთვის მარტონი რჩებიან. დენისი სწავლაში ჩამორჩება დამ იმავე კლასში სტოვებენ... აი ამ დროს, როგორც აღმზრდელი, მას ხელს გაუწევის კალერია მასწავლებელი.

საკლასო ოთახში მავიდას უზის კალერია მასწავლებელი, სულ ბოლო მერხზე კი მხოლოდ დენისი დავილოვი ზის, — წინ გამოლიო რეულებით და წიგნებით. მერხზე მოხერხებულად მოკალათებულ დენისს სახეზე მოწყენილობა დამჩნევი, სჩანს ჭერ კიდევ ვადაიწერა არ დაუწყია, ახლა მასში იბრძვის ორი გრძნობა, — საკუთარი სინდისი და პასუხისმგებლობა მთელი კლასის წინაშე, ბოლოს მაინც სძლევს ცდუნებას, კალმისტარს დადებს, უხალისოდ წამოდგება და წიგნებისა და რეულების ჩანთაში ჩალაგებას იწყებს.

— „დავიდოვ, სულ არ მომზადებულხარ?“ — ეკითხება კალერია მასწავლებელი და ყურადღებით შეათვალერებს.

— არა. — მორჩილად პასუხობს დენისი.

— რატომ მოხვედი, უნდა ვადაიწერა? მერხეა, რატომ არ ვადაიწერე. იმავე ტონით ვანაგრძობს მასწავლებელი.

— არ ვეცი, არაფერი გამოვივია, — გულწრფელად. მავრამ ისევ უხალისოდ ვაისმა პასუხე.

— შენ არასდროს ვადაიწერია? — ახლა სერიოზულად ეკითხება მასწავლებელი.

— რას ამბობ, — სწრაფად წინ დვამს რამდენიმე ნაბიჯს, — ერთხელ მე დირექტორის წინ ვიჯექი და მაინც მოვახერხე ვადაიწერა — გულში ჩამწვდომი დიმილით, თითქმის სიამაყითაც, აღიარებს თვალბანებული დენისი.

მასწავლებელი ოდნავ ჩაფიქრებული წამოდგება, — სექტემბრამდე ექვსი თვე დარჩა, ამ წნის მანძილზე დაამთავრებ მეექვსე კლასს, — დენისის წინ მერხზე ჩამოჯდება, — ზაფხულში მეშვიდე კლასის პროგრამას მოამზადებ და სექტემბერში მერვე კლასში, — შენს კლასში



დაცდება, მე დავცხმარებო— მზრუნველად ეტყვის კალერია მისწავლებელი და სიხარულით შეხედავს დენისს.

— რას ამბობთ, მე არ შემოძლია, მე უნიკო ვარ, — ხმამაღლა, ყვირილითა და მუდარით წარმოსთქვამს, სახეზე გაუბედაობა და აღტაცება გამოხატება, მღელვარებისაგან მიიმედ სუნთქავს და შემინებული ნელ-ნელა უჯან იხევს.

პიესის ამ მომენტში მკლავნდება გმირის ნამდვილი ღირსება. დენისი ფაქიზი სულისა და სილამაზის განსახიერება.

პიესის მორალური ტენდენცია ის არის, რომ ცხოვრება მაინც დენისისთანებს ეკუთვნის, — მას, ვინც მართალი და ეკოლომობილია.

ეს სცენა სპექტაკლით ერთ-ერთი საუკეთესოა, ისმანგულოვის დენისი დამაჯერებელი ინტონა-

ციითა და გამომსახველი შესტებით, მანქანულად და მიმზადებულად თამაშობს.

კარგად გრძობენ პიესის ატმოსფეროს და გეხიბულენ თავიანთი გულწრფელობით კალერია ალექსანდროვან (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. პაპიტაშვილი), მსახიობებო მ. ჭავჭავაძე (ალიკო), ნ. ანდრიეკო (სერგეი), ს. ვარდანიანი (მარინკა), ლ. პარპოტოვა (ნასტია), ა. სობოვი (დორმოდონტი) მესამე კლასიკური ბიჭის — კოსტას როლი კარგად განსახიერა მსახიობმა ქალმა ტ. კირიჩენკომ, დავიდოვების მამა — მსახიობმა ს. ვინოგრადოვმა, ელკა — ს. ესკოვსკიამ და სხვ.

შეიძლება სასაქტაქუსა და მსახიობთა თამაშში მოვეყენება ცალკეული ხარვეზები, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ მთლიანად სასაქტაკელი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და „პატარა მოქალაქეები“ თეატრიდან კმაყოფილნი მკიან.

„რაიკომის მდივანი“ ქუთაისის თეატრის სცენაზე

ჯაბა იოსელიანი

თეატრალურ ხელოვნებაში, როცა ლაპარაკია შუქ — ჩრდილებზე, უმეტეს შემთხვევაში იგულისხმება თანაბარი კონტრასტები, ან შენაცვლებანი. ამჯერად კი ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრს რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“ მოვლენათა კონტრასტების მოკარბებულად გამოუქება გამოყენებული აქვს პიესის გამჭოლი მოქმედების გასაშუქებლად.

პარტიული მუშაკების ბევრ სახეს ჩაუვლია ჩვენს სცენაზე: პრინციპულებსა და რკინა-ბეტონით მტკიცეთ, მლიქუნელებსა და ბიუროკრატებს, ფანატიკოსებსა და ფანტაზიორებს, მაგარა საქ. სსრ სახალხო არტისტის, ვახტანგ მეგრელიშვილის მიერ განსახიერებული სიმონ მიხაილოვიჩი გოდაბერელიც ამ ნაცნობ ფორმულების ვერცერთი ჩარჩოს ვერ ირგებს, უფრო სწორად, მას საკუთარი ჩარჩო აქვს და საკმაოდ ბრწყინვალე.

სავანავაშოდ კიაფობს სამოფორი, მოპირდაპირე მხარეებიდან დაშვებული ორად-ორი პროექტორის გრძელი შუქი, სცენაზე გადაჯვარედინებული და შერკინებულ დაშნებს წაავავს.

ბაქანზე უხილავი ორთქმავლის ქოშინი მოუთმენლად მოძრავე ადამიანების წინათგონობით არის თითქოს განმსკვალული. მნიშვნელოვანი ამბის მოლოდინი გიპყრობთ.

თბილისიდან ელიან სიმონ მიხაილოვიჩის, რაიკომის ყოფილ მდივანს, შეურყენელ ავტორიტეტს, აწ დაწინაურებულსა და სახელმწიფო პარტიულ ნუშაკს, მისმა ჩამოსვლამ უნდა გაარკვიოს შექმნილი მდგომარეობა: „როგორ? ეს

„საათივით აწყობილი რაიონი“, თურმე სწორ გზაზე არ მდგარა?! იგი ჩამოდის, რათა დატუქსოს და მოდრეკოს რაიკომის ახალი მდივანი — მის მიერ ამორჩეული და ახლა მისდაპირ სამტროდ განწყობილი დონ-კიხოტი.

სიმონ გოდაბერელის პირველი გამოჩენა ძალიან უბრალო და სიმბოლური მოქმედებით აღინიშნება, დამხვედრებს პორთფელს უფლებს ანცად, თუმცა სოლიდურ ჩაცმულობასა და ხან-წიშესული მამაკაცის მიხვრა-მოხვრას სრულეებით არ შეეფერება ასეთი ფარსული გამოხტომა.

სიმონ მიხაილოვიჩი ხომ ქართველი კაცია. პურ-მარილი და მამა-ბიჭობა, ფამილიარული დამოკიდებულება ქვეშევრდომებთან და ოჯახის ნათესაური მოკითხვა — ქირისუფლობის გამოჩენა „კაცურ-კაცობის“ აქსესუარებშია, ამ გზით საჭიროა ზოზოციების დახვეწვა.

შემპარავდ მიიწევს გიორგი ჯაფარიძის საქმიანობით წარმოშობილი ვითარების ეპიცენტრისაკენ.

მოულოდნელად და ერთი დარტყმით უნდა მოგვოს!

ყველაზე მოხერხებული მაინც მუხანათური დარტყმა იქნება. (ან როდის არ იყო მუხანათური დარტყმა მოხერხებული?) და ეს აზრი უკარანახებს არა მარტო გიორგის შინაგან მოქმედებას ადევნოს თვალყური, არამედ ხმალომდებელი შეიჭრას ყოველი დიალოგისა და რეპლიკის არასასურველი მიმოქცევის დროს.

უცებ მოწინააღმდეგეს „მამაშვილურად“ ისევ ყანწი მიაწოდოს, ან კეყერა ფხლის ყადრი

გამოჩინოს, რესტორანის დამკვერვლებს მოუსმინოს, შემდეგ ყველას ცივი წყალი გადაასხას, გამოაზიზლოს, იმპოზანტური მოძრაობით თავის მდგომარეობის შესაფერის კვარცხლბეკზე ავიდეს და იქიდან, იქიდან...

მეგრელიშვილის მიერ წარმოდგენილი იერსახის თავისებურება სწორედ იმაშია, რომ გობაბრელიძეს შივა და შივ ნიადაგი ეცლება, იმის შეგრძნება, რომ მარტო მუქარისა და მუშტების ქნევის დრო წვიდა, აიძულებს მისთვის უჩვეულო ექსცენტრიკა მიიმარჯვოს, ოპ, რა დამლელია ყველაფერი ეს, რა დამლელი, მაგრამ უსუსურობის აღიარებას ისე დადღილად მოწვევება სჯობია.

დამდგელი რეჟისორი გურამ მაცხოვრავილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფერწერულ ხერხს მიმართავს, ევრეთოვლებული პოზიტიური ვითარება ნეგატიურის პლასტიკურობით მოაქვს. ამავე ხერხით შეაბრისპირა გობაბრელიძესთან ჯაფარიძე მსახიობმა ერემია სვანიძემ.

სვანიძის რაიკომის მდივანი, როგორც იტყვიან, ტრადიციულია, მაგრამ მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას რომ, ის ყალბი პათოსის კზას ერღებდა. სპექტაკლში მონაწილე დანარჩე-

ნი მსახიობები მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებენ სპექტაკლის ანსამბლურ ხედვას.

მხატვარ ჯეირან ფაქოშვილის ლაკონურ კარიბჭეს, რის ფონზედაც ვითარდება მოქმედება და რაც პირდაპირ დაკავშირებულია პიესის დედაპირთან, დიდ აღმოჩენად მივიჩნევდით, რომ არ მოგვაგონებდეს ბრეჰტის თეატრის სპექტაკლის, „კოროლიანოსის“ სცენოგრაფიულ გადაწყვეტას.

მუსიკალური გაფორმება დაბალი ხარისხისაა: შეიძლება კარგმა ორიგინალურმა მუსიკამაც კი დაუკარგოს ტემპი სპექტაკლს, თუ იგი დამოუკიდებელ სცენურ ნომრად ან მონაკვეთად იქნება გამოყენებული, აღარაფერს ვამბობთ კომპილატორულ, ცუდად შერჩეულ და გაკიანურებულ მანგებზე.

ჩვენ გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ თეატრმა წ. თაბუკაშვილის პიესის ვანხორციელების სწორი და, რასაკვირველია, ამავე დროს ჰნელი გზა აირჩია: დრამატურგიული მასალის გაცოცხლება, მისი სახიერი წარმოდგენა მსახიობის შემოქმედებით.

ამაშია, ჩვენის აზრით, ლაღო მესხიშვილის სახელობის თეატრის გამარჯვება.

თელაველთა „საბრალეობო დანკნა“

ამას წინათ თელავის სახელმწიფო თეატრმა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში მაცურებულს „საბრალეობო დანკნა“ უჩვენა. ამ სპექტაკლის თბილისში ჩამოტანის განზრახვა მეტისმეტ გაბედულებად მივიჩინეთ, ვიფიქრეთ, ზედმეტად ხომ არ გადააფასა თეატრის კოლექტივმა თავისი ძალები.

თეატრის ხელმძღვანელებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ ნოდარ დუმბაძის ამ პიესამ ბრწყინვალე განხორციელება პოვა რუსთავისა და რუსთაველის თეატრების სცენაზე, რომ მათმა სპექტაკლებმა თბილისელი მაცურებლის ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს. ორივე თეატრის ყოველი მსახიობი (რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად) გამოირჩეოდა ხასიათის ღრმა გაგებითა და შესრულების ოსტატობით. ასეთ პირობებში თელავიდან ჩამოტანილი სპექტაკლი თავისი რეჟისორული გადაწყვეტის ინდივიდუალობითა და აქტიორთა თამაშის ტექნიკით აუცილებლად უნდა მდგარიყო თანამედროვე კულტურის საერთო დონეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თელაველთა ნაბიჯი გაუმართლებელი იქნებოდა.

საბედნიეროდ სკეპტიკოსები დამარცხდნენ!

თელაველები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. ჩვენ ვნახეთ მღელვარე, ტემპერამენტიანი სანახაობა, რომლის მიმართაც მაცურებლის ყურადღება ერთი წუთითაც არ ნელდებოდა, დარბაზი სცენას ცხოვლად ეხმარებოდა, კონტაქტი უწყვეტი იყო, ემოციები კი აქტიური, შთამბეჭდავი.

სპექტაკლმა (რეჟისორი და მუსიკალური მონტაჟის ავტორი თამაზ მესხი, მხატვარი — უშანგი ხუმარაშვილი) თავიდან ბოლომდე მოსაწონი ტემპით ჩაიარა, არცერთ მსახიობს რეჟისორის ჩანაფიქრისათვის არ უღალატია. ზოგიერთი განსაკუთრებით გამოირჩა გულწრფელობით, უშუალოდ, ზომიერებით. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თინათინ ბურბუთაშვილი. მისი დედა ძალიან თბილი და უშუალო იყო. როლის ეპიზოდურობის მიუხედავად, ნიჭიერმა მსახიობმა ჩინებულად გვიჩვენა თამაშის დახვეწილი სტილი და ზომიერების გრძნობა. იგივე უნდა ითქვას პლატონ აგვლედიანის ისიდორე სალარიძეზე. გამოცდილმა მსახიობმა ყურადღება ხასიათის შინაგანი ბუნების ეპიკური გახსნით მიიქცია. როლის ნიშნები და აქტიორის ხა-



სიათის თავისებურება კეთილად დაემთხვა ერთმანეთს და ისიდორეს სიღარბისილესა და გონიერებას სცენური დამაჯერებლობა და მომხიბვლელობა მიანიჭა.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ორბი აღნიაშვილის ლიმონამ. აქ ჩვენ დავინახეთ საკმაოდ გამჭრიახი მსახიობი, რომელიც მექანიკურად კი არ განასახიერებს მზა სახეს, არამედ ფიქრობს, ანალიზებს ხასიათის შინაგან სამყაროს, ეძებს და საკმაოდ სრულყოფს გამოსახვის ხერხებს. მისი ლიმონა გზასაცდენილი ადამიანია, დიხს, ადამიანი, რომელსაც ყველაფერი არ შერყვინა და სულის სიღრმეში გაიშვიათებულად, მაგრამ მაინც შემოუნახავს ადამიანური კეთილშობილების ნიშნები. ამ ნიშნებს მხოლოდ ხელოვანი ხედავს. მათ ხედავს მწერალი, ხედავს მსახიობიც და იმდენად რელიევიურად წარმოსახავს, რომ მაყურებელიც თვალნათლივ წარმოიდგენს, მისადმი თანაგრძნობით გაიმსჭვალება. ამოიტანე ეს მარგალიტი ჯურღმულიდან, გასწმინდე იგი ჭუჭყისაგან, შესაფერ გარემოში მოაჭიდე და თავის სილამაზეს დაიბრუნებს — ადამიანი გაიმარჯვებს. აი ეს ესმის მსახიობს, მის შესაფერისად თამაშობს და მაყურებელი პერსონაჟის სულის სიკეთესა და სიაცხე ერთმანეთში არ ურთავს, ადამიანისა და ადამიანებისადმი რწმენით იმსჭვალება. მსახიობი განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ სცენაში, როცა ბუიკის ლექსს კითხულობდა.

ტიგრანა ისე ღრმად დაშვებულა ფსკერზე, რომ სოციალურ პრობლემად ქცეულა. მწერალი და მსახიობი (დოდიკ სხირტლაძე) არ აღვიძრავენ მისდამი თანაგრძნობას, მაგრამ არც იმას გეუბნებიან, რომ იგი ასეთად დაბადებულა,

ადამის ძეთა რიცხვს არ მიეკუთვნება კონკრეტულ შემთხვევაში ტიგრანაშიც საიდანღაც გამოაშუქებს ხოლმე ადამიანი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყველა ადამიანია და მათ ბედზე ფიქრი ყველას ადამიანური ვალია, საჭიროა ფსკერისაკენ მიმავალს ხელი დროულად წააშველო, გადაარჩინო და ადამიანი მასში მთელი ძალით გააღვიძო. სხირტლაძის თამაშში კეთილის ეს საწყისი იგრძნობა, მწერლის ფიქრები სწორად აქვს გაგებული.

არაფერი გვაქვს სასაყვედურო დანარჩენი როლების შემსრულებლების მიმართაც (შოთა ბუქანიშვილი—ჭეიშვილი, რამაზ ბუჭკურაშვილი — გოგოლი, გიორგი პაპოშვილი — შოშია, იზა შუშანაშვილი— ნუნუ ექიმი, გარი მანველოვი— გამცემლიძე, ბეგლარ მარტიავილი — ვივლა, ვალერიან ნიკოლიშვილი — ვლადიმერ მარკოზაშვილი, კონსტანტინე ზუროშვილი), ისინი უმთავრესად ემბირულ მსგავსებას ეძებენ და კიდევაც პოულბენ მას.

კარგი იყო კარლო ქართველიშვილი ზანა როლში, მას ჰქონდა მთელი რიგი ემოციური სცენები, მაგრამ მის თამაშს ალაგ-ალაგ ზომიერების გრძნობა აკლია და ზედმეტად ნერვიულია, განსაკუთრებით დედასთან შეხვედრის სცენაში და ახალ გამოძიებულთან. მის ნერვიულობაში ამ დროს შინაგანი ძალაც უნდა იგრძნობოდეს. მაშინ მისი სცენური სახე უფრო დამაჯერებელი და ემოციური იქნება.

ამ სპექტაკლმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ თელავის თეატრის კოლექტივი საკმაოდ ძლიერია და პროფესიულად მაღალ დონეზე დგას.

საქართველოს მონანილნი გზათის რეაქციანი

მართ თვეზე მეტია, რაც ნოდარ ლუმბაძის პიესა „საბრალდებო დასკვნა“ თბილისის სტ. შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრის სცენაზე იდგმება.

ამ დღეებში სპექტაკლის საჯარო განხილვა მოაწყო ვახუთ „სოვეტკან ვრსტანის“ რედაქციამ. განხილვა დიწყო რედაქციის კულტურისა და ლიტერატურის განყოფილების გამგის ბენიკ სეირანიანის სიტყვით. მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართულ თეატრში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიჟერი პროზაიკოსის

ნოდარ ლუმბაძის პიესებს: „მე, ბებია, ილიკო და ილიაონი“, „შინაი ღამე“, „მე ვხვდავ მშეს“, „ნუ გეშინია, დედა!“, „საბრალდებო დასკვნა“.

ნოდარ ლუმბაძის პიესები დიდი წარმატებით იდგმება არა მარტო ქართულ, არამედ სომხურ სცენაზეც (თბილისი, არტაშატი, კიროვაკანი, ერევანი).

ნოდარ ლუმბაძის შემოქმედების ლიტერატურული უსაზღვრო სიყვარული ადამიანისა. ეს გრძნობა უღვეს საფუძვლად „საბრალდებო დასკვნას“.

ციხის ბნელ საკანში დამწყვედული არიან სხვადასხვა ასაკის, ეროვნების, განათლებისა და პროფესიის პატიმრები და ხდება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის წინასწარი გამოძიება. ამ დანაშავეთა შორის არის ექვმიტანილი ახალგაზრდა სტუდენტი ზაზა ნაკაშიძე (მსახიობი რ. ხაჩატრიანი), რომელსაც კაცის მოკვლა ბრალდება.

პატიმართა ცხოვრების ფონზე მაყურებლის წინაშე ნელ-ნელა ცოცხლდება დანაშავეთა სახეები — ცნობილი ქურდი-რეციდივისტი ლიონ დევიდარიანი (მსახ. ს. სოსიანი), გამფლანგველი შოშია გოგოლაძე (რესპუბლიკის დამსახ. არტისტი რ. პაპოვიანი), კაცის მკვლელი ტიგრან გულოიანი (მსახ. ჟ. კარაბეტიანი), ისიდორე სარალიძე (საქართველოს და სომხეთის სახ. არტისტი დ. ამირბეგიანი), მექრთამე, სსსრ-ის ყოფილი დირექტორი ლავრენტი მებურთიშვილი (მსახ. პ. თათარიანი), სპეკულიანტი გიგლა მოშიაშვილი (მსახ. ა. ადილხანიანი), ალიმენტის ურჩი გადამხდელი, გალაქტიონ ჭეიშვილი (მსახ. რ. ოენესიანი), ზნეობრივად გადაგარებული

ვიაჩესლავ გამცემლიძე (მსახ. რ. პაპოვიანი), ვიქტორ გოგოლი (საქ. დამსახ. არტისტი ს. ელიაზარიანი).

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ა. მხითარიანიმ, საქ. სსრ სახალხო არტისტი დორი ამირბეგიანმა, სპექტაკლის დამდგმელმა, საქ. დამსახურებულმა არტისტმა ჰაიკ უმიკიანიმ, დოცენტმა ანაპიტ ხარატიანიმ, საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა რ. პაპოვიანიმ, პ. ბაირამიანიმ, პედაგოგმა ა. არუთინიანიმ. მათ ილაპარაკეს ნ. დუმბაძის პიესის ღირსებებზე, მის ჰუმანისტურ იდეებზე და აღნიშნეს, რომ „სახალღებო დასკვნის“ დადგმა სომხური თეატრის სცენაზე უაღრესად სასიამოვნო მოვლენაა. ორატორებმა ილაპარაკეს სპექტაკლის წარმატებაზე, მსახიობთა თამაშის მაღალმატერულ დონეზე, გამოთქვეს აგრეთვე ცალკეული შენიშვნები.

განხილვაზე ხაზგასმით ითქვა, რომ სპექტაკლის წარმატება დიდად განაპირობა რეჟისორის, მხატვრის და მუსიკის ავტორთა მჭიდრო თანამშრომლობამ.

გ ა მ ო ფ ე ნ ი ს ღ ა ხ უ რ ა ვ ა

1974 წლის 13 თებერვალს დაახურა ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის თეატრალური მხატვრების ნამუშევართა გამოფენა. დახურვისას მოეწყო გამოფენილ ნამუშევართა განხილვა.

განხილვაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოსა და უკრაინის სსრ რესპუბლიკების სახალხო არტისტმა, თეატრალური საზოგა-

ლოების გამოცემის თავმჯდომარემ დ. ალექსიძემ.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა პროფესორი ე. ა. კოვალენკო. მხატვართა ნამუშევრებზე თავიანთი მოსაზრებები გამოსთქვეს საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა პროფესორმა ფ. ლაპაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გ. ლორთქიფანიძემ.

ათი დღე ბულგაკოში

მურალ ხინიპაძე

ბასული წლის 1 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩატარდა საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები. ჩვენი ხელოვნების ეს თავისებური დათვალეირება ბულგარელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის ქვეშაირტ დღესასწაულად იქცა.

კულტურის დღეები სოფის ოპერისა და ბალეტის თეატრში გახსნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ფურცევამ. საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებზე მიწვეული იყო მ. გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის საბალეტო დასი, მოსკოვის თოჯინების სახელმწიფო თეატრი, კამერული ანსამბლები ბალეტისპირეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და შუა აზიის რესპუბლიკებიდან და ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

ჩვენი კოლექტივი მოსკოვიდან სოფიაში ჩავიდა 4 ნოემბერს გვიან დამით. საღვურზე მასპინძლები დაგვხვდნენ და მსუბუქი მანქანებითა და ავტობუსებით იმავე ღამეს გავემგზავრეთ ზლაგოეგრადში, რომელიც სოფიიდან დაშორებულია 120 კილომეტრით.

დავზინავდით სასტუმრო „ვოლგაში“. 5 ნოემბერს, დღის 10 საათზე ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე და თეატრის ხელმძღვანელობა მიიღო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ზლაგოეგრადის საოკრუგო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. დიულიგეროვმა. ბულგარულ მეგობრებს ძალიან აინტერესებდა ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები, ის ღონისძიებები, რომლებსაც დღეს ანხორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. მასპინძლები ყურადღებით ისმენდნენ ჩვენს ნაამბობს, თვითონაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირზე, საბჭოთა ადამიანებზე.

იმავე დღით ზლაგოეგრადის თეატრში ჩვენი დელეგაციის წევრები შეხვდნენ ზლაგოეგრადელ ჟურნალისტებს.

დღის 3 საათზე ვამცაროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში მოსწავლეთათვის წარმო-

ვადგინეთ სპექტაკლი „ქართული კლასიკა“ — ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და დ. კლდიაშვილის „ღარისპანის გასაჭირი“. საღამოს 7 საათზე გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიემდგნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56-ე წლისთავს. საზეიმო სხდომის შემდეგ ისევ წარმოვადგინეთ „ქართული კლასიკა“. ზლაგოეგრადელმა მაცურებელმა წარმოდგენა კარგად მიიღო, არაერთხელ დაგვაჯილდოვეს ტაშით. სპექტაკლის შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ვამცაროვის სახელობის თეატრის დირექტორმა ე. კუსტებეოვმა, საპასუხო სიტყვიც გამოვიდა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე. სცენა აივსო ცოცხალი ყვავილების თიავულებითა და კალთებით.

6 ნოემბერს ქალაქ ბანსკოში — გამოჩენილი პოეტისა და პარტიოტის ნიკოლაი ვამცაროვის სამშობლოში ვავემგზავრეთ. სახლში, სადაც დაიბადა და სიკაბუჯის წლები გაატარა ნ. ვამცაროვმა, მოთავსებულია მუზეუმი, მის წინ აღმართული პოეტის ბრინჯაოს ქანდაკება ბათუმის თეატრის კოლექტივმა თიავულებით შეამკა.

შემდეგ მივგზავრეთ სკოლაში, სადაც გაიმართა სახელდახელო მიტინგი და კონცერტი. ბანსკოში მივვიღო პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. რუსკოვამ. დაგვათვალეირებინეს ქალაქი, ცენტრალურ მოედანზე დღას ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც გვირგვინებით შევამკეთ. გვირგვინები მივიტანეთ აგრეთვე ფაშისტების წინააღმდეგ პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელის ნიკოლაი პარპენოვის ძეგლთან.

შემდეგ ვავემგზავრეთ ქალაქ რაზლოვში. აქ თეატრის კოლექტივი მიიღო პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბონკოვმა. საღამოს რაზლოვის თეატრში წარმოვადგინეთ ნ. დუმბაის და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

7 ნოემბერი... ზლაგოეგრადი საზეიმოდაა მორთული.

აღვლევბა ვერ დაფარეთ, როდესაც მასპინძლებმა მოგვართვეს ილია ჭავჭავაძის სამმეტრიანი სურათი... დღის 10 საათზე საზეიმო სალუტის შემდეგ მაკედონის სახელობის მოედან-

ზე დაიწყო მშრომელთა დემონსტრაცია, რომლის გახსნის პატივი ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრისა და ნიკოლი ვაპცროვის სახელობის თეატრის კოლექტივებს ხვდა წილად. გვერდი-გვერდ მიგვაქვს ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლი ვაპცროვის სურათები, წინ მიგვიძღვის საბჭოთა სამშობლოს გერბი. ირველვე წითელი დროშების ტყეა. ორკესტრის პანგებზე მივაბეჭებთ მოედანზე. შემდეგ ბათუმელებს ტრიბუნასთან მოგვკეს ადგილი. ჩვენს წინ ჩაიარო ბლაგოვერადის ფაბრიკა-ქარხნების, საწარმოს დაწესებულებების, მოსწავლეთა მწყობრმა კოლონებმა. ეს იყო ბულგარეთისა და საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის ქვეშაირი ზეიმი.

დემონსტრაციის შემდეგ წავედით რელსკის მონასტრის დასათვალიერებლად. ეს მონასტერი ბლაგოვერადიდან 70 კილომეტრზე მდებარეობს. წინათ ერელსკის მონასტერი იყო ბულგარეთის განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი. ახლა აქ ძვირფასი მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ბულგარეთის ისტორიის უნიკალური საგანძური და მატერიალური კულტურის იშვიათი ძეგლები.

8 ნოემბერს დილით მთელი კოლექტივი ავტობუსებით გავემგზავრეთ სოფიაში. დავათვალიერეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობები. სოფიაში გავიგეთ მეტად დასიხარულო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებთან დაკავშირებით ბათუმის თეატრის 4 წევრი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. თეთრაძე, ი. კობლაძე, ა. მგელაძე, ამ სტრეიონების ავტორი და აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე დაჯილდოვდნენ გიორგი დიმიტროვის დაბადების 90 წლისთავის საიუბილეო სამახსოვრო მედლებით, რომლებსაც ამხანაგი ტოდორ ჟივკოვი გადასცემსო. ამ ამბავმა კოლექტივში დიდი სიხარული გამოიწვია, რადგან ეს იყო მთელი დასის ჯილდო, მისი მუშაობის მაღალი შეფასება.

სალამოს სოფლის თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე წარმოვადგინეთ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. სპექტაკლმა კარგად ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ ყვავილების თიავულები და კალათები მოგვართვეს. ამავე დღეს დავბრუნდით ბლაგოვერადში.

მეორე დღეს 3 საათზე, შევიკრიბეთ სახალხო კრების დიდ დარბაზში, აქ იყვნენ საბჭოთა ხელოვნების ცნობილი ოსტატები, მოსკოვის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები, სოციალისტური შრომის გმირები, ლენინური პრემიის ლაურეატები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო არტისტები. ამ-

ხანავე ტოდორ ჟივკოვის გამოჩენას თვითონ შევხვდით.

წაიკითხეს დაჯილდოებულთა გვარები. ტოდორ ჟივკოვი დაჯილდოებულებს აბნევადა მკერდზე მედალს და გულითადად ულოცავდა. შემდეგ მან სთქვა:

— ბულგარეთს პირველად ეწვია საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლების ასეთი დიდი ჯგუფი. ჩვენ ვამაყობთ ამით, დაე, ეს ჯილდო იყოს ბულგარელი და საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მეტი დაახლოების, მეგობრობისა და სიყვარულის სიმბოლო. ჩვენ, ბულგარელებს, ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი კულტურის განვითარება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების გარეშე, ჩვენი თეატრი — თქვენი პიესების გარეშე, თქვენი მუსიკის, ქანდაკებისა და ბალეტის გარეშე. ამიტომაც, რომ საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს სისტემატურად და დიდი ტირაჟით ვცემთ ბულგარულენაზე ვაერცვლებთ თქვენს ჟურნალ-გაზეთებს, ამით გამოვხატავთ იმ დიდ სიყვარულს, რომელიც არსებობს ბულგარულ და საბჭოთა ხალხებს შორის.

ამხანაგმა ტ. ჟივკოვმა დაჯილდოებულებთან სამახსოვრო სურათი გადაიღო. როდესაც მას ჩვენი თეატრის წევრები წარუდგინეს დიდი სიყვარულით გველაპარაკა საქართველოზე, ქართველ ხალხზე.

იმვე დღეს ვაპცროვის სახელობის თეატრში წარმოვადგინეთ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

10 ნოემბერს ბლაგოვერადში კავშირით „აჭარაში“ გაიმართა ორი კოლექტივის — ნ. ვაპცროვის სახელობისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრების შეხვედრა. ნ. ვაპცროვის სახელობის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგემ დრამატურგმა კ. ილიევმა, თეატრის დირექტორმა ე. კოსტენბეკოვმა, რეჟისორმა ა. კალუდევმა ილაპარაკეს იმ პრობლემებზე, რომლებიც დღეს დგას თეატრის წინაშე. ჩვენის მხრივ სიტყვით გამოვიდნენ აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ლ. ბოლქვაძე, ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი ვ. ნიკოლაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. კობლაძე, დრამატურგი ა. ჩხაიძე.

სალამოს ნ. ვაპცროვის სახელობის თეატრში ვნახეთ ჩხაიძის პიესა „ხიდი“, რომელიც ბლაგოვერადის თეატრის სცენაზე დადგა რეჟისორმა ა. ალექსანდროვმა. ბათუმელი დრამატურგის ეს პიესა ბევრ თეატრში დაიდგა, მაგრამ ბლაგოვერადელთა წარმოდგენამ გამაოცა. ქართული ხასიათები ზედმიწევნით იყო გახსნილი, დამატებით ახლა ამას მაღალი შემსრულებლობითი კულტურა, დახვეწილობა, სიფაქი-



ზე, უბრალოება. განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო მარკა ჩოდრიშვილის როლის შემსრულებელი, სრულიად ახლგაზარდა მსახიობი ე. ისტატკოვა.

11 ნოემბერს გავემგზავრეთ ქალაქ სანდანსკში, რომელიც მდებარეობს ბლაგოვეგრადის სამხრეთით 80 კილომეტრზე. ვაგირათ ვენახები, თამბაქოს პლანტაციები და ხეხილის ბაღები, რომლებიც ბრწყინვალედ არის დამუშავებული და მოვლილი. განსაკუთრებით მოგვნიბლა შესანიშნავმა ქალაქმა სანდანსკმა თავისი განსაკუთრებული სტილითა და ახალი შენობებით. აქ ყველა ნაგებობა გამოირჩევა თავისი სიმყარით. გრძნობ, რომ ესა თუ ის ნაგებობა საუკუნოდ შენდება.

აქვე დავხსენ, რომ ქალაქი სანდანსკი მაკედონიის ცენტრია. სწორედ აქაურია ლეგენდარული სპარტაკი. თრაკიელები დიდად ამაყობენ, რომ ისინი სპარტაკის შთამომავალი არიან. ქალაქის შესასვლელში დგას კუნთმაგარი, ბრინჯაოში ჩამოსხმული სპარტაკის ფიგურა. ქალაქში დღესაც წარმოებს არქეოლოგიური გათხრები. დავიწყების ბურუსიდან თანამედროვე ადამიანებს უბრუნდება შესანიშნავი ისტორიული ძეგლები.

სანდანსკში თრაკიელების საქორწინო ცერემონიის მოწმე ვაგხდით. ნეფე-დედოფალი მიდიოდნენ. ეს იყო შესანიშნავი, მომხიბვლელი წყვილი. დედოფალი თეთრ საქორწინო კაბაში გამოეწყობა. მისი გრძელი კაბის კალთები სამ პატარა ბავშვს მიჰქონდა. იქვე მიჰყვებოდნენ ხელისმომკიდე ვაჟი და ქალიშვილი. ასევე ნეფესაც ედგა გვერდით ხელისმომკიდები. ცერემონიას წინ მიუძღოდნენ მოცეკვავე ქალები. ჩვენი მსახიობები შეუღებოდნენ მექორწინებებს და დაიწყეს მათთან ერთად ცეკვა. დედოფალს მივართეთ ყვავილების თაიგული და ასე ცეკვით მივაცილეთ საქორწინო სახლამდემ „დალუგეგამავმა შეხვებდრამ“ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. როცა სადღიზე პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ანგებლია პოპოვიჩევამ მიგვიპარტია, მართალია, მეგობრობის სადღეგრძელო მან პირველმა წარმოსთქვა, მაგრამ მეორე სასმისით ჩვენ ვადლეგრძელეთ თრაკიელი ნეფე-დედოფალი და ვუსურრეთ ბედნიერი ოჯახის შექმნა.

სანდანსკში მივიღებმა ანკარა მდინარე, რომელსაც სანდანსკი ბისტრიცას ეძახიან. ქალაქი შესანიშნავი თბილი ჰავითაა განთქმული. ძალზე ცნობილია აქაური სანატორიუმები, სადაც ასტმას მკურნალობენ. აქვეა ეგზოტიკური ბაღები, საცურაო აუზები, საზაფხულო თეატრი, სტადიონი... ერთ-ერთი რესტორანის ეზოში დგას რამდენიმე დიდი კასრი, რომელიც თავისებური

საბანკეტო დარბაზია. მდინარეზე არის მდინარე დული ხიდი, რომელსაც სცილის ხილს ეძახიან — ვინც ზედ შედგება, ხილს აქანებენ, ხილი ირწყევა და ეს სასაცილო სიტუაციას ჰქმნის.

სანდანსკიდან მეღნიკში წავედით. ეს არის თავისებური ქალაქი მუხუშში; აქ ყოველი სახლი მუხუშშია, ახალს არაფერია აშენებენ, მხოლოდ ძველი სახლების რესტავრაცია ხდება. ამ ქალაქში ცხოვრობს მხოლოდ 500 მცხოვრები. ეს მხარე ცნობილია სასიამოვნო ღვინით. ყველა ოჯახს სახლის ქვეშ აქვს ღრმა სარდაფი, სადაც საუკეთესო ხარისხის ღვინოს აყენებენ.

მეღნიკედან გავემგზავრეთ კოლატაში. აქედან გავემგზავრეთ ქალაქ პეტრიჩში. პეტრიჩში რომ ჩავედით, უკვე ბნელოდა, მაგრამ მოედანზე მაინც ათასობით კაცი და ქალი დავგვხვდა. თურმე მთელი ორი საათი გველოდნენ... როგორც კი მოედანზე გამოჩნდა ჩვენი მანქანები, იგრაილა სასულე ორკესტრმა. შემოგვხვნიენ ბავშვები, წითელი ყელსახვევები გავვიკეთეს და უამრავი თაიგულები მოგვართვეს, სულ მიხაკების თაიგულები იყო. ყველა გაიძახოდა „ვეჩნა დრუჟბა“. დამე იყო. მაგრამ მაინც დავგათვალისწინებინეს ქალაქი. დიდი თუ პატარა, ყველა გვიცინოდა და გვეხვეოდა, გვხვებოდნენ ისე როგორც ნაცნობებსა და ნათესავებს ხვდებიან ხოლმე. ეს შეხვედრა ბულგარული და საბჭოთა ხალხის სამუდამო მეგობრობისა და სიყვარულის კიდევ ერთი დემონსტრაცია იყო.

12 ნოემბერს, დილის 9 საათზე ეტოვებთ ბლაგოვეგრადს. გეზი ავიღეთ ქალაქ პლოვდივისაკენ, რომელიც მდებარეობს ბლაგოვეგრადიდან 200 კილომეტრზე. ფართო მოასფალტებულ გზას აშუშენებს ხეხილის ვენახისა და თამბაქოს პლანტაციები. მივიწყეთ მივების კალთებისაკენ, სადაც ვადამუშული ნაძვის ტყეები. მივალწით მთელს ბულგარეთში განთქმულ მთის კურორტ ბოროვეცს. აქ ბულგარეთის მსახიობთა საზოგადოებამ სადღიზე მიგვიპარტია. შემდეგ განვაგრძეთ გზა პლოვდივისაკენ. გზაში ათობით კილომეტრზეა სათბურები, სადაც წლის ყოველ დღეს მოჰყავთ კიტრი, პამიდონი, ყვეალები... მიხაკების სათბურები რამდენიმე კილომეტრზეა გადაჭიმული.

შეღამებისას მივედით პლოვდივში. ქალაქი შესანიშნავ ადგილზე მდებარეობს. მას ორად ჰყოფს მდინარე მარცა. ამ ქალაქს ბულგარეთში მეორე ადგილი უკავია სოფის შემდეგ და მდიდარი ისტორია აქვს. ქალაქის რამდენიმე მო-



ედანი შემოღობილია და არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს. ვნახეთ ძველი სასახლისა და თეატრის ნანგრევები, რომელიც გათხრებისას აღმოუჩენიათ.

ქალაქის გორაზე აღმართული უცნობი ჯარისკაცის ქანდაკება, რომელსაც სიმბოლურად ალიომას ეძახიან. ქანდაკების ირველი ზარე-ლიეფით ასახულია გერმანულ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლების ეპიზოდები. უცნობი ჯარისკაცის ძველი გვირგვინებით შევამკეთ.

პლოვდივიდან გვეწიეთ არენოვგრაღისაკენ, ხოლო 13 ნოემბერს ვიყავით ბაჩკოვოში, სადაც მდებარეობს პეტრიწონის ცნობილი მონასტერი. ბაჩკოვო ადგილ-მდებარეობით ძალიან ჰგავს საქართველოს და სწორედ ამიტომ შეურჩევითა ეს კუთხე მეთერთმეტე საუკუნეში მშენებ ბაქურიანისძეებს. აქ შენახული და დაცულია ლეთისმშობლის უძველესი ხატი ქართული წარწერით.

ბაჩკოვიდან დაებრუნდით პლოვდივში და აქედან გავემგზავრეთ სოფიაში. იქ ნაშუადღევს ჩავედით და შევედუქეთ ქალაქის დათვალერი-ბას.

14 ნოემბერს დღის 7 საათზე სოფის რკინიგზის სადგურში მრავალმა გამცილებელმა მოიყარა თავი... სიმღერები, ცეკვა, მეგობრული საუბრები ... დადგა გამითხოვების უკანასკნელი წამი, მატარებელი დაიძრა, ისევ შეძახილები: „ვეჩნა დრუჟება“.

ასე გაიარა დაუეწიყარმა ათმა დღემ, რომელიც გავატარეთ მომე ბულგარეთის მიწაზე. ბედნიერი ვართ, რომ გავეცანიტ ბულგარულ შრომისმოყვარე — სტუმართმოყვარე ხალხს, რომელიც აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

„ქველი ვოლვილავის“ მე-200 წარმოღვენა

19 იანვარს მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა „ქველი ვოლვილავის“ მე-200 წარმოღვენა. აშკარადაც თეატრი მყურებელს ვერ იტევდა. აი, უკვე ხუთა წელია, რაც ეს სპექტაკლი იდგმება და მისდამი ინტერესი მაინც არ შენელებულა სპექტაკლმა საქართველოს ქალაქებს გარდა მოიარა მოსკოვი, ლენინგრადი, ერევანი. სპექტაკლს სულისჩამღვმელის, სსრკ სახ. არტისტის, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატის ვასო გოძიაშვილის სახელზე დღესაც მოდის მყურებლის მადლობის წერილები. არ დარჩენილა ჩვენი რესპუბლიკის თუ საკავშირო პრესის არცერთი ორგანო, რომ მაღალი შეფასება არ მიეცა წარმოღვენიათვის. „ქველი ვოლვილავი“ ჩააწერა რადიოში და აღიბეჭდა ტელევიზიის ვიდეოფირზე, გამოვიდა ფირფიტები.

ხუთი წლის მანძილზე წარმოღვენაში რამდენიმე ახალი შემსრულებელი შევიდა, უცვლელი დარჩა მხოლოდ ვასო გოძიაშვილი — წარმოღვენის სული და გული, სპექტაკლის დამოღებელა და მთავარი როლებს შემსრულებელი. ვასო გოძიაშვილმა თავისი განუმეორებელი ხელოვნე-

ბით, ჩვეული აღმფრენით ორასჯერ დაატყვევა მყურებელი, 140 ათასზე მეტმა კაცმა ნახა იგი ამ წარმოღვენაში.

მე-200 წარმოღვენაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ სახ. არტისტი მერი დავითაშვილი, რესპ. დამსახ. არტისტები ელენე ყიფშიძე, გიორგი გელოვანი, ვიორგი ტატიშვილი, დავით ქუთათელაძე, აეთანდილ ვერუღიშვილი, შოთა ქიორაძე, ნინო ჩხეიძე, მსახიობები: ნ. მამალაძე, დ. ბერიაშვილი, გ. ჭეიშვილი, ე. თოფურია.

მე-200 სპექტაკლს ესწრებოდა საქართველოში სტუმრად მყოფი ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დავით ლანგი. მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, სპექტაკლის დასასრულს მან განაცხადა: „მარჯანიშვილის თეატრისაკენ მელამ მომიხარია. ბატონ ვასოს ვულოცავ წარმატებას. დღესაც ისეთივე წარუშლელი შთაბეჭდილებით მივდივარ, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ვასო გოძიაშვილი ვნახე სპექტაკლში „ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე“, არასოდეს დამავიწყდება მისი რჩიარდ მესამე... ბრავო მის ხელოვნებას!“

მეიერჰოლდი ღვაპს კანკაჟას

ალექსანდრე ესკინი

ამასწინათ საბჭოთა მკითხველმა მიიღო სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების ა. იაბლოჩინას სახელობის „მსახიობის სახლის“ ღირებულების განმარტებლის ა. მ. ესკინის წიგნი „ჩვენს სახლში“. წიგნის ავტორი გვესაუბრება „მსახიობის სახლის“ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იმაზე თუ როგორ მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მსახიობები და რეჟისორები მსახიობის სახლის ყოველ ღონისძიებაში.

ქვემოთ დაბეჭდილი ამ წიგნის ერთი პატარა თავი უთუოდ დაინტერესებს ჩვენს მკითხველს. მითუმეტეს, რომ მასში ღაპარაკია გამოჩენილი რეჟისორის ვს. მეიერჰოლდის თბილისში ყოფნის თაობაზე.

ბანსაპუთრაგით უნდა გესაუბროთ მოსკოვის სამხატვრო თეატრის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. ეს საღამო 1938 წლის ოქტომბერში შესდგა. სიმპტომური იყო ის ფაქტი, რომ საღამოს მომზადებაში მონაწილეობდა ვს. მეიერჰოლდი. სიმპტომური-მეტეი, ვამბობ, რადგან მხედველობაში მაქვს მეიერჰოლდის დამოკიდებულება სამხატვრო თეატრთან.

27 ოქტომბერს იუბილე საზეიმოდ და მკაცრად განსაზღვრული რეგლამენტით ჩატარდა. მსახიობებს თეატრში ესტუმრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. ეს იყო ნახევრად ოფიციალური და ნახევრად საზეიმო ნაწილი იუბილისა, ხოლო სამხატვრო ნაწილი ჩატარდა ჩვენს სახლში სამი დღის შემდეგ, 30 ოქტომბერს. ჩვენს საღამოში ზუთასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. ასე რომ, სცენაზე თითქმის ორჯერ მეტი მსახიობი იყო, ვიდრე მაყურებელთა დარბაზში.

საღამოს პირველი ესალმებოდა მოსკოვის თეატრალური საზოგადოების დელეგაცია ა. ა. იაბლოჩინას მეთაურობით.

ამის შემდეგ მყისვე დაიწყო კ. ს. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის თეატრალიზებული გამოვლა, რომელიც ვს. მეიერჰოლდმა დადგა. იმ დროს ვს. მეიერჰოლდი ამ თეატრის რეჟისორი გახლდათ.

ვს. მეიერჰოლდთან შეხვედრის მოლოდინში ძალიან ველავდი, საამისო მიზეზიც მქონდა, აი, რა იყო ეს მიზეზი:

ჭაბუკობიდანვე ცხარე თაყვანისმცემელი ვიყავი გენიალური რეჟისორი-რეფორმატორისა. მუდამ მაინტერესებდა და, შეიძლება ითქვას,

გული შემტკიოდა მის ძიებებზე, ექსპერიმენტებზე, დიდებულ მიგნებებზე, ვიცნობდი ბევრ მის მსახიობს, რომლებმაც შემდეგ სხვა თეატრებს მოუხვევეს სახელი. მ. ბაზანოვა, მ. ყაროვი, მ. ცარიოვი, ი. ილინსკი, ს. მარტინსონი, ე. გარინი, ლ. სვერდლინი, ნ. ოხლოპკოვი — აი, მეიერჰოლდის ღვაწლი ჩვენი ქვეყნის აქტიურულ ხელოვნებაში. ბევრი ამათგანი ახლაც ჩვენს შორისაა. ყველაფერი ეს საქამოა ცნობილია, მაგრამ არა ვგონებ, რომ ახალმა თაობამ იცოდეს, თუ რაოდენ ავადმყოფური, ექსტრავაგანტური ხასიათის კაცი იყო ეს გამოჩენილი ოსტატი. საერთოდ, შემოქმედთ იზვიათად აქვთ იოლი ხასიათი, მეიერჰოლდი კი ვანსაკუთრებული ხასიათის კაცი იყო. ხელოვნების ისტორიას ნაკლებად აინტერესებს თუ რა უცნაურობანი ან რა ინდივიდუალური თვისებები ახასიათებდა პიროვნებას, მაგრამ მე არ ვწერ ისტორიას, მე ვიხსენებ იმდროინდელ ყოველდღიურ ყოფას. მკითხველისთვის რომ ცხადი გახდეს, თუ რატომ ვანიჭდილი მღელვარებას, ერთ ეპიზოდს ვუამბობ. ეს ამბავი მოხდა 1927 წელს, თბილისში. ამ ქალაქში სამი წელი ვცხოვრობდი — 1925 წლიდან 1928 წლამდე. ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო ის, რომ მიმიწვიეს თბილისში მეიერჰოლდის თეატრის გასტროლების ჩასატარებლად. გასტროლები ტრიუმფალური წარმატებით მიდიოდა. ყოველი სპექტაკლის შემდეგ სცენაზე გამოდიოდა ვსევლოდ ემილის ძე, რადგან მას დაუსრულებლად ექაზა მაყურებელი.

და აი, ადგილობრივ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა კრიტიკოს ვ. ა. სუტირინის სტატია, რომელიც ასე იყო დასათურებული „ა. ბ.



დ. დ.“ (სათაური „ლედის“ ყაიღისა იყო). ეს სათაური ასე იშიფრებოდა: „აძლეე ბაბანოვას დიდ დატვირთვას“. სტატიაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ისეთ ბრწყინვალე მსახიობს, როგორც მარია ივანეს ასული ბაბანოვა ვახლდით, თეატრი სათანადოდ არ ტვირთავდა. (სამწუხაროდ, ეს ასეც იყო).

სტატიის დაბეჭდიდან ორი დღის შემდეგ, ერთ-ერთ ორშაბათს, როცა თეატრის მსახიობები ისვენებდნენ, საოპერო თეატრში მოეწყო დისპუტი საბჭოთა თეატრის განვითარების თაობაზე. მომხსენებელი იყო ეს. მეიერჰოლდი, რომლის გამოჩენასაც დარბაზი ოვაციით შეხვდა. მომხსენებელმა გადაუხვია თემას და თავს დაესხა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მასში დაბეჭდილი სტატიის გამო. ვსევოლოდ ემილისძემ ისე დაასრულა სიტყვა, რომ ტაში არაივის დაუკრავს, ხოლო მოხსენების შემდეგ კი მოუხდა მოესმინა მის მიმართ გამოთქმული მრავალი უსიამოვნო სიტყვა, ეს სიტყვები წარმოსთქვეს ქართული კულტურის მოღვაწეებმა, მათს შორის იყვნენ პოეტები ტიციან ტაბიძე და პაოლი იაშვილი.

მომდევნო დღეს მიდიოდა სპექტაკლი „ტრესტი დ. ე.“, რომელშიც ბაბანოვას ბრწყინვალე ეპიზოდი ჰქონდა. მარია ივანეს ასულის ტალანტის თავყანისმცემლებმა — ტემპერამენტისმა ქართველმა მაყურებლებმა დილიდანვე დაიწყეს ვარდებით სავსე კალათების ზიდვა თეატრში. ამ დროს ვღებულობ ვსევოლოდ ემილისძის ბარათს. კონვერტი გავხსენი. მასში აღმოჩნდა ვსევოლოდ ემილის ძის სავიზიტო ბარათი, რომელზეც ლათინური ასოებით დაბეჭდილი იყო „ვსევოლოდ მეიერჰოლდ-რაიზი“, მეორე გვერდზე კი რეჟისორს მიეწერა „ალექსანდრე მოსეს-ძემე; ჩემამდე მოაღწიეს ცნობებმა, რომ მზადდება დემონსტრაცია ბაბანოვას საპატივცემლოდ და რომ ამ საქმეში თქვენ უშუალოდ მონაწილეობთ. თუ ეს ასეა, ჩვენ მოგვიწვევს თქვენი გადაყენება. ეს. მეიერჰოლდი“. უარრესად სამწუხაროა, რომ ომის დროს ეს ბარათი დაიკარგა, მაგრამ ყველაფერი (არაად ნას.ოკ. ბაბანოვას საპატივცემო დემონსტრაცია მანც შესდგა. მსახიობი ყვავილების ზღვაში ჩაიბრეს. ვსევოლოდ ემილის ძეს თავისი მუქარა არ შეუსრულებია, მაგრამ იმ დღესვე გაეგზავ-

რა ბათუმში და თბილისში მეტად აღარ გამოჩენილა. დიახ... იგი დიდი ოსტატი იყო, მაგრამ ასეთი რამეც ახასიათებდა. მას მოეჩვენა, რომ სტატია უსამართლო იყო და ამიტომ გაუჩნდა ამგვარი რეაქცია.

იმ საბედისწერო ეპიზოდის შემდეგ მეიერჰოლდს სწორედ სამხატვრო თეატრის 40 წლის-თავის იუბილეზე შეეხვდი, ძალზე გულთბილი შეხვედრა გვექონდა. თითქოს თბილისში არავითარი ინციდენტი არ მომხდარა ორივენი შევედემქით დღესასწაულის სამზადისს.

თეატრის საოპერო დასი, დაახლოებით ასამდე კაცი, რამდენიმე დღე გადიოდა რუპეტიციებს და თვისებდა ამ იუბილეისათვის საგანგებოდ დაწერილ კანტატას. მეიერჰოლდს მოუხდა გამოჩენა უაღრესი გამომგონებლობა, რომ ამდენი ხალხი გამოეყვანა სცენაზე და შემდეგ შეუყოვნებლოდ გაეყვანა კულისებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს პაწა სამსახიობო ოთახში მხოლოდ ერთადერთი ვიწრო და მიხვეულ-მიხვეული კიბით შეიძლებოდა მოხვედრა, ცხადი გახდება, რომ ეს არც თუ იოლი საქმე იყო. კიდევ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ას კაციანი გუნდისა და სოლისტების გარდა, კანტატის შესრულებაში თეატრის ორკესტრიც მონაწილეობდა.

მეიერჰოლდი ყოველდღე მიდიოდა ჩვენთან, დარბოდა მეხუთე და მეექვსე სართულზეს შორის, სწავლობდა ფოიეს, კიბეს, კაბინეტებს. სცენას გულშეწუხებულად შესცქეროდა. რადგან მის სადადგმო გადაწყვეტაში სცენას არ განეკუთვნებოდა ყველაზე მთავარი როლი.

საბოლოო სახით მის ჩანაფიქრს მხოლოდ სალამოს მსვლელობისას გავეცანიოთ. კანტატის შემსრულებელნი სცენაზე კულისებიდან კი არ გამოვიდნენ, არამედ ფოიედან, მაყურებელთა დარბაზის გავლით (მაშინ ეს რეჟისორული ხერხი სულაც არ იყო ისე გაცვეთილი, როგორც დღეს). ორკესტრი განლაგებული იყო... მეექვსე სართულზე, სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების კაბინეტებში. მიუხედავად ასეთი დამორიშორებისა, მომღერლებმა და ორკესტრმა კანტატის შესრულებისას შეუნარჩუნეს აბსოლუტური სინქრონიზმი თვით ნიუდანებშიც კი და კანტატას უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

მიხეილ ჭიაურელი თეატრში

გზაგული ბუნებრივი



სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ხუთგზის ლაურეატი მიხეილ ჭიაურელი: დღეს მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც კინოხელოვნების დიდოსტატს. სწორედ ამ მოღვაწეობისათვის მიენიჭა მას ყველა ზემოთხსენებული საპატიო წოდება და მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოვდა. სრულიად მართებულია, რომ ამ ჩვენს უნიკიერეს თანამემამულეზე რუსულსა და სხვა მრავალ ენაზე არაერთი საინტერესო ნაშრომი დაიწერა და გამოქვეყნდა, და ამრიგად, აღიბეჭდა მისი ღვაწლი კინოს განვითარების ისტორიაში. მაგრამ მიხეილ ჭიაურელი კინოში ერთბაშად არ მოსულა. მის კინომოღვაწეობას წინ უძღოდა მოღვაწეობა ქართულ თეატრში, როგორც მსახიობისა და რეჟისორის. ეს მეტად საინტერესო პერიოდია მიხეილ ჭიაურელის ცხოვრებისა. ჭიაურელის მოღვაწეობა თეატრში ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ მან ერთგვარად შეუმზადა ნიადაგი ჭიაურელის კინოხელოვნებას, არამედ იმიტომაც, რომ განსაზღვრულ დროს ჭიაურელმა გარკვეული წელიწადი შეიტანა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

არაერთხელ შეგვეხვებოდნენ ჩემს ძველ მეგობარს და წარსულზე საათობით გვისაუბრია, მოგვეგონებოდა პირველი ნაბიჯები, ახალგაზრდობის გატაცებები.

გახსოვს, მიხეილ?..

— მახსოვს, როგორ არა... შენ კი გახსოვს?

— მახსოვს, მახსოვს...

ასე კითხვა-კითხვით ვისსენებდით თეატრის ამბებს და ჩვენი საუბარი ზოგჯერ წაგავდა ქართულ სიტყვის ნიჭიერი ოსტატის ნიკო ლორთქიფანიძის პატარა სვედიან დიალოგს, რომელსაც თავის დროზე სცენიდან შესანიშნავად კითხულობდნენ ნიჭიერი მსახიობები სესილია თაყაიშვილი და სანდრო ქორჭოლიანი...

ჩვენ თითქმის ერთი ხნისა ვართ, ერთნაირ გარემოში ვცხოვრობდით, ამასთანავე, 1913 წლიდან, როდესაც გორიდან თბილისში გადამოვედი, სახალხო სახლში მე ვნახე თითქმის ყველა წარმოდგენა, რომლებზეც ჭიაურელი მონაწილეობდა. მინახავს ყველა მისი დადგმა ქართულ სცენაზე, დავსწრებივარ არაერთ კონცერტს მისა მონაწილეობით. ერთი სიტყვით, მომსწრე ვარ ჭიაურელის მთელი შინაარსიანი და მდიდარი თეატრალური მოღვაწეობისა, ამიტომ, რა თქმა უნდა, ჩვენ საუბრებში ბევრა საინტერესო ფაქტურ წარმოგვიდგა თვალწინ. მაგრამ მარტო ამ საუბრებსა და საკუთარ ქეზსიერებას არ დავენდეთ, მათ უმეტეს, მოგვხსენებთ, ორივე ისეთ ასაკში ვართ, რომ მესხიერება ზოგჯერ მეტად ურცხვად გველატობს... ამიტომ მივმართე ძველ პერიოდულ პრესას, საარქივო საცავებში შემონახულ საბუთებს და შათი საშუალებით შევაიმოვე ჩვენი მესხიერე-



ბის ნაყოფიც და ბერი უცნობი საინტერესო მასალად მოვიძიე. და ახლა ყველა ეს ნაბაასევე და მონაგანი, ნაკვლევი და ჩახხრევი ცალკე წიგნად დავწერ და, სადაც წერ არს, წარვღვინე გამოსაცემად. ხოლო, ვიდრე ეს წიგნი ვამოვა, მოკლედ მაინც ვაგაძრობთ მიხეილ ჭაუერელის თეატრალურ მოღვაწეობას.

მიხეილ ჭაუერელი ბავშვობიდანვე გაიტაცა თეატრით. ბავშვობაში ნახა ლალი მესხშივილი პამლეტის როლში, ბავშვობაში მოჯადოებულ იყო საოპერაო წარმოდგენებით.

რომ წამოიზარდა, მოწვევებისას აქვალის აუდიტორიის სახალხო წარმოდგენების გულმოდგინე მსაუბრეებელი შეიქნა, რადგან იქვე ახლ ეს, ცარა ექტერის ქუჩაზე ცხოვრობდა.

მიხეილ ჭაუერელი სცენაზე პირველად 1909 წელს გამოვიდა. ამ წლის 29 დეკემბერს მან მონაწილეობა მიიღო სცენისმოყვარეთა წარმოდგენაში, რომელიც სახალხო სახლში გაიართა თბილისის სახელმწიფო სასწავლებლის გამგემ სკოლის კურსდამთავრებულთა მონაწილეობით. კურსდამთავრებულთა შორის იყო მიხეილ ჭაუერელი (სასწავლებელში მიხეილ ჭაუერელმა ორთქმალის მემანქანის პროფესია შეისწავლა). თხუთმეტი წლის ტახუკმა ამ წარმოდგენაში ითამაშა ხანშიშესული მოხელის აკაკი აკაკიევის როლი ვოდევიაში „ახირებულთა“. (მიხეილ ჭაუერელის არქივში შემორჩენილია მისი პირველი დახატული სურათი ამ როლით).

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მახეილ ჭაუერელმა მუშაობა დაიწყო ზენკლად იარაღოვის კერძო მექანიკურ ქარხანაში. მაგრამ ზოგი ვულისყური სცენისაკენ ჰქონდა მიყრობილი. იგი უკლებლივ ესწრებოდა სახალხო სახლში გამართულ წარმოდგენებს და მსახიობობაზე ოცნებობდა.

ეს სახალხო სახლი (ამჟამად ამ მუშაობაში კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) მეტად საინტერესო დაწესებულება იყო. აქ მუშაობდნენ ქართული, სომხური, რუსული, ოსური და სხვა სახალხო თეატრები. აქ სისტემატურად იმართებოდა ლიტერატურული დილა-საღამოები, კონცერტები და ლიტერატურულ-გასამართლებები. შესასვლელი ფასი ძალიან მცირე იყო, ხუთი კაპიკიდან დაწყებული 50 კაპიკამდე. ეს იყო დემოკრატიული ორგანიზაცია და მის მიზანს შეადგენდა მშრომელთა ხალხის გაეთიოცნობიერება. თავისი ინტერნაციონალური ხასიათით ის წარმოდგენდა ხალხთა მეგობრობისა და მუშათა კლასის სოლიდარობის კერას. ამას უნდა დამატოს ის ვარუთობაც, რომ სახალხო სახლში არსებული მხატვრული წრეები მეტწილად არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების გაგუნით მუშაობდნენ.

ამ სახლს შეეკედლა მიხეილ ჭაუერელი. 1910

წელს ჩაეწერა ქართული სახალხო წარმოდგენების გამართველი წრის წევრად. ესწრებოდა წარმოდგენებსაც და საღამო-კონცერტებს. დაეწაფა სახალხო სახლის მდიდარი ბიბლიოთეკის წიგნებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ არსებითად ამ სახალხო სახლის დემოკრატიულმა ხასიათმა გამოაწროთ ახალგაზრდა ქართველის მოვლმძღველობა და ესთეტიკური შეზღუდულობანი, შთაუწერგა მან ნშრომელი ხალხის სამსახურის მარადიული იდეა. ნიჭიერ ოსტატს შემდეგ არაერთხელ უთქვამს, რომ „სახალხო სახლი იყო ჩემი უნივერსიტეტი“.

თხიზი სათეატრო სეზონი დაპყო მიხეილ ჭაუერელმა ქართული სახალხო წარმოდგენების გამართველ წრეში. ამ ხანში ნიჭიერმა ახალგაზრდამ შესანიშნავი პრაქტიკული სკოლა გაიარა და გულდასმით შეითვისა სასცენო ტექნიკის ძირითადი კანონები. მისი მასწავლებელი იყო ნიჭიერი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა, რომელიც წრეს ხელმძღვანელობდა და სცენაზე მოსკოვის სამხატვრო თეატრის ნოვატორულ სასცენო პრინციპებს ნერგავდა.

თხიზი წლის მანძილზე მიხეილ ჭაუერელმა მრავალი როლი შეასრულა, დაწყებული მოზარდებიდან და დამთავრებული დრამატული გმირებით. ეს იყო სოსიყო — ტ. რამიშვილის „მეზობლებში“; გამიზნული, ვიორგი — ნ. შიუქაშვილის „სიბიბინჯში“; ვოვია — ე. ნინოშვილის „ქრისტიანში“; ავეტია, — ა. ცაგარლის კომედიაში „რაკ გინახავს, ვეღარ ნახავს“; ბარენდი — გ. პიერმანის დრამაში „იმედის დაღუპვა“; მიხას და ვანოს მთავარი როლები — ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“; ზაქარია — ა. ცაგარლის „მითიკოში“; აკოფა — ა. ცაგარლის „ხანუმაში“; პრაპორიკი მსუბუქაშვილი — ვ. გუნიას „აღლუმში“; იოთამი — ვ. გუნიას ვოდევიალში „ედესისკთა“; ბეგლარი — გ. ერისთავის „დავაში“; ბლოზინი, — ლ. ანდრეევის პიესაში „ბღღენი ჩენი ცხოვრებისა“; არსენა — ა. ყაზბეგის დრამაში „არსენა“; დოზხინსკი — ნ. გოგოლის „რევიზორში“; ტიგრანა — ტ. რამიშვილის „შეშლილნი“. ამ უკანასკნელი როლის შესრულებაზე „სახალხო თეატრული“ (№ 1101, 1914 წ.) წერდნენ „ჭაუერელის ყოველი სიტყვა, მიხატა-მოხატვა, თვით დუმილიც ნაყოფი იყო ღრმა დაკვირვებისა და როლის შეგნებისა. ეს ნიჭიერი ახალგაზრდა სცენისათვისაა დაბადებულ და სამწუხარო იქნება, სცენა და ის თუ ერთმანეთს დაშორდნენ. ვუსურვებთ მეტ ენერგიას, მეცადინეობას და წარმატებას“.

როლებს ჩამოთვლა გეიიწენებს, რომ მახეილ ჭაუერელი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის



მსახიობი იყო და წარმატებით ეუფლებოდა როგორც კომედიურს, ისე დრამატულ როლებს და ბრწყინვალედ ხატავდა მკვეთრ სახასიათო სახეებსაც.

სახალხო სახლში მუშაობის წლებში იგი გაიტაცა მხატვრობამ, მოქანდაკობამ და თბილისის სამხატვრო სასწავლებელში შევიდა. ნიჭი გამოიჩინა მუსიკაშიც. იგი საერთოდ ზელოვნების ყველა დარგით იყო გრაცებული. მისი ჭაუტრელი ივონებს: „საერთოდ, მე დაუღვეარი ხასიათი მქონდა. სიყრმეში ვოცნებობდი მომღერლობაზე, მაგრამ სასწავლებლად არც დრო და არც მატერიალური საშუალება არ გამიხნდა. შემდეგ ვმუშაობდი თეატრში, ამავე დროს კი ისევ გრაცებული ვიყავი მხატვრობით, მოქანდაკობით, მუსიკით და სიმღერით. ვერც ერთ მათგანს ვერ შეველეუ და თავი ვერ დაკანებუ“.

მაგრამ უფრო მკვიდრად მიხვილ ჭაუტრელი მაინც თეატრს შერჩა. „ხელოვნების ყველა დარგზედაც, რომლებშიც მე მაშინ ვმუშაობდი, — ივონებს იგი, — ჩემთვის ყველაზე საინტერესო ისევ თეატრი აღმოჩნდა თეატრი იყო ჩემი ოჯახი, ჩემი აკადემია“...

1914 წელს თბილისის ქართულ თეატრის სათავეში ჩაუდგნენ ა. წუწუნავა და მ. ქორელი ისინი მოწოდებული იყვნენ გამოენახათ ახალი მხატვრული გზა ჩვენი თეატრისათვის. დასი გადახალისდა, შეივსო ახალგაზრდა ძალებით და პირველ რიგში დასში მიიღეს მიხეილ ჭაუტრელი. ასრულდა ნიჭიერი ახალგაზრდის ოცნება, — ის პროფესიონალი მსახიობი გახდა. მანინ ჭაუტრელი ოცი წლისა იყო.

სამწუხაროდ, მან აქ თავისი ნიჭი სათანადოდ ვერ გამოავლინა, რადგან, როგორც ცნობილია, სწორედ სეზონის დასაწყისში ქართული თეატრის შენობაში ხანძარი გაჩნდა და სათეატრო სეზონი თითქმის ჩაიშალა.

მიხეილ ჭაუტრელი ისევ სახალხო სახლის წრეს დაუბრუნდა. პროფესიონალ დასში მიხვილ ჭაუტრელი კვლავ მხოლოდ 1917 წელს მოხდა. იგი მიიწვიო მ. ქორელმა ქუთაისის დასში მთავარ დრამატულ როლებზე. ორი სათეატრო სეზონი დაჰყო მიხეილ ჭაუტრელმა ქუთაისის დასში და სახელი გაითქვა თავისი ნიჭიერი თამაშით. აქაც ასრულება ყველა ხანითაის როლს და განსაკუთრებით თავი ისახელა ბარათაშვილის როლის შესრულებით ნ. შიუჯაშვილის დრამაში „სულელი“. მან ბრწყინვალედ გამოკვეთა ახალგაზრდა რევოლუციონერის რომანტიკული სახე ქუთაისში განსახიერებელი მრავალი როლიდან, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო აგრეთვე სისიკო — შ. დადიანის დრამაში „შენი ჭირივე“, ლუარსაბი — ს. შანშიაშვილის დრამაში „უგვირგვინო მეფენი“, ლევანი — ნ. შიუჯაშვილის „ციცინა-

თელაში“. ლეონ ბერგი — ია ეკალაძის დრამაში „ნომერი ოცდერთა ჯვრით“, ხარაბაძე — კ. მესხის „მელანის ოინებში“, ნუნიაშვილი — ა. ოსტროვსკის კომედიაში „უღიანაშულოდ დასკილნი“, ბოროდინი — ფ. კარევის „უბედურ ნაბაჯში“, პარტევი — ვ. ზუდერმანის „ივანობის ლამეში“, პოტეკალინი — ვ. პუტკინის „ჰანელში“, არამ და დიუვალი — ა. დიუმას დრამაში „მარგარიტა გოტუე“ და მრავალი სხვა.

1919 წლის შემოდგომიდან მიხეილ ჭაუტრელი თბილისში დაბრუნდა და შეკედა გ. ჯაბაძის დრამატულ სტუდიაში. სტუდია საჯარო წარმოდგენებსაც მართავდა და მ. ჭაუტრელმა პირაწვლეობა მიიღო ამ წარმოდგენებში, კერძოდ კვლავ ბრწყინვალედ შეასრულა ბარათაშვილის ნთავარი როლი ნ. შიუჯაშვილის „სულელში“.

1920 წლის შემოდგომიდან მ. ჭაუტრელი თბილისის ქართული თეატრის დასში და სეზონის განმავლობაში შეასრულა მუდამ ლუარსაბი (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“), ბერდი (ს. შანშიაშვილის „ბერდი ხანაია“), ძიხა (ი. გეგევაძის როლის „მსხვერპლი“) და სხვ.

საქართველოში სამტრია ხელისუფლების დამყარება პირველი დღეებიდანვე მ. ჭაუტრელი გრაცებით ჩაება შემოქმედებით მუშაობაში. რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი აქტიურად მონაწილეობს ამ თეატრის პირველივე სექტაქლებში. ბრწყინვალედ ასრულებს ბარათაშვილის როლს ნ. შიუჯაშვილის „სულელში“ (მისი მონაწილეობით „სულელი“ 1921 წლის მაისში რეჟერ იქნა წარმოდგენილი). ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა სარეჟისორო გამოცდილება, 1921 წელს დაინტერესდა თეატრის ახალი მასობრივი ფორმებით. ეს იყო ავტოსტარული თეატრები, რომლებიც იმ ხანაწალიან ვაგრელებული იყო სამტრია რუსეთში, როგორც თანადროულობის ასახვისა და რევოლუციური პროპაგანდის ერთ-ერთი ქმედითა იარაღი. სამტრია საქართველოში მისი მოწყობთავს იდო რუსეთის დეპუტათა სააგენტოს კავკასიის ბუროს საქართველოს განყოფილებამ — „გრუჯავრისტამ“. ეს იყო 1921 წლის მარტსა და აპრლში. შეიქმნა ქართული და რუსული თეატრები და ქართული თეატრის რეჟისორ-ხელმძღვანელობა დაეკავა მ. ჭაუტრელს. მან მოამზადა მკერე ფორმის პოესიკოსაგან შემდგარი ერთი პროგრამა. (ეს პიესები რუსულიდან იყო თარგმნილი და გადმოკეთებული ნ. ჩაჰაეის მეერ) ქართული თეატრი გაიხსნა 4 მაისს და ნაწვენები იყო მ. ჭაუტრელის მეერ მომზადებული ავტოსტარული მინიატურები „ოქროსი კრბი“, „ასასულაო“ და სხვანი. თეატრმა გაპართა რამდენიმე წარმოდგენა. უკანასკნელი წარმოდგენა შესდგა 6 ივლისს.

მიხეილ ჭაუტრელი განაგრძობდა მოღვაწეუ-

ბას რუსთაველის თეატრში, როგორც მსახიობი. ამასთანავე, 1921 წლის შემოდგომაზე მონაწილეობა მიიღო პირველი საბჭოთა ქართული ფილმის შექმნაში. ეს იყო „არსენ ჭორჯაშვილი“ შალვა დადიანის სცენარით, დადგმული ივანე პეტრესტიანის მიერ. ფილმი ეკრანზე გამოვიდა 1921 წლის დამლევს. ეს გახლავთ პირველი საბჭოთა ქართული ფილმი. აქედან იწყება მისი ნაყოფიერი და უდიდესი მწარმოებლობის მოღვაწეობა საბჭოთა კინოხელოვნებაში.

მაგრამ მისი ჭიაურელს თეატრისათვის თავი არ დაუწეებია, კინოში მოღვაწეობის პარალელურად მთელი ოცი წელიწადი ემსახურებოდა ქართულ თეატრს თავისი საჩუქრით ოსტატობით. 1924 წელს იყო რეჟისორად თბილისის წითელ თეატრში, შემდეგ მუშათა თეატრში, ხოლო 1927-1928 წელს ამ თეატრის ხელმძღვანელია. განახორციელა მთელი რიგი საინტერესო დადგმები. 1926 წლიდან ხელმძღვანელობდა ეგრეთწოდებულ „კოპოთეატრს“, რომლისაკენა წარმოიქმნა დღევანდელი თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი. მისი ჭიაურელს ეკუთვნის ამ თეატრის შექმნა და შემოქმედებითი განმტკიცება. მან აღზარდა ამ თეატრის მსახიობთა პირველი თაობა. დ. ძნე-ლაძესთან ერთად მან ამ თეატრში განახორციე-

ლა ისეთი საინტერესო დადგმები, როგორიც იყო მოლიერის „სკაპენის ოინები“, ოდრანის ოპერეტა „მასკოტა“, ლოპე დე-ვეგას „თავა და ავი ძაღლი“ და სხვა მრავალი.

მუსიკალური კომედიის თეატრის ხელმძღვანელობას განაგრძობდა 1942 წლამდე, ვიდრე „მოსფილმში“ გადავიდოდა სამუშაოდ.

მიხეილ ჭიაურელის წარსული თეატრალური მოღვაწეობის გაცნობის შემდეგ არ შეიძლება გულა არ დავგწყდეს, რომ ამ დიდი ხელოვანის მადლიანი მარჯვენა კნთით განისაზღვრა თორემ დარწმუნებული ვართ, რომ ქართული თეატრი კიდევ არაერთ ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებდა.

კინოში კი, როგორც უკვე ვთქვით, მისი მოღვაწეობა საყოველთაოდ ცნობილია; მ. ჭიაურელს ბრწყინვალე სურათებმა თავიდანვე აღიარება მოიპოვეს მხატვრული ოსტატობით, შემოქმედებითი სიახლითა და იდეური მასშტაბურობით. მათ გაამდიდრეს სოციალისტური რეალიზმის კონოხელოვნება, გააფართოვეს მისი გავლენა სფერო.

სახელოვანი ხელოვანი თავისი დაბადების, მ. წლისთავს ხელხვეიანი და საჭკოთა სამშობლის წინაშე ვალმობილი ხვდება.

სალომე ყანჩელი ნათელა არველაძე

სალომე ყანჩელის აქტიორულ ბიოგრაფიაში ახალ ეტაპი იწყება მას შემდეგ, რაც 1955 წელს რუსთაველის სახ. თეატრის კოლექტივის წევრი გახდა. ეს იმიტომ კი არა რომ დედაქალაქის სცენაზე გამოჩნდნენ მისი გამოჩენილი, არამედ იმიტომ, რომ თვისობრივად სხვაგვარ თეატრს უნდა შეგუებოდა.

იზნანად ნიჭიერი მსახიობებისაგან შემდგარი სოხუმის თეატრის ქართული დასი აღმავლობას განიცდიდა. არაერთგზას იქნა აღიარებული ამ თეატრის სექტაკლები, რომლებშიც მრავალი ოსტატურად შესრულებული როლი მხატვრულ მოღაწეობას წარმოადგენდა.

სალომე ყანჩელი ასეთი თეატრის „სოლისტს“ წარმოადგენდა და გათამაშებულაც იყო ყურადღებით — პარტნიორებისაგან, მაყურებლისაგან, პრესისაგან. მას უკვე გაჩნდა აქტიორული ბიოგრაფია, გამოკვეთილი ინდივიდუალობა, თავისი ხელწერა, თავისი სუჩვილები.

სასკენო ბიოგრაფია დიდ რეპერტუარსა და მრავალგვარი ხასიათის გმირებს ითვლიდა. ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“), იულია ტუგინა (ა. ოსტროვსკის „უქანასენელი მსხვერპლი“), ძიძია (ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გონა“),



ს. ყანჩელი ბერნარდა აღბას როლში.



ესმა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), ეკატერინე ჰუკუვაძე (მ. მრეკლავის „ბარათა-შვილი“), მაია (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელა“), შირანი (ნ. ჰიქმეთას „ლუგენდა სიყვარულზე“), მირანდოლინა (ვ. ვოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“) და სხვ...

როგორც ჩამოთვლილ როლებიდან ჩანს, მსახიობმა თავისი შესაძლებლობები სცადა დრამაში, კომედიაში, ფსიქოლოგიურ დრამაში, ტრავედიანში. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია გამდიდრდა სხვადასხვა ინდივიდუალობის მქონე ავტორებთან შეხვედრით, წვეკრად განსხვავებული ხასიათის გმირებს მისწრაფებამ გაზიარებით თანდათან გამდიდრა მსახიობის აქტიორული არსენალი, დაიხვეწა ბუნებრივი მონაცემები, დაოსტატდა. უპირველესად კი გაზიარდასახვის რთულ ხელოვნებას ეფუძლებოდა, ისევე როგორც დასაწყისი თეატრალური ინსტიტუტის კვლევები, სადაც დაიბადა მისი ექვინია შვარცა (ა. ბრუნშტეინის „ციისფერი და გარდისფერი“), კეკელია (ვ. მოლდინანის „ქორიკანა ქალები“), კეი (გ. პრისტლის „დრო და კონეთის ოჯახი“).

მხოლოდ სრული გარდასახვის წუთებში განიცდის მსახიობი უნეტარეს ბედნიერებას, უკიდურეს სიამოვნებას. ს. ყანელი კი ასეთი სიამოვნების ტრფიალია. მისი აქტიორული ინდივიდუალობა უდაოდ შეინიშნება ამჟამად. მრავალფეროვანი იყო მსახიობის ხელწერაც. მას აქვს გმირის მთლიანობაში დანახვის უნარი, რომელსაც მის გარეგნულ სახიერებაში წარმოადგენს. უყვარს გმირის ხასიათიდან რაღაც განსაკუთრებული თვისებას გამოყოფა და მისაგზარდა; იცის თამაში, ზოგჯერ მოურიდებელი და მოულოდნელი შტრიხის მოაზვნა, კონტრასტულ ფერთა ხმარება, მაგრამ უმეტესად თვალში საცემი არ არის ხასიათის მისეველი ძერწვა. გმირის შინაგანი თვისებები და გამოშახველობითი აშუალებანი ორგანულად, თანდათან, თითქოს შეუქმნევლადაც კი გადადიან ურთიერთსაწინააღმდეგო ფერადოვნებაში. მისი ივლიტე გონებაზეხელფულიც იყო და ქალურიც ემშობი, პეტრუსოვა — ამაკო და სუსტიკი, ვალია — ფუქსავატიც და მიუყარებელიც. მართა-მოსიყვარულეც და დაუნდობელიც... ამგვარი თავისებურება სიხუმრის თეატრშიც ატანობოდა, ამ მხრივ რუსთაველის სახელობის თეატრის პერიოდი გამოჩაჩის არ შეადგენს, გზის გაგრძელება მხოლოდ...

ამ დროისათვის რუსთაველის სახ. თეატრში მყოფი ს. ყანელის თაობის მსახიობთა ხელოვნებას უკვე გააჩნდა თავისებური ხელწერა. ისინი ქმნიდნენ ერთმორწმუნე კოლექტივის ანსამბლურ ხელოვნებას, მათი დევიზი იყო გრძნობათა მქსიმიალური სიმართლე, ადამიანის

შინაგანი სამუშაოს, „თვლით უხილავი მსახიობთა ამოცნობა და ასახვა ემოციური, ორგანიზალური და სახიერი ფორმის საშუალებით. მათ შემოქმედებაში იკითხებოდა ეროვნული თეატრის ტრადიციის ორგანული შესაძლების ძიება თანამედროვე სასცენო აზროვნებასთან.

იმ დროსთვის მტკიცედ შედუღებულ კოლექტივს ამ მაღალი მიზნისათვის ბრძოლის გზაზე უდიდესი თვგანწირვა ახასიათებდა. ს. ყანელი მათ მწყობრში ჩადვა და გარკვეული როლიც ითამაშა...

ეს უაქტი მრავალმა მიზეზმა განაპირობა, მთავარი კი იყო შემდეგი: მათ აერთიანებდა თეატრალური ინსტიტუტი, ჰედაგოგ ვიორგი ტოვსტონოგოვისაგან ჩანერგილი, გარკვეული თეატრალური ესთეტიკა. ამრიგად, სათავე საერთო ჰქონდა მათ შემოქმედებას. ს. ყანელის პირველი როლები მ. ჩახავას, გ. გეგეკუროს, ერ. მანგვლასის და სხვათა გვერდით დაიბადა. აქტიორული ბიოგრაფიის დასაწყისიც ერთიანი ჰქონდათ, მათ აერთიანებდათ წლები. ისინი ერთ თაობას განეკუთვნებოდნენ. გააჩნდათ საერთო იდეალები, ერთგვარიზმანი დამოკიდებულება ბევრა მოვლენის მართ. მათ აერთიანებდათ დრო.. დრო, რომელსაც ჩამოაყალიბა ისინი, როგორც მოქალაქენი და მხატვრები, მათ აერთიანებდათ ასაკიც, როდესაც შევიძლია შედარებით ადვილად დასთმუ საუკეთარი კეთილშობილება, პირველი ინტერესები ანაკელო საერთო საქმეს, როდესაც თამაზად ეძიებ, როდესაც შენთვის მთავარია ძიებათა პროცესი, მიგნებათა სიხარული და არა მიგნებულთ გამოყოფილება... ასეთი კოლექტიური ძიების პროცესში დაიბადა ივლიტე ბოსტოლანაშვილი (ვ. ბუაიძის „ამბავი სიყვარლისა“), ლიადა პეტრუსოვა, ვალია (ა. არბუზოვის „ირკუტსკის ისტორია“), ლიზი (რ. ნემის „წვიმის გამოიდევლი“), მზეთუნახავი (გ. ნახუტიშვილის „ქინკრაქა“), ზაზალი (მ. ელიოზიშვილის „მეგებრი მეტურნები“), მართა (დ. კლიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“), მარიკა (ვ. როზოვის „ვახშობის წინ“)...

ასე გამოიკვეთა ს. ყანელის აქტიორული ინდივიდუალობა. სცენისათვის მთელი თავისი აქტიორული შესაძლებლობების გაღება — განურჩევლად იმისა მთავარია როლი, თუ მხოლოდ ეპიზოდური. ცხოვრებისეული სიმართლე, მხატვრული განზოგადობა; გამოკვეთილი სახიერება, პლასტიკური მონახაზის სიხუსტე, სცენური თავისუფლება, ლირიზმისა და დრამატის ორგანული შეხამება, გროტესკულ სიმკვეთრემდე აყვანილი დეტალებით აზროვნება...

ს. ყანელს განუზომლად უყვარს სცენა და ეგოისტურად — თავისი გმირები, ძლიერად შეყვარებული ქალებისათვის დამახასიათებელი ექ-

ნიაზობით. მაგრამ ანგარიშმოქმედმაღ კი არასოდეს, ზუსტად განსაზღვრული მიზეზით უყვარს: სცენა მისთვის განსაკუთრებულად გონივრულია, სადაც ბუნებრივი განკონიბით ცხოვრობს, სადაც ნამდვილი თავგანწირვა ძალუქს, სადაც დაუფარავი სიმართლით ვადაისხსება. კვეცნობიერისა და ცნობიერის ამგვარი ჭიდილი მისი შემოქმედებითი ცხოვრების საინტერესოა თვისებას წარმოადგენს.

ძვირფასია მისთვის ყოველი როლი, რომელიც თამაშში, განურჩევლად იმისა ვიილო თუ არა შემოქმედებითი სიხარული. მან ხომ ვაიღო საერთო სიკაცხლის ნაწილი, ვაიღო მაქსიმუმ — ასევე მთელის არსებით შეიკვლია როლი თავის აქტიურულ ბიოგრაფიაში ამიტომაც განსაკუთრებით ეკვიანია დუბლიორის მიმართ, თითქმის ცხოვრების ნაწილი წაართვესო. მაქსიმალურში მისი ადამიანური და აქტორული ინდივიდუალობის თავისებური განმსაზღვრელია. ამიტომაც ყოველი მისი როლი განსაკუთრებულია თავისი სცენური ცხოვრებით. განსაკუთრებულია მაშინაც კი, როდესაც ჩვეულებრივ დიასახლის თამაშობს, და მაშინაც როცა ჩვეულებრივ მეშინანს განასახიერებს. ამ როლებს ასახიათებთ ზუსტად განსაზღვრული მიზანი და ძლიერ ლოგიკას ემორჩილება გმირების საქციელთა ფერადონებაც. ამიტომაც სპექტაკლის ხანდაზმულობა მის შესრულებაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. შემოქმედებითი სიამოვნება განიკლნის პრემიერაზე და ჩვეულებრივ რავით სპექტაკლებზეც. ვადის დრო, თეატრის ისტორიის კთენილება ხდებიან მისი გმირები, მაგრამ ახლაც ცოცხლად ვეგვებს წარმოდგენილი — მოულოდნელობისაგან დაბნეულ ივლიტეს გულის სიღრმეიდან როგორ აღმოხდა თავდახსნის ერთადერთი საშუალება „ბოლიში“, მოკრძალებულ მზერა როგორ ტყორცნა ექვითიმეს; საკუთარ სიამაყესთან ხანგრძლივი ჭიდილის შემდეგ როგორი სიმკაცრით გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს პეტრუსოვამ და როგორა ტკივილია იუთხა „ჩვენ ვინ ვაგვასამართლებსო“; როგორი ხალთი ჩაიკრა გულში შვილების სათამაშოები ვლოამ და თავის ერთი გაქნევით როგორ უარყო ვიქტორის სიყვარული; განებვივებულ ბანოგანის მანერულობით როგორ ავიძმა ბლოკის ლექსი მისმა თალომ, მერე წითელთავსაფრანო როგორი გულმზურვალეობით იცემდა მკერდში შემტად შეკრულ ხელს, ნირწამხდარი, მხრებში ჩაყარდნილი როგორ ცდილობდა უჩინარა შექმნილიყო; როგორი მონოტონური თავდაყენებით უხსნიდა ს. ყანჩელის მზეთუნახავი ლამაზ ბაყ-ბაყ დევის საიდუმლოს; ჭორიკანა ძალი როგორ სძლევდა ქან იანში ვულმზურვალე დედის... კონტრასტული ფერება, ფაქიზი ნუწანსები, ფრთხილი ჰუმორი ყოველთვის თან სდევს

ს. ყანჩელის გმირებს. მსახიობი არასოდეს არ გმობს მათ დაუნდობლად — ისინი ხომ მისი სისხლბოცეული არიან.

წაწარმოების უნარი კარანახობს მას გამომსახველობით საშუალებათა ფერადონებას, პარტნიორის შესრულებაში კი პოულობს საპასუხო ნიუანსებს. განსაკუთრებული ელფერი ეძლევა ამ ნიუანსებს, როდესაც იგი გ. გეგაქვიორის პარტნიორია. მათი დღეები შესმატკობილი და სინქრონული პროცესია მეტყველი სცენური ურთიერთქმედებისა, სადაც ძალდაუტანებლად სუფევს შინაგანი ჰარმონია. ექვითიმე და ივლიტე — რალე ვანუყოფელ ორეულებად იქცენ, როგორც მინა და მარიკა („ვახშმობის წინ“); გიორგისა და ნესტანის ღამის სცენა სპექტაკლში „მოულოდნელი სტუჰარა“, ნაქსოვია ისეთი ფაქიზი, ძნელად მისაგნები ნიუანსებით, თბილი საღებავებითა და ამავე დროს მკვეთრი შტრიხებით, რომ მათი სცენური ცხოვრება ვანუყოფელ ერთიანობაში აღიქმება. ამ ურთიერთობაში ადვილად იკითხება მთავარი — როგორ იქცევიან ხოლმე ერთ არსებამ მოსიყვარულე ცოლქმარი. საუკეთესო როლებში ხასიათის ჰარათადი თვისება განსაკუთრებულად მეტყველ ფორმაში გამოკვეთება ხოლმე, ეს თვისება ს. ყანჩელის როლების ცხოველმყოფელობის საწინდარია, მისი აქტიურული გუმანის დასაბუთება...

შემოქმედებითი სიწიფის ხანაში შეხვდა ს. ყანჩელი ა. ცავარლის ხანუშას, პრესა აღნიშნავს, რომ მსახიობის აქტიურული ინდივიდუალობა ამ როლში მთელის ძალით ვადაიშალა. ჩვენ დაეუმატებთ, რომ მასში გამოვლინდა ყველა სიკეთე და თავი იჩინა ყველა ცთუნებამ... ამ სტრაქონების ავტორის ისეთი თეატრალური ესთეტიკის სწავს, რომელსაც ქმნიდა ს. ყანჩელის თაობა წლების განმავლობაში ამ პოზიციიდან სპექტაკლი „ხანუშა“ ახლის ჰიება არ არის, გზიდან ვადახვევია უთოოდ. (ამის ფაქტის კვლევა მრავალ მიზეზს ახსნის მომავალში).

ს. ყანჩელმა მოიგრო როლი, რალე სატანური ძალით დაეწაფა და განსაკუთრებულ სიამოვნებით ითამაშა მისი რამდენიმე ვარიანტი. (რეპეტაციების დროს, რომელიც 9 თვეს ვაგრძელდა და მზა სპექტაკლის დროს. რომელიც 5 სეზონის ისტორიაა ითვისის). ს. ყანჩელმა თავდაუზოგავი მუშაობა იცის, საინტერესო სარეპეტაციო პროცესში აგნებს გმირის ხასიათს, რომელშიც რეჟისორული ვადაწყვეტა და ერთობლივი აზროვნება არეკლება...

ეს სპექტაკლიც მათი საერთო ნაწილია. სცენაზე არიან ს. ყანჩელი, ე. მანჯგალაძე, რ. ჩხევიძე, ჯ. დღაძიძე... მოულოდნელობით აღსაყვან იმპროვიზაციული მომხიბვლელობა, ნიჭისა და ოსტატობის დემონსტრაცია, მსახიობთა ვატაცებული თამაში და მყუერებლის



თავაყუეტილი მოძალემა — განსაკუთრებულ-
ბის ნიშნით აჯილდოვებს სექტაკლს და იგი
მინც მსახიობთა შესრულების ცალკე ნომრე-
ბია, სოლისტის გამორჩეულმა სიტკობებამ სძლია
ერთიანობის უტყუარ შეგრანებას... და ს. ყან-
ჩელი ლაღად გრძნობს თავს სცენაზე. დიდი
ხნის მანძილზე დამორჩილებულმა და დათრგუ-
ნულმა ცუხნებამ იჩინა თავი.

არც ერთ როლში ასე გაშიშვლებულად, ასე-
თი დაურიდებელი სიმკვეთრით არ გამოჩენი-
ლა მსახიობის ინდივიდუალობა. ს. ყანჩელი
ხანუშას თავდუზობავი მოტრფიალა. თამამი,
ფართაშა, მამაკაცივით დაურიდებელი ფართე
ნაბიჯით შემოდის მისი ხანუშა სცენაზე. ხელე-
ბის ფართო მოძრაობით, ამყაფად გადახნილი
ტორსით, ტანისა და თავის კელსუკი რხევით
ყურადღებას ითხოვს. მისი მედიდური თვით-
მყაფილება ამყარად ჰკვიცის: მოვიდა რომ
გამიარჯოს, მოვიდა, რომ უპირატესობა დაამტ-
კიცოს. ასე მხოლოდ ისეთი ადამიანები დადიან,
რომელთათვისაც ხალხის ყყანსა და მითქმა-
მოთქმას კარგა ხანია აზრი დაუკარგავს. არც
არავის რიდი აქვთ და არც არავის დანდობა
იცან. ხანუშასთან ერთად ძველი თბილისის
კოლორიტული სურნელებაც შემოდის სცენა-
ზე... მაგრამ სადღაა ის შინაგანი ცვლების,
ზომიერი ნიუანსების, მეტყველი დეტალებისა
და მტკიცე ლოგიკის საინტერესო პარაზონია,
რომლითაც განირჩეოდა მათი ხელვინება. მო-
ხიბლული ვართ მსახიობებთან დაუშრეტელი იმ-
პროვიზაციით, გონებაშახვილობით... მაგრამ მათ
შესრულებას სწორედ ერთიანობის სურნელი
აქლია. ისინი ურთიერთ ჭიდილში კი არ ქმნიან
გმირებას სცენურ სიცოცხლეს, არამედ ერთ-
ურთს ეციბრებთან გონებაშახვილობასა და მო-
წრებულ პასუხებში, ზოგჯერ სიტუაციით გაუ-
მართლებელ რეპლეკეში. ესეც სანახაობაა,
ნიჭიერი სანახაობა, მაგრამ მხოლოდ ცალკეული

სცენების სანახაობა... და ს. ყანჩელი
დადის სცენაზე. ტანისა და თავის
რხევით, დაუფარავი მოურიდებლობით აფრ-
ქვევს ხანუშას „ფილოსოფიას“. და ძველი
თეატრის მომხიბვლელ კოლორიტთან ერთად
ძველი თეატრის ამ მაკთუნებელი სიტკობი-
თაც თერება. „სოხუმის პერაოდში“ განცდილი
სიამოვნება — სიამოვნება სოლისტისა, გამოი-
რთა ამ როლში...

ემოციური დაძაბულობა და შინაგანი სისასვე
მისი ხელვინების თანამგზავრია, შემდგომ რო-
ლებში შინაგანი რთული პროცესის დახვეწა და
დრამატუზმის გზებზე შეინიშნება. ალბათ ამ
თვისებასაც გულისხმობდა რეჟისორი თ. ჩხვიძე,
როდესაც აღნიშნავდა მისი ბერნარდა ალბას
შესახებ: „სალომე ყანჩელის ეს სრულიად სხვა,
ახალი როლია, სხვა კუთხით დანახული, სხვა
მანერით შესრულებული და საინტერესო შე-
დეგაც მიადრია“. თვით მსახიობმა კი ასე ახსნა:
„ეს როლი ჩემთვის სრულიად სხვაა, მე მომიხ-
და სულ სხვა ჩვევების გამოქუშავენება, სხვა ხმის
შემქნაც კი. ვიხსენებდი ჩემი ცხოვრების ყველა-
ზე უფრო ძნელ და ტკივილით სავსე მომენტებს.
ესეც მშველოდა ვგონებ“...

თვით აქტიორსაც გაუჭირდა ზუსტად აეხსნა
ის ახალი, ჭერ კიდევ სცენაზე მოუსინჯავი მაგ-
ნების განსაზღვრა, რასაც მიადრია ბერნარდა
ალბას როლში. ერთი კი იგრძნო, რომ დაიწყო
ახალი ეტაპი მის შემოქმედებით ცხოვრებაში
და ენახათ როგორი იქნება იგი...

ოცდაათი წელი შეუმჩნევლად მიილია. ბევრი
სიხარული და ტკივილი, გამარჯვება და მარცხი
მოითვალა. სალომე ყანჩელი შეუმჩნევლად გაზ-
და ქალბატონი სალომე. თეატრშიც ბევრი რამ
შეიცვალა, ცხოვრებამაც იცვალა სახე და სალო-
მე ყანჩელის მომავალი გმირი ამ ფერისცვალე-
ბის ანარეკლი იქნება უთუოდ.

საქმენან შენან გამობაჩიოს.

არჩილ ღაბითიანი

8. პრინსაჰის სახელობის გორის სახელმწი-
ფო თეატრის მსახიობს, საქართველოს სსრ დამ-
სახურებულ არტისტის ერვანდ არაქელაიკის პი-
რად არქივში ერთი ფოტოსურათი ინახება...
წყალტუბოს ბაღის ერთ კუთხეში, გრძელ მერხ-
ზე ზის ქართული კულტურის გამოჩენილი მო-
ღვაწე იოსებ იმედაშვილი თეთრი თმით, ბიბ-
ლიოთრი წევრულვაშით, შავი ნაბდით, თუშური
ქუდიით და განუყრელი ხელჯოხით. მის ზურგს
უკან, მერხის საზურგესთან დგას თეთვი ერ-
ვანდი. დაკვირვებულ თვალი ერვანდის სახეზე
ამოიკითხავს მოკრძალებულ ბატვისცემასა და

სიყვარულს ღვაწლმოსილი ადამიანისადმი, რო-
მელიც ექვს ათეულ წელზე მეტი უანგაროდ ემ-
სახურებოდა მშობელ ხალხს, მისი კულტურულ-
ლი ცხოვრების აღმავლობის კეთილშობილურ
საქმეზე.

ერ. არაქელაიკის ცხოვრება და მოღვაწეობა,
რა თქმა უნდა, იმედაშვილის სახელს ვერ გაუ-
ტოლდება, მაგრამ ისიც თავის გულის სითბოს
არ აკლებს ქართულ თეატრს.

ერ. არაქელაიკის ბიოგრაფიის თუ თვალს გა-
დავავლებთ, იგი ძალიან ჰგავს ქართული თეატ-
რის უფროსი თაობის მიერ განვლილ გზას.

...ცხოვრებაში ბევრი მწარე ეკვამე. უკან რომ გაიხივდავ, თვალწინ დამიდგება ჩემი ბავშვობის სველიანი დღეები, თავისი უბედურებით. მე მასხენდება სიღატაკე, შიმშილი, დაცინვა და დამაცირება. ჩემი სამშობლოს ფასი კარგად ვიცი. ვამაყობ, რომ ოდესღაც ობოლი, ტლუ ბიჭი დღეს საბჭოთა ქართული თეატრის მსახიობი ვარა, — ერთჯერ უწყურია ერვანდს და ამ მრწამსით არის გასხივანებული მთელი მისი შინაარსიანი ცხოვრება.

ქართული თეატრის კარი ერ. არაქელოვმა 1924 წელს შემოაღო. პირველი ნათლბა თბილისის ერთ-ერთ კლუბთან არსებულ ქართველ სცენისმოყვარეთა წრეში მოხდა... ჯერ მჭერვის როლი შეასრულა, შემდეგ ვანო ბერდიავილი ვანასახიერა პოლიო ირეთელის პიესაში „დამარცხებულნი“.

1929-30 წლებში ნავთულის დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა. იყო მუშა-მწერალთა გაერთიანების ერთ-ერთი წევრი. შემდეგ მუშაობდა ხაშურის რკინიგზის კლუბთან არსებულ ნახევრად პროფესიულ თეატრში, ხოლო 1939 წლიდან სამუდამოდ დაუკავშირდა ქართლის გულში, გორში ახალგაზსნილი თეატრს, რომელსაც რეჟისორი პავლე ფრანგივილი ედგა სათავეში. აქედან იწყება შემოქმედებითი გამარჯვებებით აღბეჭდილი წლები. ამ ხნის მანძილზე მსახიობმა 200 სხვადასხვა სახე გამოამარწა. მის მიერ ნათამაშები როლები უმთავრესად დრამატულ ხანის განეკუთვნება, უნდა ითქვას, რომ მისმა ნიჭმა სწორედ დრამატიზმით დამუხტული ხასითების გამოკვეთაში კპოვა სრული გაშლა. ასეთი როლების შესრულებით მას არაერთხელ მიუნიჭებია სიამოვნება და სიხარული მაყურებლისათვის.

აი, ზოგიერთი მათგანა:
დაუეწყურია ე. არაქელოვის არიგო პალმიონი (პ. ჯაკოშვიტის „დამნაშავე ოჯახიდან“). იგი მებრძოლი ათეისტი იყო, კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ აშხედრებული, მღალა ზნეობისა და მორალის მქონე პუმანისტი.

ამილახვარის როლში (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთლი“) ერ. არაქელოვმა შექმნა ვერავი ფეოდლის კოლორიტული სახე, რომელიც სპექტაკლის დღღაბიებით შეკრულ ანსამბლს კიდევ უფრო მეტ ლაზათს კმატებდა.

ერ. არაქელოვმა ჩვეული სიწრფელითა და უშუალობით განასახიერა ძველი კომუნისტი სოლომონ კეთილაძე (ლ. მილორაეას „ეერპკრეტა“).

თინებე უთურგაულში (მ. მრეველიშვილის „ზევი“) მსახიობმა დიდი უშუალობით წარმოსახა ახალ ცხოვრებასთან ცბიერად შეგუებული ბოროტი ადამიანი, რომლის არსებას ღრღნის პატიმროყვარობისა და კარიერისძიის კია. იგი

ნამდვილად იყო „ყაყარისაიეთ გულში და ლოყებლაქაქა“ ვაიძევა.

არსენას მამა, ცალთვლა დევი — ლეთისავარი (მ. ჭავჭავიშვილის „არსენა მარანდელი“) ერ. არაქელოვის შესრულებით, ერთი შეხედვით, ცივი ადამიანი იყო, რომელსაც არ სჩვეოდა სიყვარულის პირდაპირი გამქლავება შვილისადმი, მაგრამ მაყურებელი კარგად გრძნობდა თუ როდენი შინაგანი სიყვარული იყო გამთბარია ამ მოხუცის ბუნება და არც იმაში შეპარავია ეჭვი, რომ არსენასებური გმირის გამოზრდა მხოლოდ ასეთ მშობელს შეეძლო.

დიდხანს დაახლოდა გორელ მაყურებელს ერ. არაქელოვის ბიძია თომას (ბინერ სტოუს „ბიძია თომას ქობია“). მსახიობმა ყველაფერი გააკეთა, რომ მაყურებლამდე მიეტანა ბიძია თომას გულის სითბო. მას ყველაფერი გამოაცალეს ხელიდან, მაგრამ ადამიანობა მაინც შერჩა სიყვდილამდე. ასე გააკოცლა არაქელოვმა ბიძია თომას და ეს სახე ერთ თვალსაჩინო მიღწევად დარჩა მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

დაუეწყურია იყო ერ. არაქელოვის გორა პაპა (გ. ბერძენიშვილის „გული ხელის გულზე“), იგი ნარიყალასაიეთ ფუტყჩაკრული მოხუცი იყო, რომელსაც შესისლბორცებული ჰქონდა ყოველივე ვაყაკური, ადამიანური, ამაღლებული და ამ თვისებებსავე ეწირება მსხვერპლად, როცა მათი დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა.

ოდოარდო გალოტის როლში (ლესინგის „ემილია გალოტი“) ერ. არაქელოვმა ჩვეული ოსტატობით გამოამარწა ქალიშვილის ბეღით აფორიკებული მამის სახე. მისი ოდოარდო უმციორეს დეტალებამდე დახვეწილი თამაშითა და ფსიქოლოგიური განცდების მრავალფეროვანი ნიუანსების გადმოცემით გამოირჩეოდა.

კიდევ შეგვეძლო გავვეგრძელებინა მსახიობის მიერ შესრულებული როლების დახასიათება, მაგრამ ეს ძალიან შორს წავიყვანდა, რადგან მათი რიცხვი, როგორც ზემოთ ვთქვი, 200 აღწევს.

ერ. არაქელოვი ერთ-ერთი იმთავანია ვინც ძილში თუ ცხადღივ მხოლოდ სცენით ცოცხლობს, ვისთვისაც ძვირფასია სპეცფიკური სურნელებით შეზავებული პაერი სცენისა, რომლის მაგნიტური არე ძალუშად იზიდავს ყველას, ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია მის ბოვირბანზე.

მაგრამ არაქელოვს თეატრის გარდა ერთი სხვა საუნჯეც გააჩნია, ეს არის ქ. გორი. იგი გულთამილველის დაუძლეველი გრძნობით არის შეყვარებული ამ ქალაქზე.

მსახიობის პირად არქივში თავმოყრილია რაიონულ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი წერილები, იუმორისტულ-სატირული შინაარსის ლექსები და ფე-



ლეტონები, რომლებშიც ძალუმად იგრძნობა მშობლიურ ქალაქზე შეყვარებული მამული-შვილის მგზნებარე გულისცემა. მათში იგი დადებითს ქება-დიდებათ იხსენიებს, ცუდსა და უარყოფითს კი ჰკიცხავს.

თი გორის რაიონული გაზეთიდან ამოჭრილი ერთი ცნობა.

„...გორში დამკვიდრების თითქმის პირველ დღეებიდანვე, 1939 წლის შემოდგომიდან, ე. ა. რაქელაძე სხვადასხვა დროს სათავეში ედგა დრამატულ წრეებს გორის კულტურის სახლში, რკინიგზულთა და ფეიქართა კლუბებში, ქალაქის უმეტეს სკოლებში. სცენის მოყვარულთა ძალუბით მან განახორციელა ათობით პიესის დადგმა. მათ შორის შ. დადიანის „გეგეკეკორი“ და „შენი ჭირიმი“, ა. ყაზბეგის „არსენა“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ციმბირელი“, ვ. გუნიას „ორი გმირი“, მიხ. მრეველიშვილის „ხარატანთ კერა“ და სხვა“.

გურგენ ჯანიბეკიანის სლაგო

18 თებერვალს საქართველოს თეატრალურ საზოგადოების ა. ხორავეს სახელობის მსახიობის სახლში ჩატარდა გურგენის გ. სუნდუქიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის გურგენ ჯანიბეკის ქე ჯანიბეკიანის (ტურ-ხაჩატურიანი) შემოქმედებითი სლაგო.

სლაგო შესავალი სიტყვით გასსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტმა დიმიტრი ალექსიძემ.

— იღეს თბილისის მსახიობის სახლში ზეიმია, — განაცხადა დ. ალექსიძემ, — ჩვენთან არის სომხეთის დიდი მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი გურგენ ჯანიბეკიანი. ჩვენი სასურველი სტუმარი დაბადებულია 1897 წელს. მან თავის სასცენო მოღვაწეობა 1918 წელს დაიწყო ერევანში, შემდეგ მუშაობდა ლენინკანში, თბილისში, ხოლო 1924 წლიდან კვლავ ერევანშია, სადაც განაგრძობს დიდ შემოქმედებით მუშაობას.

დ. ალექსიძემ ილაპარაკა გ. ჯანიბეკიანის დიდ დიპლომატიკაზე, მის მრავალმხრივ სასცენო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

დ. ალექსიძეს შესავალი სიტყვას შემდეგ დაიწყო სლაგოს მხატვრული განყოფილება, რომელშიც წარმოდგენილი იქნა გ. სუნდუქიანის სახელობის ერევნის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლების ნაწყვეტები გ. ჯანიბეკიანის მონაწილეობით.

გარდა ამისა, ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი ფილმიდან „ფარდა არ ეშვება“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდა გ. ჯანიბეკიანი. მიყურებლებ-

ენთუზიასტი ხელოვანის კალამს უმადობდნენ. ი. ჯავახიას „გლახის ნაამბობის“ პირველი გასცენიერება, ეს პიესა გორში რამდენიმე დრამატულმა წრემ ითამაშა, ხოლო მისი „გორ-ზაქარა“, რომელიც იმსცენიერებულა ს. მგალობლიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, გორის სახელმწიფო თეატრში დაიდგა.

ამ წერილში ლეაწლმოსილი მსახიობისა და მოქალაქის, რომელსაც 60 წლისავე შეუსრულდა, შინაარსიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ზოგიერთ შტრიხს შევეჩეთ, და იგი გვინდა დავამთავროთ ერ. არაქელისავე სიტყვებით, რომელიც თავისი მინიატურების ციკლში აქვს შეტანილი:

„შენს საქმეს თვითონ ფასს ნუ დაადებ, ხალხი თვით ხედავს კარგს და საჩინოს. შენ კარგი ჰქმენი, დაგვახსენენ, საქმენთან შენთან გამოგაჩინოს“.

მა ნახეს აგრეთვე დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახულია გ. ჯანიბეკიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ეპიზოდები.

დასასრულ საყვარელ მსახიობს გულთბილად მივსალმუნენ: მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტები — ვერკო ანჯაფარძე და ვასო გოძიაშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ტ. საყვარელიძე, ი. ტრიპოლსკი, რესპ. დამს. არტისტი გ. ტატიშვილი, ზ. ლაფერაძე, რუსთავის თეატრის სახელით, სსრ კავშირის სახ. არტისტი ავ. ვასაძე, რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტები თ. თარხნიშვილი, მ. თბილელი, გ. გეგეკეკორი, გ. საღარაძე, ე. მდილაშვილი, გ. საღარაძე, რ. ჩხიკვაძე, გრიბოედოვის თეატრის სახელით — რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. პიასეცი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით — საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. კობახიძე, შუშუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრის სახელით საქ. სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვენერა აკოფიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. აპრესიანი-ისნელი, ამავე თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენებზე პაპიანის პიესიდან „დიას, ქვეყანა გადამარუნდა“, რომელშიც მონაწილეობდნენ — საქართველოსა და სომხეთის დამსახურებული არტისტი ევა სტეფანიანი, მსახიობები — ე. კარაბეტიანი, სლაგო მიჰყავდა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ბ. კობახიძეს.

დასასრულ სამადლობელი სიტყვა წარმოვთქვა გ. ჯანიბეკიანმა.

სახალხო თეატრების დათვალიერება

ქეთევან ხუციშვილი

ამასწინათ საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ გურჯაანში ჩაატარა კახეთის ზონის სახალხო თეატრების დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის, ლაგოდეხისა და გურჯაანის სახალხო თეატრები.

დათვალიერების შემდეგ გაიმართა კონფერენცია.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დღევანდელი სახალხო თეატრების მხატვრული დონე და მასში მონაწილე სცენისმოყვარეთა სამსახიბო ოსტატობა, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა, ზოგიერთი სცენისმოყვარის თამაშში დახელოვნება და ერთგვარი პროფესიულობაც კი იგრძნობა, ამაღლდა სპექტაკლების საერთო კულტურა. დათვალიერების დროს ყურადღება მიიქცევს და აღიარება დაიმსახურეს კულტურის დამსახურებულმა მუშაკებმა, საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა ნ. ჟამბუტაშვილმა, რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატმა იზ. ჭარხალიძემ, თ. გიგაურმა, გ. გორხელაშვილმა, ჯ. ძაბილაშვილმა, რ. მარტაშვილმა, ეთ. თედიაშვილმა და სხვ.

კონფერენციაზე გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გამამხვილეს სახალხო თეატრების ამოცანებზე, დაწვრილებით ილაპარაკეს ცალკეული კოლექტივის მიღწევებზე, იმ ენთუზიაზმზე, სიყვარულსა და მონდომებებზე, რომელსაც სახალხო თეატრის კოლექტივები და მათი ხელმძღვანელები იჩენენ. ამასთან ერთად აღნიშნული იქნა ჯერ კიდევ არსებული სერიალული ნაკლოვანებები, კერძოდ, რეპერტუარის სისუსტე.

კახეთის ზონის სახალხო თეატრებში ზნობიად იღვგება სუსტ და ყალბ სიტუაციებზე შექმნილი პიესები. ამის სანიშნოდ დასახელებულ იქნა გ. ბერიამვილის პიესა „სიღნაღი, ჩემო მებაღეო“ ყვარლის სახალხო თეატრში. პიესაში მკვეთრად არ არის გამოკვეთილი ძირითადი თემა, დიალოგები გაბიანურებულია, სიტუები სტატიკურია, მოვლენები არ ვითარდება, მიმამხრებელია გაკვიანურებული ცრემლიანი მელოდრამა. რაც შეეხება ამავე დრამატურგის „თეთრას“ — მისი დადგმა თეატრში მიზანშეწონილად არ მიგვანინა ჭარბი პათოლოგიურობისა და პორნოგრაფიული სიტუაციების გამო. პიესა აღსავსეა გამოკონილი, არაკომპოზიციული ამბებით, ადამიანთა შორის არაბუნებრივი

დამოკიდებულებებით (კერძოდ ბებიასა და შვილიშვილს შორის) და სხვ. ჩემის აზრით, ასეთი პიესები ვერ უნდა იკვლევდეს გზას თეატრისაკენ, რადგან ისინი ხელს არ უწყობენ ახალგაზრდობის ჯანსაღ აღზრდას.

მიუხედავად ამ პიესების ასეთი ნაკლოვანებებისა, სპექტაკლებში შექმნილია რამდენიმე საყურადღებო აქტიორული სახე. ასეთია ნიკო ჟამბუტაშვილის მეტყვევ პევირე სპექტაკლში „სიღნაღი, ჩემო მებაღეო“ (ყვარლის სახალხო თეატრი), თამარ გიგაურის თეთრა და გივი გორხელაშვილის ნოველა გურჯაანის სახალხო თეატრის სპექტაკლში „თეთრა“.

თ. გიგაური კარგად გრძნობს სცენურ სიტუაციებს, მოვლენათა მსგელობას, ფიქრობს, აზროვნებს სცენაზე და ფერადოვანია მისი შესრულება. მის თამაშს ახლავს ზომიერების გრძნობა, ტაქტი. ასევე უნდა აღინიშნოს გ. გორხელაშვილის სამსახიბო ოსტატობა, რომლის თამაში დამაჯერებელია. მისი გამომახველობითი საშუალებები ერთგვარად ძუნწია, მაგრამ მეტყველი. ასევე კარგ აქტიორულ მონაწილემს ავლენს მსახიობი ჯულიეტა კურბანოვა.

დრამატურგიულად ძლიერი არ არის აგრეთვე ლაგოდეხის სახალხო თეატრში დადგმული ან. აღლაძის „ნათელი დღე“, მაგრამ მასში დასმული ოჯახის, მისი ღირსებისა და ადამიანის მოქალაქეობრიობის პრობლემა აქტუალურია.

ამ სპექტაკლში შვიდი მსახიობი მონაწილეობს. აქედან ორი საკავშირო ფესტივალის ლაურეატია, ერთი კი — რესპუბლიკისა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ სპექტაკლის რეჟისორები ვ. თანდილაშვილი კულტურის დამსახურებული მუშაკი და საკავშირო ფესტივალის ლაურეატია, ხოლო მ. გოგოსაშვილი კულტურის დამსახურებული მუშაკი — ნათელი გახდება ლაგოდეხის სახალხო თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წარმატების სათავე.

კონფერენციაზე ერთხმად იქნა აღნიშნული საგარეჯოს, ლაგოდეხისა და გურჯაანის სახალხო თეატრების ნაყოფიერი მუშაობა. აღსანიშნავია, რომ გურჯაანისა და საგარეჯოს სახალხო თეატრების წარმატების მოწმე თბილისელი მამულებელიც გახდა ა. ხორავას სახ. მსახიობის სახლის სცენაზე ნაჩვენები სპექტაკლებით.

ნ. დუმიძის „სახალხო თეატრები დასკვნა“ სახალხო თეატრისათვის რთული დასაძლევია, გარდა



იმისა, რომ პეისაში დასმული რთული საჭირ-ბოროტო პრობლემების გადაჭრა შეიძლება გაუჭირდეს, დიდ სიძნელეებს შეხედება პერსონაჟების განსახიერების დროსაც, რადგან თითოეული მათგანი მკვეთრად გამოკვეთილი მხატვრული სახეა და მათი დამაჯერებლად წარმოსახვა გარკვეულ აქტიორულ ოსტატობას მოითხოვს. საგარეოელთა სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მათ მოლოდინს გადააჭარბებს. ეს რთული ამოცანა წარმატებით დაძლიეს. რა თქმა უნდა, საკუთარი ძალებისადმი რწმენა, სასცენო ხელოვნებისადმი დიდი სიყვარული იყო მიზეზი იმისა, რომ მათ ასე გახმაურებულ პეისას მოჰდეს ხელი. საგარეოს შემოქმედებით კოლექტივს, რეჟისორ ნ. მდიენიშვილის დღემძღვანელობით, მონდომებულად და დიდი სიყვარულით უმუშავეს. სპექტაკლს, რა თქმა უნდა, აქვს ხარვეზები როგორც რეჟისორული ისე აქტიორული შესრულების თვალსაზრისით, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება იმდენად კარგია, იმდენად საინტერესოა, რომ ეს ნაკლოვანი მხარეები იჩრდილება მიღწეულის საერთო ფონზე.

რეჟისორ ნ. მდიენიშვილის დამსახურებაა, რომ ასე ერთსულოვანია ეს კოლექტივი და ასე გატაცებით და სიყვარულით მუშაობს.

სპექტაკლი მსახიობთა უმრავლესობა კარგად თამაშობს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მ. ალექსიშვილის ჭეიშვილი, ჯ. ძაბილაშვილის ტიგრან გულიანი, რ. მარტაშვილის ლიონა და ეთ. თვლიაშვილის დედა. აღსანიშნავია აგრეთვე ფეოლის როლის შემსრულებლის ჯ. არაბულის დამაჯერებელი თამაში, ი. ბუზიაშვილის შთამბეჭდავი ისტორე, ბაზრაშვილის შოშია, თ. ივანიშვილის მეტურიშვილი,

ა. კონიაშვილის გამცემლიძე, ა. თარგამაშვილის მოწიამეხლის კოლორიტული სახე და ნ. ნუკრადის ზავა.

მ. ალექსიშვილის ჭეიშვილი მუდამ ჩართულია სცენურ მოქმედებაში და სცენაზე მომხდარი მოვლენებისა და სიტუაციების შესატყვის რეაქციებს ამჟღავნებს. ამიტომ მისი სცენური ქმედება მართალია და დამაჯერებელი. ჯ. ძაბილაშვილი მსუყე ფერებში გვიხატავს ტიგრან გულიანის კოლორიტულ სახეს. კარგად აქვს მოძებნილი ამ როლის შინაგანი არსიდან გამომდინარე გარეგანი პორტრეტი, ექსტი, ხმის ინტონაცია.

საერთო მოწონება ხვდა რ. მარტაშვილის ლიონას, შემსრულებელს კარგი სცენური მონაცემები აქვს და მთელი მისი თამაში მაღალ დონეზე დგას. განსაკუთრებით კარგი იყო მეორე მოქმედებაში ნუნუ ექიპთან შეხვედრის სცენაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ეთერ თვლიაშვილისა და ნ. ნუკრადის მიერ დიდი გრძობით ჩატარებული საპატიმროში დედაშვილის შეხვედრის სცენა, რომელიც დიდი უშუალოდ იყო გამთბარი.

სპექტაკლისათვის შეუფერებლად მიმჩინია მუსიკალური გაფორმება. იმის მაგიერ, რომ მუსიკა ხელს უწყობდეს, აღრმავებდეს სცენურ სიტუაციებს, ეხმარებოდეს მსახიობებს სახის შექმნაში, იგი ჩემის აზრით, საწინააღმდეგო ფუნქციას კისრულობს.

დათვლიერებაზე სპექტაკლის „საბრალდებო დასკვნის“ ასეთმა წარმატებამ განაპირობა მისი თბილისელი მაყურებლისათვის ჩვენება.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ბ ი ჯ ე ბ ი

მიხეილ იარალი

თვალწაწმენი ალაზნის ველის მიღმა, კვეკელიონის ქედის ძირში მდებარეობს „ნობილი დაბა ლავოდები — განთქმული გემრიელი ხილის ბაღებითა და თამბაქოს პლანტაციებით.

უწინ ამ მხარეს ჰერეთი ვრქვა, იგი სიღნაღის მაზრაში შედიოდა. დღეს, ქალაქი ლავოდები დამოუკიდებელ რაიონული ცენტრია.

თანამედ ყოფილი სიღნაღის მაზრის უფროსის ცნობისა (საქ. ცენტ. არქივის მასალებიდან, 1892 წ.), მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ლავოდებში მდგომ გრენადერის პოლკის საკრებულოში იმართებოდა სხვადასხვა გასართობები რუსულ ენაზე.

სამწუხაროდ, არ არის შემონახული ზუსტი

ცნობები სხვა წარმოდგენების შესახებ, რომლებიც დროგამოშვებით იცვებოდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საქველმოქმედო წარმოდგენები იმართებოდა ადგილობრივი ინტელიგენციისა და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით.

1910 წლის 10 ივლისს ლავოდებს ესტუმრენ ახალგაზრდა პოეტები იოსებ გრიშაშვილი და სანდრო შანშიაშვილი. ქიზიყის სცენისმოყვარეთა დახმარებით მათ სკოლის შენობაში დადგეს ა. ყაზბეგის „არსენა“ და ბ. ახოსპირელის „გულზე ალა და შანტაისტები“.

1916 წელს ადგილობრივ მოწინავე პირთაგან, საზოგადო მოღვაწის გერონტი ჩიკვაძის ხელმძღვანელობით, შეიქმნა შრომა-ლავოდების და-

სი, რომელიც პერიოდულად მართავდა წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლავდუნის ყოფილი საკრებულო სადაბო სამკის ვასკარგულბაში გადავიდა. პირველ ხანებში აქ ისარგებლებდა საცუვეთ სადაბოები და საქველმოქმედო წარმოდგენებით.

1922 წელს, კლუბის პირველი გამგეობის თავმჯდომარის და სცენისმართვის ლეონტი ჭიჭინაძის ინიციატივით თბილისიდან მოყვებული იქნა რეჟისორი ალიოთა ჭავჭავიძე, რომელმაც შეადგინა დასი და დაიწყო სისტემატურად წარმოდგენების დადგმა.¹

პირველი დასის შემადგენლობა იყვნენ: ეკატერინე ტურიაშვილი (კვანჭილაშვილი), პელო დინჯავილი, თამარ მოლავილი, ვერა დონაშვილი, ლეონტი ჭიჭინაძე, ვიორჯი დინჯავილი, იროლოდ ალავერდიაშვილი, ლევან მჭედლიშვილი, ლეო მარიაშინი, აკაკი ჭავჭავაძე და ამ სტრუქტურის ავტორი.

სეზონი გაიხსნა ა. ცაგაროს პუესით „ლუკის ქალი გულჯავარი“. მთავარ როლებს ასრულებდნენ: გულჯავარი — ევ. ტურიაშვილი, ვერკლე — ლ. ჭიჭინაძე, ლეონტი — ლ. მჭედლიშვილი, რამაზი — მ. იარალი.

გარდა ამისა დაიდგა: ა. მგალობლიშვილის „რევოლუციის ვარიეტაჟი“, ვ. ხეჩუაშვილის „მუშა მგოსანი“, კარაივის (თარგმ. შ. დადიანი) „უბედური ნაბიჯი“, ა. ცაგაროს „ციმბირული“, ე. ეკალაძის „№ 21 ჯვრით“ და სხვა.

ა. ჭავჭავიძე იგონებს:

„... 1922 წლის სექტემბრიდან მიმოიწვიეს ლავდუნის, რომლის შესახებ კარგია მეტე არაფერი გახვედნა, მაგრამ მისმა თეატრმა ჩემზე სპეციალურ შთაბეჭდილება მოახდინა. შეუდევით მუშობას. ადგილობრივი ხელისუფლების დამარბობით დავხატეთ ახალი დეკორაციები, შევაკეთეთ თეატრი, შევადგინეთ სცენისმოწყობითა წრე. სეზონი გაეხსენით „ლუკის ქალი გულჯავარი“, რომელიც ჯერ არ ენახათ ადგილობრივ მაყურებლებს. ყოველ კვირას ივსებოდა თეატრი მაყურებლით...“ შემდეგ ა. ჭავჭავიძე წერს: „სიღნაღის მახრის ხელმძღვანელობის მითითებით გადაველი ველისციხეში... 1927 წლის მარტში ტიფთი ვაგხდი ავად (ახალსოფელში) და თელავის საავადმყოფოში ვიწვიე. 1927-28 წლის სეზონში ისევ ველისციხეში მიმოიწვიეს. 1928 წლიდან კი თბილისში ვემუშაობდი საბურთალოს კლუბში“². ამ ისტორიის ე. მერაბიშვილი „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე (1963, № 8) დამახინჯებულად წარმოგიდგინებს.

1927 წლის ზაფხულში ამ სტრუქტურის ავტორი მიმოიწვიეს და მერაბიშვილის მიერ ჩამოთვლილი პიესები: „მეგეტერი“, „შენი პირიმი“, „როც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „მსხვერპლი“, ჩემი დადგმულია. იმავე სეზონში დავდგით ტრ. რამიშვილის „მეზობლები“.

1927-28 წლის სეზონის დასის შემადგენლობა საქაოად ძლიერი იყო, მასში შედიოდნენ: პ.

დინჯავილი, შ. გოცირიძე, ვ. დედეაშვილი, ევ. ტურიაშვილი, ელ. ზორიანი, ვ. ნანობაშვილი, ლ. პ. ქუმბურიძე, შ. გოცირიძე, მ. ბოკერია, მ. ალავერდიაშვილი, ირ. ალავერდიაშვილი, ვ. ბაზუნაშვილი, თ. ჯმუხიაძე, ს. სამოვი, ვ. ქუმბურიაშვილი (იგივე რეჟისორის თანამშემე), ალ. მინასოვი, ი. ხუციშვილი, გ. დინჯავილი, გ. გივინიანი, გ. ოხბეტეაშვილი, უ. ლომიძე, გ. მაჭავარიანი, გ. ჯიბლაშვილი და სხვა. მხატვარი იყო დ. სიღნაღიძე, პიანისტი — ზელებანი.

თეატრის გამგეობის თავმჯდომარე იყო ჯერ ა. რეხვიაშვილი, შემდეგ კი გ. გოხალაშვილი, წლების განმავლობაში უცვლელი ხანინადარი იყო სევერიან ბოკერია.

არც ის არის სწორი თითქოს შ. დადიანი 1928 წელს დასით ჩასულა ლავდუნის. ტურიაშვილი სულაც არ ახსენებს მსახიობ ა. ყიასაშვილს, რომელიც 1928 წლის ზაფხულში ხელმძღვანელობდა ლავდუნის დასს, სწორედ მან დადგა „ლეონორა“ და „სამიწელი შურისძიება“ — შ. დადიანის, ელ. ანდრონიკაშვილის და თავისი მეუღლის მერი გრენელის მონაწილეობით.

შ. დადიანი მან ზაფხულს ისვენებდა ლავდუნში, განაგრძობდა წერას და დაამთავრა ადრედწიყებული თავისი პიესა „კალო გურში“. როგორც ვიცით, შალვას ძალიან მოეწონა ადგილობრივი სცენისმოწყობის ოხბეტეაშვილის გავრი და თავის პიესაშიც გამოიყენა ეს გვარი.

ამავე ზაფხულში ვ. მატარაძემ ლავდუნში ადგილობრივი სცენისმოწყობითა დახმარებით და აღექსანდრა ივრიელის მონაწილეობით დადგა ნ. შიუკაშვილის „სიმხანცე“, რომლითაც მთელი სიღნაღის მხარა შემოიარა. მანვე დადგა ლავდუნში შ. დადიანის „საქარის ქედზე“ ავტორის მონაწილეობით.

1928 წლის შემოდგომაზე სეზონი გაიხსნა ნ. შიუკაშვილის პიესით „ამერიკელი ძია“. დავდგით ავრთვე ტრ. რამიშვილის „გაპირების ტალკეისა“, გ. დარისანიშვილის „ზღვაში“, პ. ირეთის „ქრისტიანე“.

1929 წლის ვაზაფხულზე მახრის ხელმძღვანელობამ სიღნაღში გადაწყვიტა. ჩემს შემდეგ წარმოდგენების დადგმას ხელმძღვანელობდა სკოლის დირექტორი პ. ქუმბურიძე — ჩვენს დასის წამყვანი მსახიობი.

1933 წლის ზაფხულში კვლავ მიმოიწვიეს ლავდუნში. მოწვეული იქნა ავრთვე მსახიობი მ. ოზოლაძე. დას შემემატა ვ. გეტრატა და რამდენიმე ახალგაზრდა სცენისმოყვარი.

დაიდავა ვიტალიონის „მარკიტანტკა სივარტე“, პავლეგოვის „არწონ-მალ-ალანა“.

იმავე წელს შ. გოცირიძემ დადგა ს. შანშიაშვილის „ანზორი“.

1934 წელს მსახიობმა ილო მათაფილომ დადგა ს. მთვარაძის „სურამის ციხე“, ხოლო ს. ბაშინჯალოვა ჯიბუტის „სამი სიცოცხლე“.

1935 წელს ვ. ალუდაშვილმა დადგა ნ. ნაკაშიძის „ეინ არის დამნაშავე“ და იპოლოტოვის „სიხარული“.

იმავე სეზონში სავსტროლოდ ჩამოვიდა წითელწყაროს მუშა ახალგაზრდობის თეატრი, რომელმაც აჩვენა ლეიტენის „განაჩენი“ და შკვარკინის „ნაბიჯვარი“ (მ. იარალის დადგმით). ლავდუნის საშუალო სკოლის წინაბაში ხშირად იმართებოდა მოსწავლეთა საღამო-წარმოდგენები და კარნავალები საქველმოქმედო მიზნით.

¹ „თეატრი და ცხოვრება“, 1916 წ. № 33 და 34.

² თეატრალური მუზეუმის ფონდი 26.

³ ა. ჭავჭავიძის, „40 წელი სოფლის სცენაზე“, დაცულია თეატრ. მუზეუმის ბიბლიოთეკაში.



1926 წლიდან 1937 წლამდე ლავოდეხის სახალხო სახლში სცენისმოყვარეთა რასს პერიოდულად ხელმძღვანელობდა პ. ჯუმბურძიძე, რომელსაც თვალსაჩინო დავალი მოქალაქის ლავოდეხის თეატრის სამიანიბაში. იგი ყოველთვის ეხმარებოდა თეატრს, როცა არ ჰყავდა კვალი-ფიკციური რეჟისორი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, რადგან ლავოდეხის თეატრალური სეზონები იწყებოდა გაზაფხულზე და მთავრდებოდა შემოდგომამდე.

ასე იყო 1937 წლამდე, ვიდრე ლავოდეხის საკომმუნურნო თეატრი შეიქმნებოდა. სამხატვრო ხელმძღვანელოდ დანიშნულ რეჟისორი გ. ნორაიძე, დირექტორად — ს. ბაშინჯალიძე. მოწვეული იყვნენ მსახიობები: ვ. იანიარაშვილი, ტ. ერისთავი, გ. ბაშინჯალიძე. მხატვრად მუშაობდა ივტიხანოვი. გ. ნორაიძემ დადგა: პ. სამსონიძის „სალტო“, ა. დიომის „კლონიკოსი“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თობა“, ს. მთვარაძის „სურამის ციხე“, პ. აბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, ა. ქიჩარაძის „ბრმა მუსიკოსი“.

1938-39 წლის სეზონში ისევ გ. ნორაიძე ხელმძღვანელობდა თეატრს. დიდგა: გ. მდიენი, მ. გოგოსაშვილი, ელ. შორიანიძე, თ. მენთეშაშვილი, ვ. კაბლეი (ქუმელაშვილი), ვ. ნანობაშვილი, უშ. ლომიძე, ვ. ჯალიაშვილი, ვ. გივინიანი და სხვა. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ მსახიობები მაკა ქართველიშვილი და ე. ვიხაზაია. რ. ქართველიშვილმა დადგა: ვ. გაბისკიასის „მათი ამბავი“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“ და „ჩახუშა“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხიცი-ნენ, მერე იქორწინეს“, დადიანის და ჩიხილის „აიგლონი“, პ. კვაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, გ. ბერძენიშვილის „ჩაძირული თქრო“, ი. გეგღენიშვილის „მსხვერპლი“.

1940-41 წლის სეზონი. (ისევ რ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით) დიდგა: კარასაივის „შუქურა“, ა. მიქაილის და გ. აბაშიძის „ბედნიერება“, ნესტორენჯოს „სინაშვილი“, გ. ბერძენიშვილის „ჩვენი მიწა“, ი. ვაჯლის „შურა“, მისის და კულინიკას „აყვავებულ ბაღში“, გ. ნახუცრიშვილის და პ. ვაგრეკლის „არსენა“. უკანასკნელი პერიოდის სხვადასხვა დროს, ლავოდეხის თეატრში თვალსაჩინო მუშაობას ატარებდნენ მსახიობები: ვ. თანდაშვილი, მ. კეიშვილი, სს. თეთრაშვილი, შ. ჩუტლაშვილი, დომონიანი, შ. ფირცხალაშვილი, გ. ნუსუბიძე, ვ. შალკაშვილი, მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი რ. მეღვინეთ-უხუცესი, ადგილობრივი მხატვარი აგიტაჩაივი. 1935 წლიდან 1949 წლამდე თეატრის წამყვანი მსახიობი იყო ადგილობრივი მცხოვრები ალ. ხიდელაძე.

1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყების გამო ლავოდეხის თეატრი გადაიტანილ იქნა სოფელ აფენში. თეატრი უდრატაციოდ, სამეურნეო ანგარიშზე მუშაობდა. თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო

ვ. კაბლეი. მოწვეული იყვნენ მსახიობები შ. და თ. ჩერქეზიშვილები, ქ. მაყაშვილი, ს. ჯალიაშვილი. დიდგა: ჰაბიბოვიცის „არშინ-მალ-ალან“, ა. წერეთლის „ციხეთ“, გ. ივანიშვილის „აუღრბაჰ“, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“.

1943-45 წ.წ. სეზონებში თეატრი კვლავ ლავოდეხში იქნა გადმოტანილი. თეატრის ხელმძღვანელი იყო მსახიობი დემეტრე. მან დადგა: შირვანზადეს „პატისხებისათვის“, შალკაშვილის „უნიდადაგონი“, გუნისას „და-ძმა“, სუნდუკაიას „პეპო“ და მეორე ფორმის პიესები.

1945-46 წლის სეზონში კვლავ რ. ქართველიშვილი ხელმძღვანელობდა თეატრს, დირექტორად დანიშნა ვ. ნანობაშვილი. დაწინაურდნენ ახალგაზრდა მსახიობები: ვ. მირიანაშვილი, მიხ. თანდაშვილი, ვ. ქუმელაშვილი, უ. ლომიძე, ირ. კუბაშვილი, ი. ვერმანიშვილი, გ. ბლიაძე. დიდგა: ა. წერეთლის „ციხეთ“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“ გ. დარისაპანაშვილის „ძმები“, გ. ქელბაქაიას „შესახვერი ჭილიძე“, ვ. ბერძენიშვილის „ტრიფის ქვეშ“, ს. შანინაშვილის „ხევისბერი გოჩა“ და სხვ.

1946 წელს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო ახალგაზრდა რეჟისორი ვ. პატარიძე.

1947-48 წლის სეზონში ლავოდეხის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელოდ დანიშნა რეჟისორი ვ. როსტაძე. დამდგმურ რეჟისორად და მსახიობად — ვ. პატარიძე. ამ წლებში დიდგა: ა. წერეთლის ბაში-ჩუქია, გ. ნახუცრიშვილის „ნაუბრეკია“, ვეა-ფშვევას „მოკვეთილი“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, ანტონოვის „ჩვენი ახალგაზრდობა“, ლ. ისაკიის „ივანანა“, ს. მთვარაძის „სახსოვარი“.

1949 წლიდან ლავოდეხში სახელმწიფო თეატრი აღარ არსებობდა. 1959 წელს ლავოდეხში შეიქმნა სახალხო თეატრი. მსახიობმა ვ. თანდაშვილმა განახორცილა პირველი დადგმა — ი. ჯავახიშვილის „ჩრდილო ყვეივლებზე“. მას შემდეგ სახალხო თეატრის რეჟისორები იყვნენ: ალ. ალანისპირელი, ნ. დეისაძე, მიხ. თანდაშვილი.

1961 წელს მეცხრე რესპუბლიკურ დათვალიერებაზე თეატრმა დადგა ვ. კანდელაკის „ერთხელ დაზოცილებმა“ და კარგი შეფასება მიიღო. (რეჟისორი ნ. დეისაძე).

1967 წელს, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი საკავშირო ფესტივალზე ვ. თანდაშვილის დადგმით თეატრმა თბილისში აჩვენა სამსონის პიესა „ჩემი შვილი სიმონი“ და პირველი ხარისხის დიპლომი და საკავშირო ფესტივალის ლაურეატობა მიენიჭა. საკავშირო ფესტივალის ლაურეატობა მიენიჭა აგრეთვე პიესის დამდგმელს ვ. თანდაშვილს და მთავარი როლების შემსრულებლებს: მიხ. თანდაშვილს, გ. კიბლაძეს, ელ. ზორიანს.

ამჟამად სახალხო თეატრის რეჟისორია კულტსახლის დირექტორი — ვ. თანდაშვილი.

1972 წელს ჩატარებულ რესპუბლიკურ ფესტივალზე ლავოდეხის სახალხო თეატრმა აჩვენა გრ. ბერძენიშვილის „ტარიფის ქვეშ“, ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით.

ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა პიესის დამდგმელს ვ. თანდაშვილს. ლაურეატის დიპლომებით დაჯილდოვდნენ მსახიობებიც.

ქარბი ზრალიშია გრძელეზა

იონა თოღუა

სამპრადიოს თეატრალურ წარსულზე რომ ვიწყებთ საუბარს, საჭიროდ მიგვანინია მოკლედ შევხებით რკინიგზის მშენებლობის ისტორიის ის ადგილი, სადაც ახლა სამტრედიის რკინიგზის სადგურია, ქაობს წარმოადგენდა. 1860 წელს დაიწყო ქაობის ამოშრობა და რკინიგზის ლიანდაგის დაგება, ამ მუშაობაში მონაწილეობდა ათასობით მუშა, რომელთა უმრავლესობა ცხოვრობდა სპეციალურად აგებულ ბარაკებში. მუშებს ჰქონდათ სასადილო. აი, ამ სასადილოში ჩაყარა საფუძველი შემდეგ ცნობილ სახალხო თეატრს. თავი მოიყარეს სცენისმოყვარე მუშებმა და გამოთქვეს წარმოდგენების გამართვის სურვილი, რეჟისორობა იყისრეს ტელეგრაფის მონკლემ ალექსი რატაიანმა და რკინიგზის მუშამ ბეჟან ადამიამ, რომელთა სახელეზბთან არას დაკავშირებული თეატრის დაბადება.

მათ შემოიკრიბეს ძირითადად რკინიგზელები და პირველად წარმოადგინეს „ძალად ექიმი“. ეს მოხდა 1865 წლის ზაფხულში. მაყურებელი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. ასე გავრქელდა მუშაობა. დასიც თანდათანობით გაიზარდა.

გავიდა დრო, სასადილოს შენობა უკვე ვეღარ იტევდა მაყურებლებს, დასი იძულებული გახდა ეკრძო შენობაში გაემართა წარმოდგენები.

70-იან წლებში დიდი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის (იგი ხანდახან წარმოდგენებსაც ესწრებოდა) თაოსნობით ააშენეს კლუბი (ფიცრული) სცენითა და მაყურებელთა მოზრდილი დარბაზით. გაჩაღდა მუშაობა. სცენისმოყვარეები თანდათან დახელოვნდნენ.

მაგრამ ეს თეატრი დროადადრო მუშაობას წეწყვეტდა ხოლმე. ასეთი მდგომარეობა გავრქელდა XIX საუკუნის 80-იან წლებამდე, ვიდრე თეატრს სათავეში ჩაუდგებოდა თეატრის დიდი ენთუზიასტი ალექსანდრე ნესტორის ძე კორძაია. მისი ხელმძღვანელობით და რეჟისორობით უფრო სისტემატური ხასიათი მიეცა წარმოდგენების გამართვას.

დაიღდა ნინო ნავაშვიის „ვიც არის დამნაშავე?“ (როლებს ასრულებდნენ სიკო — ს. თევზაძე, არსენა — მ. კობახიშვილი, სალიხე — ზ. ტორონჯაძე, ნ. ბუაძე, ყარამანი — ვლ. გვიშაინი, ივანე — ლ. ბუაძე, ჯუფანი — ალ. დუნდუა, ფატი — თ. ნინიძე, ბ. ნინიძე, სოფო — თ. ჩხიროძე).

ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. (მონაწილეობდნენ: ს. კახიანი, ძმები: პარქენ და დათიკო ნანეიშვილები, რ. თაღუმაძე, ბ. წულუკიძე, ბ. ქანთარია, გ. ქართველიშვილი, ვლ. გვიშაინი, ი. თევზაძე, ვ. რევიშვილი, თ. ჩხიროძე და სხვ. მხატვარი გ. შენგულია).

სერგო ნინუას რეჟისორობით დაიღდა „ომი ომს“, „ძმები“, „არსენა“ არსენას როლს ასრულებდა მ. კობახიძე, დანარჩენ როლებს ასრულებდნენ: ვ. გვიშაინი, სერგო ტულუში, გრიშა და შოთა ადამიები; ქალბები: ნორა და თინა ადამიები და კ. ვენგელია.

ა. კორძაია დგამს „სამწინელ შურისძიებას“.

დაიღდა აგრეთვე ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“, შ. დადიანის „გეგეკეკორი“, ვ. გუნას „და-ძმა“, ი. გვედევანიშვილის „მსხვერპლი“, ირეთელის „ქრისტანე“, ია ეკვლაძის „№-21 ჯვრით“ და ვ. გვიშაინის მიერ ფრანგულიდან გადმოთარგმნილი ერთმოქმედებიანი ვოდევილი „მე მოკვდი“.

ვლადიმერ (ლადო) გვიშაინი საინტერესო პიროვნებაა. იგი თეატრის დიდი ენთუზიასტია და ამჟამადაც აქტიურად მოღვაწეობს. ლადო გვიშაინი ფლობს 23 ენას, მათ შორის, — ზედმიწევნით, — ლათინურს, ბერძნულს, ჩინურს, იაპონურს, ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს, გერმანულს და ესპერანტოს.

ზემოხსენებულ პიესებში ვ. გვიშაინი მაღალპროფესიულად ასრულებდა კომიკურ როლებს: ბესოს („ლალიტი“), ნიკოია ევასხაძეს („დამარცხებულნი“), ალმასხანს („კინტო“), კოწიას („გუშინდელი“) და სხვ. კინოფილმებშიც სხვადასხვა დროს განასახიერა: ხუმარა დენშიკი („კავკასიის დაპყრობა“), იმერელი მსახური („ქაიშხლის წინ“), მოენე („პირველი დღე“), დათია („დარიკო“), ქადაგი („ქაჯანა“), კიკოლა („ნაკარქეჟია“) და სხვ.

88 წლის ვლ. გვიშაინი დღესაც წარმატებით ასახიერებს სხვადასხვა როლს კინოფილმებში.

ვლ. გვიშაინი ა. კორძაიას კონსულტაციით დგამს მუსიკალურ კომედიას, პატიბეკოვის „არშინ მალ-ალანს“ (თარგმნა ვ. გიგოშვილმა), სადაც თვითონ ასრულებს ვალის როლს.

ამასთან, ვლ. გვიშაინი გახლავთ ცნობილი თეატრალური მოღვაწის ეგგენი ვახტანგოვის პარტნიორი ა. ოსტროვსკის პიესაში „უღანაშაული დამნაშავენი“. ე. ვახტანგოვი, გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე, რეჟისორობდა, თვითონ ასრულებდა ნეშანოვის როლს, ხოლო შმაგას როლს ასრულებდა ვლ. გვიშაინი.

1910 წელს სამტრედილაში შეიქმნა თეატრის დამხმარე საზოგადოება ნესტორ კიკაჩიშვილის,

ქ. გველიშვილის, ე. ქართველიშვილის, ვ. გვიშაინისა და ხ. ბოხუას შემადგენლობით. საზოგადოება ყოველმხრივ ხელს უწყობდა თეატრს: იწვევდა რევისორებს, უნარიან სცენისმოყვარეებს, შოულობდა პიესებს, არჩევდა რეჟისორებს და სხვ.

იმ პერიოდში რევისორობდნენ: ა. კორძაია, ა. და ლ. გუგუშვილები, ვ. შალიაშვილი, მ. ქორელი, ი. ბოხუა, დ. კობახიძე.

რევისორ მ. ქორელის მიერ იდგმება შ. დადიანის „გუშინდელი“ (ავტორის დახმარებით). როლებში გამოდიან: მაზრის უფროსი—ა. კორძაია, ადგილ — დ. სტურუა, მოხუცი ვენერა— ლ. შ. დოლიძე, კოწია — ვ. გვიშაინა. ამ პიესაში მონაწილეობდნენ ავტორის ს. შნაკელი, ი. ბოხუა, პ. ნანიშვილი და სხვ. სუფილორობდა ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე რ. ნანიშვილი. სცენარისტია იყო ცნობილი ვენქილი ბ. ფარცვანია, მუსიკალური ხელმძღვანელი — დ. შანიძე (შემდგომში ადგილობრივი მუსიკალური სასწავლებლის დამაარსებელი და პირველი დირექტორი).

1918 წ. სამტრედიის თეატრის ბაზაზე რეჟისორმა დ. კობახიძემ ჩამოაყალიბა ახალი დასა „დედოსის“ სახელწოდებით, სადაც თვითონვე დგამდა პროგრესულ და პატრიოტულ პიესებს (სკაენის ოინები“, „ჯაი გრაკი“, „ქრეჩინკის ქორწინება“ ლ. მესხიშვილის მონაწილეობით, „№-21 ჭრით“, „სიკვდილით დასჯა“—შემდგომში დიდი რევისორის ს. ანგეტელის ხელმძღვანელობით — „დამარცხებულნი“. „საშინელი შურისიძება“, „არწინ მალ-ალან“, „ლაღობა“). არწინ მალ-ალანში დელოფის როლს ასრულებდა ვერა კალაძე, დ. კობახიძის მეუღლე, კალაძეების რევოლუციური ოჯახის შვილი. ვ. კალაძე შესანიშნავად, დიდი გრძნობით მთამბეჭდავდა ასრულებდა პ. რთულ როლს, აღსანიშნავია, რომ ვერა კალაძე იყო გამოჩენილი რეჟისორების ა. წუწუნავას და მ. ქორელის მოწაფე. მათი დახმარებით და ხელის შეწყობით იგი წარჩინებით დაეუფლა სასცენო ხელოვნებას.

იმ ხანებში ვერა და მისი მეუღლე დაიეთ, როგორც პოლიტიკურად არასიმპოლ პარნი, დაპატიმრებულ იქნენ და გასახლებულნი საქართველოდან შემწვევიური მთავრობის მიერ 1920 წ. მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაბრუნდნენ და განაგრძობდნენ მოღვაწეობას.

ა. კორძაია ოჯახური მდგომარეობის გამო რამდენიმე ხნით ჩამოსცილდა თეატრს, მაგრამ შემდეგ ისევ დაუბრუნდა, სათავეში ჩაუდგა მას, აღადგინა რეპერტუარი და დაუღალავი შემოქმედებითი მოღვაწეობა გააჩაღა.

სანკრძლივი, თავდადებული მუშაობით მოლოლა, სამტრედიის თეატრის დიდი მწიფე მუშაობის „თეატრის პატრიარქად“ წოდებული ა. კორძაია 99 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ დეველმოსი თეატრალურ მოღვაწეს დარჩა მოწაფეები, რომლებმაც განაგრძეს მუშაობა. ქართულ სექტორს ხელმძღვანელობდა ა. გუგუშვილი, რუსულ სექტორს — ვ. გვიშაინი.

ი. ბოხუას რევისორობით იდგმებოდა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაქარი“, ირინეს ბედნიერება“, ანთელის „დამარცხებულნი“ და სხვ.

დასი ივსება ახალი წევრებით, მუშაობას იწყებენ: ი. შურდია, დ. ასათიანი, ი. მელაძე, ო. ჯანდიერი, გრ. კაკაბიშვილი, კ. შიქაძე, ბ. კაკარავა, თ. ძაძაძია, ი. ჩხაიძე, ე. ქოიაჯა, ა. ნაკუბია, მ. მიევილი, მ. აბაშიძე—კაკარავასი, დ. ლორია, ბ. ლალიაშვილი, ი. თელია, ე. ებრაძე, ქ. ვაბუნია, ნ. მეჯანაძე, ი. თევზაძე, ა. ერაძე, კ. კრავიშვილი. (შემდგომში რუსთაველის თეატრის სადადგმო ნაწილის გამგე).

კ. გერგესელმა დადგა ან. ერისთავ-ხოშტარის „მოლილულ გზაზე“ და ირეთელის „მოტყუებულნი“.

რევისორი და მსახიობი გ. ხელია დგამს „გოგია უიშვილს“, მთავარ როლს ამ და სხვა პიესებში თვითონ ასრულებს. იდგმება „ტიმოთეს ლეღი“, „პირვეული ცოლის მორჩულება“, „და-მა“.

გ. ხელიას მოღვაწეობით მთავრდება სცენისმოყვარეობა მუშაობა. დასი კიდევ უფრო გაძლიერდა, განახლდა და განახლებული დასის ბაზაზე შეიქმნა „სამტრედიის სახელმწიფო თეატრი“ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. ციციავის ხელმძღვანელობით. მსახიობებს დაენიშნათ ხელუფასი და, ცხადია, სამსახიობო ხელოვნების ხარისხიც მატულობს. ლ. ციციავა პირველ პრემიერად დადგა ლავრენიევის „რდევა“, გოდუნის როლს ასრულებდა თვითონ.

1941 წელს, სამამულო ომის დაწყების გამო, თეატრის მუშაობა დროებით შეწყდა. ომის შემდეგ თეატრმა მუშაობა განაახლა სახალხო თეატრის სახელწოდებით. მას სათავეში ჩაუდგა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბიძინა კიკაჩიშვილი. ამჟამად კი, თეატრს ხელმძღვანელობს კულტურის დამსახურებული მუშაი დავით ტაბიძე. თეატრის დირექტორია ნ. კაკაბიძე.

სამტრედიის სახალხო თეატრი ნაყოფიერად მუშაობს და მკურებლის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

შეხვედრები სესილია თაყაიშვილთან

ბიოგრაფი მარკოზაშვილი

საბამოთა კავშირის სახალხო არტისტი სესილია თაყაიშვილი, ჩემთან სამკურნალოდ რომ მოვიდა, (1947 წელი) ძალიან აღელვებული იყო. ჰქონდა კიდევ ამის მიზეზი.

მე თანაგრძნობით შევხვიდი, დავამშვიდე და დახმარება აღუთქვი. იმ პერიოდში სტომატოლოგიაში ახლადშემოღებული იყო პლასტმასის გვირგვინები, რასაც დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო ხელოვნების მუშაობით.

მაგონდება ასეთი მომენტი — სესილიას დავუემენტე პლასტმასის ხიდი, რომელიც თავისი მოყვანილობით და ფერით ბუნებრივი კბილისაგან არ განსხვავდებოდა. შემდეგი მოსვლისას სესილიამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მსახიობები სცენაზე მყოფ სესილიას დაკვირვებთან და დარწმუნებულან, რომ ხელოვნური გვირგვინები ბუნებრივი კბილების შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სესილია თაყაიშვილი, როგორც სცენაზე და კინოშია ორიგინალური, ისეთივეა ყოველდღიურ ცხოვრებაში. საუბრის დროს ნევეთრია, პირდაპირი, ენერგიული, როცა გელაპარაკებათ, მის მტყუყვულებასა და მოძრაობაში მისივე სცენური სახეებიდან ბევრი ნაცნობი შტრიხი გაიწვევება ხოლმე. მუდამ ვცდილობდი მის მიმართ თავზანიან ვყოფილიყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, ერთხელ დავარღვიე ეს ჩვეულებრივი საუბრის წესი, რადგან მომიბრუნდა და უკმაყოფილო ტონით მითხრა „როგორ მეღაპარაკებით?“.

რასაკვირველია, ეს ჩემთვის არ იყო სასიამოვნო, საჭირო იყო სათანადო პასუხი გაცეცა. მე გავიღიმე და ვუთხარი: „ქალბატონო სესილია, საწყენად არაფერი მითქვამს, გთხოვთ, ნუ შემიშლით ხელს“ და მუშაობა განვაგრძე. ამის შემდეგ ხშირად გხვდებოდით ერთმანეთს და ყოველთვის მშვიდობა და თანხმობა იყო ჩვენ შორის. მე ასეთ პასუხს, ალბათ ვერ გავცემდი, რომ რამდენიმე წლის წინ არ მომხდარიყო ასეთი ამბავი: ერთ ჩვენს სახელმწიფოებელ რეჟისორს დასჭირდა ოპერაციის გაცეთება. როდესაც უკვე საოპერაციო მაგიდაზე იწვა, პროფესორ გრ. მუხაძეს, რომელიც ოპერაციის გასაყეთებლად ემზადებოდა, უთხრა: „პროფესორო, ხომ იცით, ვის უკეთებთ ოპერაციას, თქვენს წინაშეა რეჟისორი“ . . . და თავისი გვარი აწეული ტონით დაუმარცვლა.

პროფესორ გრ. მუხაძეს არ დაუყვენებია და უპასუხა: „პირურგი ერთნაირი ყურადღებით უკეთებს ოპერაციას ყველას, ვისც არ უნდა იყოს იგი“.

რეჟისორი გაჩუმდა, პროფესორისათვის ხელი აღარ შეუშლია. ამბობენ, ოჯახის წევრები ხასიათით ერთმანეთს გვიანო, ეს სესილიაზე არ ვრცელდებოდა. იმ პერიოდში მთელ მის ოჯახს ემკურნალობდა — ძმას, ტუბერკულოზურეს, თავაზიანს, მშვიდ ადამიანს, დეიდებს, ცნობილ მეცნიერ-მუშაკებს, განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობოდი მის დედას, რომელიც ავადმყოფობდა და სესილიამ წინასწარ მიზოვა ყურადღებით მოვეტყეოდი, მაგრამ ისეთი დარბაისელი ადამიანი აღმოჩნდა, რომ ისედაც არ შეიძლებოდა მისდამი განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით არ განეწყობილიყავი და მკურნალობაც დიდის სიფრთხილით არ ჩამეტარებინა.

ერთხელ ჩვენი საუბარი შეეხო მარკანაშვილის სახელობის თეატრის მსახიობებს და ახალ სპექტაკლებს. მე ჩემი აზრი გამოვთქვი ზოგიერთ სპექტაკლზე, სესილია არ მეთანხმებოდა, მან თეატრს რთული ორგანიზმი უწოდა, სადაც დიდი შემოქმედებით მუშაობა წარმოებს, ის აუცილებლად თვლიდა ყოველ ახალ დადგმაზე კრიტიკული წერილების მოთავსებას პრესაში, რაც მასურებელს დაეხმარებოდა სწორი წარმოდგენა ჰქონოდა როგორც სპექტაკლების, ისე ცალკეული მსახიობების შესახებ. იდგმება სპექტაკლები, იხარჯება დიდი შრომა, კრიტიკოსები კი ღუმან, ამის შედეგია, რომ ყოველი მასურებელი თავისებურად აფასებს სპექტაკლს.

მე სესილია მომწონდა თავისი გულწრფელი, ტემპერამენტიანი საუბრით, მაგრამ მაინც არ დავეთანხმე და ვუპასუხე, რომ საერთოდ ასე უნდა იყოს, მაგრამ მე მაინც მთავარ შემფასებლად მასურებელი მიმაჩნია, რომელიც ბოლოს მაინც თავისას მიუზღავს ხოლმე ნიჭიერ მსახიობს. თქვენც ასევე, ქალბატონო სესილია, ხალხმა შეგიყვარათ არა რეცენზიების წყალობით, არამედ ხალხის ნიჭისა და თავისთავზე დაუღალავი შრომის წყალობით.

ჩვენ დავშორდით ერთმანეთს. გავიდა წლები, 1966 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სესილია თაყაიშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, რაც მან სამართლიანად დაიმსახურა თავისი დაუღალავი ხანგრძლივი და ბრწყინვალე აქტიორული ნიჭით.

ჩრ ღიდ ხლოჰანთან

ჰჰჰანი ბართია

ჰჰელას საყვარელ და ღიდად პოპულარულ პოეტს ალიო მირცხულავას პირველად მარტვილში შეეხვებდი. ეს იყო რომელიღაცაა თან წლებში. ალიო ჩამოვიდა ჩვენთან — მყინვარივით თეთრი, თავაწეული, ამაყი კაცი. სასწაულებლის ეზო, სადაც ალიო შემოვიდა, უმალ აივსო მოწაფეებით. ღიდებულ მგოსანს გარს შემოეხვიენენ აღმზრდელები და აღსაზრდელები, ცოცხალი ყვევილებს თაიგულივით შეიკრა წრე. ალიოს სურათი გადაუღეს. ჩემდა საბედნიეროდ იმ სურათში მეც მოვხვდი. ეს ჩემთვის საოცნებოც იყო და წარმოუდგენელიც.

მეორედ ალიოს ქ. თბილისში შევხვდი. ვაგებდ და ლექსები გამოვეუზავნე „დროის“ რედაქციაში. მაშინ ამ ეურნალის რედაქტორი იყ.ა. ლექსებზე კეთილად გამესაუბრა და მღივანს სტამბაში გასაგზავნად გადასცა.

შესამედ ალიოს ისევ თბილისში შევხვდი და მას შემდეგ დიწყო ჩვენი დაახლოება და მეგობრობა. მე იგი შემოვიყვარე. შემოვიყვარე არა მარტო, როგორც შესანიშნავი პოეტი და მოქალაქე, არამედ ისე, როგორც მზრუნველი მამა უყვარს ხოლმე თავის შვილს. ალიო იყო მეტად გულბოილი, ბავშვივით უშუალო, უაღრესად მგობრობიარე და სათუთი, ბუმბულივით რბილი, მაგრამ ფოლადივით გაუღუნავი, როცა ეს საჭირო იყო.

ერთი ასეთი შემთხვევა მახსოვს. ხუთთოდ წლის წინათ ალიოს ვესტუმრე შინ ჩემს მეგობარ მხატვარ კარლო ნინიძესთან ერთად. ჩვენთან იყო, ალიოს ვაჟიც. ალიოსთან მიმქონდა ჩემი პირველი მონოგრაფია — „ღიდი სამამულო ომის თემა ქართულ საბჭოთა პოეზიაში“. ალიოსთვის უნდა მესასოვრებია იგი. ალიო ხომ ღიდი სამამულო ომის წლებში ქვხდა. მან ხომ გარდა იმ შესანიშნავი ლექსებისა, რომელიც ომის წლებში შექმნა, მშობლიური საქართველოდან ქართველ ვეჟაკებს ერთმა პირველმა მიუტანა (1943 წლის 7 აგვისტო, მოქმედი არხია) მშრომელთა რღენი და გააცნო მშობლიური ქვეყნის შრომითი ავადღებულ საქმიანობა ზურგში.

ჩვენი მისვლისთანავე ალიომ თავისი ძველა მეგობარა, ღიდი ქართველი ხელოვანი აჟაკი ხორავა მოიწვია შინ. ჩვენ გვთხოვა მისესულიყვით მასთან მოსაპატიებლად. ხორავა იმავე სადარბაზოში ცხოვრობდა, მეოთხე სართულზე. ნაგრამ ავად იყო და არ გექონდა იმედი, რომ ალიოსთან ამოგვევებოდა. მაინც ჩავედით... ბატონი აჟაკი იწვა. როგორც კი მოვკარი თვალი, ჩემს წინ უმალ კინოკადრებივით გაიუ-

ვეს ბერსენევის, პერროს, კრეჩეტის, ღუნდიჩის, სირანოს, გარსიას, ანხორის, კარლისის, საჟაძის, ოდიშოსის, ოტელოს მონუმენტურმა სახეებმა. ხორავას მგზნებარე თვალემა უცებ მომაგონეს ოტელო-ხორავა, რომელიც ღუნდემონას უსმენდა, როცა იგი ჰყვებოდა ოტელოს შეყვარების მიზეზს და ეს თვალეები თითქოს ახლა მიაცილებდნენ ტერასიდან ნარნარი ნაბეჭებით მიმავალ ღუნდემონას. მომაგონდა დეხდე-მონას საყვარული ალტაეხული, ბავშვივით მოტიკტიკე ხორავა-ოტელო, თითქოს ახლაც მესმის.

ძალნო ციურნო, შეუსმინეთ! — ველარ ვახერხებ გამოვთქვა ჩემი ნეტარება... ხმა აღარ მიმღევს...

ჰო, მეტისმეტი არის ჩემთვის ეს სიხარული...

ვაოგნებული ვუტქერი სარკეულზე მიგრულ ღიდი მსახიობს და ვლონდები. მისი ორნავ მკრთალი ტუჩებიდან ნაბერწკალიც ანათებს. მაგონდება შვლახულ ნამუსთან შურისძიების ცეცხლით აღგზნებული და ამ ბრძოლაში გამარჯვებული, მაგრამ მაინც წელში მიღუნული, იატაკზე უღონოდ დეგარდნილი მავრის აღდგრემილა სახე. ჩემს წინ კვლავ მონუმენტივით აღმართება ადამიანის სიწმინდისა და ღირსებისათვის მეგრძოლი მავრის მრისხანე სახე.

მოგახსენეთ ალიოს თხოვნა. მაშინვე დაგვეთანხმდა. წამოდგა, განიერ ბეჭებზე მოსასხამი წამოსხა. კარადისკენ გაემართა. ჩვენ სულს ძლივს ვითვამდით. მის ყოველ ნაბიჯზე იატაკი ზანზარებდა. თითქოს კედლებმაც იგრძენეს გოლიათის სიმძიმე, ჰერიც აიწია. სხეულით და სულით ერთნაირად ჯანსაღი, მაღალი. ახოვანი ვეჟაკი დგას ჩვენს წინ — ისევე ის ხორავა — ოტელო, ადამიანის ადამიანობაში დარწმუნებული მსახიობი.

ერთ ხელში ერთი ბოთლი შაჰანური აიღო, მეორეში — მეორე... და წინ გაგვიძღვა. ერთი სართულით მაღლა უნდა ავიდეთ. ჩემი მეგობრები ბორონი და კარლო, გვერდით ამოვლდნენ ბატონ აჟაკს — მივევლება სცადეს, მაგრამ არ დასპირდათ — თუმცა მძიმე ნაბიჯებით, მაგრამ მაინც ამოვიდა ბატონი აჟაკი მეხუთე სართულზე.

სულთა გამწილი დავგებდა. აჟაკიმ დალია. მაშინ მოვისმინე პირველად შინაურობაში აჟაკის მგრგვიწავი ხმა. იგი კითხულობდა „ოტელოს“ მონოლოგს. წარმოუდგენელი ცეცხლი შეემატა მის თვალებს.



სტყვით, იცოდეთო სიყვარული მან
 ჳემარიტი,
 თუმც არა ბრძნული, ვერ სძლევდათო

ეპვი ადვილაჲ,
 მაგრამ რაკი გულს აუვსებდნენ ექვიანობით,
 მიალწევდათო უკიდურეს მისისნებამდე...
 აკაის მე, რასაკვირველია, არ ვასწავლი, ან
 რას ვაახსენებოდა — რამდენი ვინმე შეხვედ-
 რია თავის ცხოვრების გზაზე — ზოგი მსახიობი,
 ზოგი პოეტი, ზოგი ექიმი, მშენებელი... მე კი
 ერთხელ მისი მასპინძელიც ვახლდით და მხლე-
 ბელიც (მარტივლში სტუმრობის შემდეგ ქ. ცხა-
 კიამდე გამოვყევი და იქ მის ნათესავს ზორა-
 ვის სახლში ჩემოდანი აუუტანე) ეს მომეჩტო
 გავისხენე.

ამაზე იციან ალიომ და აკაკომ.
 გვიღა დრო, შემდეგ ალიომ შესანიშნული
 ლექსი („მეზობლები“) მიუძღვნა ჩვენს სასიქა-
 დლო მსახიობს.

მ ი ე ო ბ ლ მ ბ ო

აკაკი ხორავას

ერთ სახლში ვცხოვრობთ... წლები
 გადაინ,
 მტკვარიც გვართობს და... მღერის
 ნებივრად,

ოცდაცამეტი წელიწადია, —
 ჩვენ განუყრელი მეზობლები ვართ.
 და მხოლოდ წყენას წვიმა გვაგონებს,
 თავს თუ დაესხა სახლებს. დარბაზებს,
 მე სახურავზე ფიქრი მაღონებს,
 შენ — ძირს ჩასული წყალი გაბრაზებს.
 ეპ, ოტელობა დროს არ შეფერის,
 და ბობოქარი ჩაღვა სხეული,
 ვით გალიაში, ლომი ბებური,
 მართოდ ოთახში ხარ ჩამწვდევული.
 როცა სიჩუმე — ღამის ნაბიჯებს
 თანდათან შეწყვეტს... და სძინავს

ყველას, —

დაბლიდან ყრუ ხმა გამომაღვადებს
 და მესმის შენი ხანგრძლივად ხველა.
 ალბათ, გაწუხებს ექვი ფარული,
 და სიყვარული იქცა დემონად,
 გაწუხებს, ძილში შემოპარული,
 სიბერის ექვი, — ის დევდემონა...
 არა!.. ბედს ისე არ დაჯერდები,
 სიბრძნით სიავს რომ არ მივაო,
 რა ვუყოთ, — სხვებზე ადრე

ვბრძნობთ,

რა ვუყოთ, — დიდხანს ცოცხლობს

იაგო?!
 1968

ბატონ აკაისთან შეხვედრის რამდენიმე თვის
 შემდეგ ისევ შეხვედი ბატონ ალიოს, მაგრამ
 ახლა სულ სხვა ეთარებაში. ალიომ დაღვრ-

მიღმა მიიხრა — ჩვენი აკაი ისევ ცუდადააო.
 თან წამიციტა მისი წერილიც, რომელიც ალიო-მ
 სათვის მიუწერია.

„ჩემო ალიო!

რამდენიმეჯერ გადავიკითხე ჩემდამი მოძღ-
 ნილი ლექსი „მეზობლები“. გადავიკითხე და
 გულში რაღაც ჩამწყდა, შეეწუხდი. ვამახსენდა
 ჩვენი ახალგაზრდობა: წარმატებები, შეხვედრე-
 ბი კრემლში, სტალინთან. როგორ განვიცდიდით
 და გვიიაროდა ერთმანეთის წინსვლა, ახლა კა...
 იცი, ოა ვითხრა: რამდენი სითბოცა შენს ლექს-
 ში ხედაობი, იმდენი წუხილია. შექმსის, ეს
 წუხილი შენიცაა, ჩემიც... ოტელობა დროს არ
 შექმფიოისო, ამბობ. მართალი ხარ. რა დროს
 ოტელობა! რა ვუყოთ — სხვებზე ადრე ვებრ-
 დებთ, რა ვუყოთ — დიდხანს ცოცხლობს
 იაგო?“ ეს სტრიქონები არ მაძინებდა. დიდი
 სისოხება ძივ, ჳეო არ თქმული ჳეძმარტივიაა,
 თავს ვხრი შეხი დიდი პოეზიის წინაშე, ჩემო
 ალიო. ჳახმრთელობა ძღლატობს, თორემ ამო-
 ვიდოდი და შეძლზე გაკოცებდი. ვავიგე, შე-
 აყვდააა გიწყობეს ხორვაში. იათვალე, ჳეც შეყ-
 თააა ვარ სულთაა და გულით. ხათლად მასოვს
 უასი წელს შეხი საიუთილო საღაძო ოაუოის
 თეატრითი. ჳეაძაყევაა, რომ იმ გოაიდოთული
 სუა...ლეს ორგანიზატორი ჳე ვიყავი. ოაძღვი
 ხალსა იყო, ოაძღვი თაიგული, ოაძღვი სითო
 და სახაოული, ეპ, დროით, დროსა... არ ჳაძმინ-
 დე, იაგოეიი შეხი ვეაოთეს დაგაკლებეს, კიდევ
 სოავლ იუიილეა თოესწრები, ავი ხალს
 უყვაროარ, ხალხი კი უყვდავია.

შენი აკაკი ხორავა 1968.“

ერთხელ ბატონი ალიო საექსკურსიოდ ვა-
 ნიაკყევა კახეთში. ჩვენთან იყვიეს შისი ვაეო,
 ოთალი და ფილიშვილეი. ჩვეს სარშოლტს ოა-
 ყევიბოდენ თბლისის 102 საშუალო სკოლის
 მააყაელეძლებიც... საინტერესო იყო ალიოს
 გამოიეა თელავში. დიდი პატივით დახვდაეს
 ძტკოვაა პოეტს — საიელდახლოდ მოწყობილ
 სუფოაზე ეხაზეობდნეს ეხაძერი კახლეი.

ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო იმ საყდიარწერო
 დღის წინაღვე, ჩვეთან შემოიარა რედაქციაში
 („საქართველოს ბუხეზა“), დაჯდა, ისაუბრა, ამის
 შემდეგ ცოცხალი ალიო აღარ მინახავს.

საი დღის შემდეგ, ღამის პირველის ნახე-
 ვარზე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან
 ვლადიმერ თორღუამ დამირეკა ალიო გარ-
 დაიცვალაო. ამ მოულოდნელმა ამბავმა თავზარ
 დასცა. საქმემ მოითხოვა და ეს სამწუხარო ამ-
 ბავი ტელეფონით ვაცნობე აკად. გ. ჳიბლაძეს-
 ვი, ალიო არა გყვავს, — შეწუხდა ბატონი
 გიორგი. იგი დადად აფასებდა ალიოს, ბატონი
 გიორგის დიდი პატივისცემის გამომხატველი
 სიტყეები მოვისმინე ალიოს დაბადების სამოც-
 დაათი წლისთევისადმი მიძღვნილ საღაძოზე.

ალ. ყაზბეგის ერთი ლექსის ნამდვილი აღკვეთა

ვიზი ჯაოჭვილი

ჩვენი სასიქადლო ბელეტრისტის ალ. ყაზბეგის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით განხორციელებულ საიუბილეო აკადემიური გამოცემის, თხზულებათა ხუთტომეულის მესამე ტომში (თბილისი, 1949 წ.) მოთავსებული ლექსებიდან დიდი ხანია ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი ლექსი — „ქენინა ტასოს“ (გვ. 217) და „ტასიას“ (გვ. 220).

ზემოთ დასახელებული გამოცემის ყველა ტომს დართული აქვს ცნობილი ქართული მკვლევარის სოლომონ ყუბანიშვილის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე შედგენილი კომენტარები, რომელიც ნათელს ჰხდის ბევრ საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურულ ლაბირინთს.

პატივცემული მკვლევარი კომენტარებში ორივე ლექსის ადრესატად გამოჩენილ ქართველ მსახიობ ქალს ტასო ვასილის ასულ აბაშიძეს ასახელებს. ეს ლექსები, როგორც გარეგნული ნიშნებით, ისე შინაარსით საგრძობლად განირჩევა ერთმანეთისაგან, რამაც ეჭვი აღგვიძრა ადრესატთა იდენტურობაში. მოვიძიეთ რა ზოგიერთი ცნობა აღნიშნული საკითხის ირგვლივ, გესურს დიდი მოკმალებით ჩვენი აზრი გავუზიაროთ, როგორც პატივცემულ მკვლევარს ისე დაინტერესებულ მკითხველს.

სწორია ს. ყუბანიშვილი—ლექსი „ქენინა ტასოს“ ალ. ყაზბეგმა მართლაც ტასო აბაშიძეს მიუძღვნა. ალ. ყაზბეგი, გარდა ამისა, რომ ტასოს მშობლების — მკეთ საფაროვასა და ვასო აბაშიძის უახლოესი მეგობარი იყო, ტასოს ნათლიაც განხლდათ. მაგრამ მეორე ლექსი „ტასიას“ ტასო აბაშიძეს არ ეყუთვნის, იგი მიძღვნილია ანასტასია (ტასია) ქეთარაძე-გამყრელიძისადმი. ეს ლექსის შინაარსიდანაც ჩანს. ლექსი ექვსი სტრიქონისაგან შედგება და ექსპრომტის ხასიათისაა. აი ეს ლექსიცი:

ტ ა ს ი ა ს

კიდევ მსურს, კიდევ დავცალო
კახურის ღვინით თახია,
მის სადღეგრძელოდ, რომელიც
ვარდი ედემის ფასია,
ყველა მიხვდება ვინც არის,
ყვსით აღსავსე ტასია.

ვინ იყო ანასტასია ქეთარაძე და რა ურთიერთობა ჰქონდა მასთან ალ. ყაზბეგს?

ანასტასია იყო შვილი გამოჩენილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის დის ლიზა ერისთავისა და თელავის მახრის უფროსის ანტონ ქეთარაძისა და მსახიობ დავით აყ-

ურელის (გამყრელიძე) მეუღლე. ანტონ ქეთარაძისა და გამყრელიძის ოჯახებთან ალ. ყაზბეგს დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

თელავის ჩახლობლად, სოფ. აწყურში ძმები მსახიობები ვიქტორ და დავით გამყრელიძეები (დავითი აწყურელის ფსევდონიმი არის ცნობილი), თელავში სტუმრად ჩასულ ალ. ყაზბეგს სულიერი სიმშვიდისა და დასვენების ყოველგვარ პირობებს უქმნიდნენ. დავით აწყურელის შვილმა, თელავის თეატრის ძველმა სცენისმოყვარემ ლიზა გამყრელიძემ გვიამბო, რომ ძმები გამყრელიძეები მწერალს განსაკუთრებული პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ, მისთვის გამოყოფილი ჰქონიათ ცალკე ოთახი, თეატრში მიჰყავდათ და მოჰყავდათ საოჯახო ეტლით. მანვე გვიამბო მშობლებისაგან მრავალჯერ გაგონილი საინტერესო ამბავი: დავითისათვის ანასტასია თითონ ყაზბეგს შეურჩევია საცოლედ და „მაჰანკლობაც“ თვითვე უქსრია. ეს ექსპრომტიც („ტასიას“) ალ. ყაზბეგს ტასია ქეთარაძისათვის მიუძღვნია. მას, თურმე, ხშირად კითხულობდა ავტორი გამყრელიძეების ოჯახში სტუმრობისას. შეუძლებელია შვილი სცდებოდეს საყვარელი დედის შესახებ ოჯახში, მშობლებისაგან მოსმენილ ამბის გადმოცემაში.

ანასტასია თავისი დროისათვის წარმოსადგევი შესახედაობისა და გონიერებით განთქმული ქალი ყოფილა. ბალ-მასკარადებზე თურმე საქორწინო ვაჟები საჩუქრებით ხელდასშევენბულნი რიგში დგებოდნენ მასთან საცეკვაოდ. ტასიას სილამაზეს ალ. ყაზბეგიც აღნიშნავს თავის ექსპრომტში — „მის სადღეგრძელოდ, რომელიც ვარდი ედემის ფასია, ყველა მიხვდება ვინც არის ეშხით აღსავსე ტასიას“. ვინც ტასო აბაშიძეს პირადად მოსწრებია, დამეთანხმება, რომ ასეთი ეპიტეტებით შემკული ლექსის ადრესატად იგი არ გამოდგებოდა, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ რომ, როცა ეს ლექსი დაიწერა იმ დროისათვის ტასო აბაშიძე მცირეწლოვანი ბავშვი იყო. გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ ტასო აბაშიძეს ტასიას არ უწოდებდნენ. ეს არც თვით ალ. ყაზბეგს ეშლება, მისდამი მიძღვნილი ლექსი ასე დაასათურა: „ქენინა ტასოს“.

ვფიქრობთ, ალ. ყაზბეგის თხზულებათა შემდგომი გამოცემისას ჩვენი შენიშვნა გათვალისწინებული იქნება.



ჩემი არქივიდან

პარლო კალანდიაძე

ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის ოთხი ათეული წლის მანძილზე ხშირად ჰომიოპათიას ოსტე გროსშაშვილისათვის გამოუთქვა ამა თუ იმ საკითხზე თავისი მოსაზრება. საქართველოს დემეშოთა სააგენტოს დირექტორის მოადგილე უფონისას მას ვთხოვე კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად დაეწერა ეს წერილი. მაგრამ რაჟი პოეტს წერილის მოტანა დაუგვიანდა, ის ველარ დიხეჭედა და დედანი ჩემს არქივს შემორჩა.

ვეფიქრობთ, სასიქადულო პოეტის ამ სტრიქონებს დღესაც არ დაუკარგავთ წინშეწელობა და ცხოველყოფელობა.

ქართველ-სომეხთა კულტურული ურთიერთობისათვის

ქართველ და სომეხი ხალხების მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ამ ორი ერის ბედობლილი ლედამ ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული. ვარეშე დამპყრობელთა შემოსევის დროს არაერთხელ გაუწოდებია ქართველ ხალხს დახმარების ხელი სომეხი ხალხისათვის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ასევე სომეხები განსაცდელის ემს წხარში უდგანან ჰეზობელ ქართველებს და საქმით განამტკიცებდნენ მათთან მეგობრობას... ამ ისტორიული მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ მე-19 საუკუნის მოღვაწენი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რადიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, დრამატურგი სუნდუქიანი, პოეტი ოვანეს თუმანიანი, მხატვარი ბაშინჯალიანი და სხვ.

ძველად, ცარიზმის კლანჭებში მგმინავი ერისათვის თავისუფალი სიტყვის სათქმელად არსებობდა თეატრი. აქ იდგებოდა ისეთი პიესები, სადაც სამშობლოსადმი სიყვარული უფრო ნათლად გამოკრთოდა (გავიხსენოთ „ლალი“, „სამშობლო“, „და-მამა“, „მტარვლი“ და სხვ). ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდა გრიგოლ ჩიშიშვიანი, გედეონ მირალიანი, მელიქიანი და სხვ. ხოლო სომეხურ წარმოდგენებში გამოდიოდნენ ეპიზოდურ როლებში — ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე, ადამიძე და სხვ. ძველი ისტორიული საბუთები ინახავენ იმის ცნობას, რომ ჩვენს სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელს უთამაშვინა ქართულად სუნდუქიანის პიესა „ქიდევე ერთ მსხვერპლში“ ვიორგის როლი.

„დაე სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში
რომ მოძმე იყონ ერთი-მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში“.

(აკაკი)

საბჭოთა ხელისუფლების დროს ეს ძმობა უფრო განმტკიცდა. რუსთაველის თეატრი ამ-

ჟამად ანსახიერებს სომეხი დრამატურგის სუნდუქიანის პიესას („პეპო“), ერევნის ოპერის თეატრში იდგმება „ქეთო და კოტეს“ სომეხური თარგმანი. გაფართოვდა გამოცემლობის საქმეც — სომეხურ ენაზე გამოდის თანამედროვე ქართველი წერლების ნაწარმოებნი, ჩვენი სახელგამი ბეჭდავს ქართულ ენაზე ოვანეს თუმანიანის, ავეტიქ ისაკიანის, შირვანზადეს და ახალგაზრდა მწერლების ნაწერებს. სომეხ-ქართველ მოღვაწეებს ურყევად სჯეროდთ, რომ თუ ძველ დროში შეუძლებელი იყო ნამდვილი სრული თავისუფლება, დადგებოდა დრო როცა ეს ორი ერი შექმნიდა თავისუფალ სამშობლოს, დაფასდებოდა შრომა და პატიოსნება, სრული ძალით გაიფურჩქნებოდა ერის მატერიალური და სულიერი კულტურა, ეს ლამაზი და კეთილშობილი ოცნება ჩვენი წინაპრებისა გაამართლდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოგვანიჭა თავისუფალი სამშობლო — როგორც ქართველებს, ისე სომეხს ერს. „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ, — ამბობს ამხანავი სტალინი, — მოუტანა სომეხთს მშვიდობა და ეროვნული განახლების შესაძლებლობა“.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ლენინის ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების შედეგად ამიერკავკასიის ხალხებმა უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს შეგობრობა ვადაიქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მძლავრი აღორძინების საფუძველად.

ჩვენი ვალია, საბჭოთა კულტურის შემოქმედი ძალების წმინდა და სააატო ვალია, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს მოვამაროთ მთელი ჩვენი ძალისხმევა, ცოდნა, ნიჭი და უნარი, რადგან ეს მეგობრობა ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და პოლიტიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მთავარი ბურჯი და დასაყრდენია.

8/XII-1952 წ.

ი. გრიშაშვილი

მეგობრის განსენება

ლევან მირცხულავა

თეატრის მკრთალად განათებულ ვესტიბულში მსახიობები მგლოვიარე ჭირისულფლოვიით ისხდნენ. ყველა სდუმდა, ხმას არავინ იღებდა. გუშინ სწორედ აქ შევხვდი, აქ, სადაც ახლა ვდგავარ, გატაცებით ჰყვებოდა რალაცას, წინა ღამით კი რეპეტიციის დამთავრების შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში უნდა წავსულიყავი, ქუჩაში გამოვედი, მისი ხმა მომესმა — სად მიდიხარო?! მეტი მის მანქანაში ჩავსხედით და ელბაქიდის დაღმართით დავემგით. თეატრთან ნაადრევად მომიხდა მისვლა, სპექტაკლი ჯერ არ დამთავრებულიყო. მანქანიდან ჩამოსვლა დაეპირე — დაიცა! ვილაპარაკოთ, არსად არ მეჩქარებათ. კარვა ხანს ვისაუბრეთ, მერე თავისი გზით წავიდა, მე კი თეატრთან დავრჩი. მკრთალად განათებულ ვესტიბულში ვილაპარაკებდი, არც მახსოვს რაზე ლაპარაკობდა. გამოვედი თეატრიდან და კალინინის ქუჩისაკენ წავიდი, სადაც ის ცხოვრობდა. არა ერთხელ ვყოფილვარ მასთან სახლში, სამგალითო მასპინძელი იყო. მამაჩემს ვეპაძავო, იტყოდა ხოლმე. ზაფხულში ძირს ქვის იატაკზე დამსხდრებასაც დაგვიღვივა ლული.

ქუჩას აუჩქარებლად მიყვებოდი, ჩემს თვალწინ კინო-კადრებით ენაცვლებოდნენ ერთი-მეორეს გარდასულ დღეთა უკვე გაფერმკრთალებული სურათები. ჯერ პიონერთა სასახლე და სპექტაკლი „ციხფერი და ვარდისფერი“ აღმიდგა თვალწინ. მაშინ გავიცანი გურამ გოგავა პირველად, ეს იყო ამ ოცი წლის წინათ. მერე ინსტიტუტში გატარებული დღეები, ბოლოს სოხუმის თეატრის ქართული დასი, ყველა მისი ამხანაგი და მეგობარი. ხშირად ვიგონებდით სოხუმში გატარებულ პერიოდს — ზაფხულის თაყარა მზეს და ზამთრის იშვიათ, მაგრამ უზრუნველ და ბედნიერ დროსტარებასაც. მაშინ ყოველი ჩვენგანი ერთნაირად ბედნიერი იყო, რადგან ყოველ ჩვენგანს ერთი მთავარი მიზანი ამოძრავებდა — დაოსტატება, რაც შეიძლება მეტი გამოცდილებისა და ცოდნის დაუფლება. ერთი

საერთო მისწრაფება და ახალგაზრდული რწმენა განუმეორებელი ძალითა და სიძლიერით განამტკიცებდა ჩვენს შორის ურთიერთ ყურადღებასა და ჭეშმარიტ სიყვარულს. ეგზიუბერი ამბობდა: „სიყვარული არ ნიშნავს ერთმანეთის თვალეში ცქერას, სიყვარული ნიშნავს, რომ ადამიანებმა ერთი მიმართულებით იცქირონ. მეგობრები არიან მხოლოდ ისინი, ვინც ალბინისტიკით ხელოვნურად დაბუნნი იპყრობენ ერთსა და იმავე მწვერვალს“.

გურამ გოგავამ თავის თანატოლებთან ერთად პირნათლად აიარა „მაღალი ხელოვნების“ მწვერვალებისაკენ მიმავალ ვიწრო გზებსა და ციკაბო ბლიკებზე, და სწორედ მაშინ, როცა ფართო სარბიელზე გამოვიდა, როგორც კარგად მომზადებული და გამოცდილებით აღჭურვილი მებრძოლი, რათა მისი ოცნების მწვერვლებს უშუალო დაპყრობა დაეწყოს, სწორედ მაშინ უშუხთლა ბედმა და უღმობელმა ბედისწერამ სამარადისოდ ჩახერგა ქვებითა და ლოდებით მის წინ საგალი გზები, მოსწყვიტა იგი თანამგზავრებს.

როდესაც ბინიდან გამოვასვენეთ მუსიკა განსაკუთრებული გლოვის ძალით აქედრდა და გულში ჩამწვდომ სამგლოვიარო განწყობილებას ქმნიდა.

გურამი სხვეთსავან განსხვავებით განსაკუთრებული ინტერესით იყო გამსჭვალული ყოველგვარი სარიტუალო წეს-ჩვეულების მიმართ, მის ირგვლივ უმთავრესად ენით გამოუთქმელი და საიდუმლოებით მოსილი ატმოსფერო სუფევდა. ეს წუთები კიდევ ერთხელ მოგვაგონებდნენ აქამდე ჩვენთვის ამოუცნობი მისი ტრაგიკული წინათგრძნობის იდუმალებას.

სასაფლაოდან რომ ვბრუნდებოდით, აცივდა. შვიდი თებერვლის სუსხიანი საღამო მძიმე ლოდით აწვებოდა სულს და გულს. ტალახიანი აღმართი ამოვიარე. შევდექი და უკან მოვიხედე, რამდენიმე ახალგაზრდა კაცი მოდიოდა ჩემს უკან, მიდიოდნენ ჩუმად, არავინ იღებდა ხმას. იდუმალებით მოსილ სასაფლაოზე

მძიმე და ნოტიო ნისლი წვებოდა, მარტობის შემზარავი ელფერი ელო იქაურობას. ის კი ჩემს წინაშე იდგა აქ, სასაფლაოს გამოღმა, ზუსტად ისეთივე მხიარული და სიცოცხლით აღსავსე მწყემსი ბიჭის მაიკლ დარას ტანსაცმელში გამოწყობილი. ყოველ ჩვენთაგანს განსაკუთრებით ესაზიარებოდა ის. იგი ერთდროულად ძლიერიც იყო და ზედმეტიც ნიშნით სათნოც. იწყობდა მსმენელს თავისი წარმტაცი საუბრით, უფრო ხშირად

კი სდუმდა ღრმა ფიქრებში წასული, მას საოცრად შეეძლო, ასეთ ხასიათთან სრულიად საწინააღმდეგო მიდრეკილების გამოვლენაც. ნებისმიერ თამაშში ყმაწვილური გატაცებით ჩაებმებოდა ხოლმე და უსაზღვრო თავდავიწყებას ეძლეოდა.

მთელი დღე თან დამყვებოდა მუსიკის სამგლოვიარო ყრუ ხმა და გამუდმებით შთამაგონებდა, რომ „ძველ მეგობარს სახელდახელოდ ვერ მოიპოვებ“!

ს ი ზ მ ა რ ი

გურამ გოგავას

პივი პივინაძე

სალუდებან ამოვედით ყაყანით, დიდ სიხარულს გულში ვეღარ ვიტყვიდი. ხეზე ისხდნენ მოკლურტულე ჩიტები, ცა გვეჩვენა უსასრულოდ მაღალი. თითქოს გაჰქრა ის ბოროტი ზამთარი უშენოდ რომ მიგვატოვა ბიჭები... შენც ჩვენს შორის იყავ, გურამ, ჩამდგარი შენებურად, უხმოდ მოაბიჯებდი. ისევ ისე აგეწია საყელო და ღიმილით აბოლებდი სიგარეტს... სიმღერა რომ ვჭეკეთ სახელდახელოდ გაიხარე, ჰოი, რას გაიხარე?

თეატრის წინ ჩავიარეთ, უეცრად ახლად გაკრულ აფიშასთან შევჩერდით, ზედ როლები და გვარები ეწერა, ყველა... თითქმის ყველა იყო შენს მეტი... უცებ რაღაც უსიამო ვიგრძენით, ჭადრის ხეზე ხმა გაკმინდეს ჩიტებმაც... და ვერავინ მოახერხა იმდენი, რამე გვეთქვა შენთვის დასამშვიდებლად. შენ კი ისე, არ გწყენია ვითომდა, ხუმრობით თქვი: — აღარავის ვჭირდები! მოტრიალდი, წახველ... მხრები

გიტრთოდა, მოგყვებოდნენ მოწყენილი ჩიტები...

უ ა ზ ი გ ო ქ ი ლ ი

ნელი ჩაჩავა

„ბახსოვდეთ, მე იქ კი არა ვარ, არამედ ისევ თქვენთან ვარ, თქვენს ხსოვნაში, თქვენს სიყვარულში, ყოველივე კარგში, რასაც თქვენ გავცეთებთ. პირადი არსებობა შეწყდება და მე შევეუერთდები ბუნებას, ჩემი სამშობლოს მზეს, მუსიკას, სილამაზეს, სიკეთეს, აზროვნებას. აქ შექებეთ და არა აქ. ერთ მტკაველ მიწაზე“...

ამ გულში ჩამწვდომ სიტყვებს ვითხულობთ მოღვაწე ქალის ფატი გაბრიელის ასულ გოკიელის უქანასკნელ ხელნაწერში. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ეს იდეალური მეუღლე, თავდადებული დედა, მეგობარი, მოქალაქე, უანგარო მოღვაწე, პედაგოგი, — არასოდეს დაავიწყდება იგი, მისი მომხიბლავი გარეგნობა, სათნოება.

ფატი გოკიელი დიბადა ქუთაისში, ცნობილი ექიმის გაბრიელ გოკიელის ოჯახში. იგი იზრდებოდა მშობლების ალერსით გალავებული. მას წილად ხვდა ჯერ კიდევ ბავშვს ენახა და გაეცნო

აკაკი წერეთელი, კიტა აბაშიძე, ვალერიან გუნია, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი და სხვები. ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ გოკიელების ოჯახისა და პატარა ფატის ყურადღებასა და ალერსს არ აკლებდნენ. გოკიელების ოჯახთან ვანსაკუთრებით დაახლოვებული იყო დიდი აკაკი. პატარა ფატის ათიან წლებში გადღებული აქვს სურათი დიდ პოეტთან. ეს სურათი თავის დროზე დაიბეჭდა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში.

ქუშმარატივ ბედნიერი იყო ფატი ბავშვობიდანვე. მამა თავის ქალიშვილს ყოველმხრივად ანებიერებდა და კარგ აღზრდას აძლევდა, შეასწავლა უცხო ენები, მუსიკა. ბავშვიც თავიდანვე დიდი ინტერესით დაეწაფა სწავლას, წმინდანის სსწავლებელში ერთ-ერთ წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა. ახალგაზრდა ფატი გამოირჩეოდა განვითარებით, ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის კარგი

ცოდნით. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, ამავე დროს პარალელურად სწავლობდა ორიდიულ და ეკონომიურ ფაკულტეტებზე. 1926 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და ამავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში სამოქალაქო სამართლის განხრით იგი გამუდმებით იღრმავებდა ცოდნას.

ფატი გოციელი ყველაზე და ყოველთვის მაგალითს იძლეოდა დაუთალავე შრომასას, მეგობრობასას, კეთილი აღმზრდელისას. სადაც კი უმუშავებდა — ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სახ. უნივერსიტეტში, ა.უ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დრამატულ სტუდიაში, — ყველაზე კეთილად იხსენიებენ, დიდად აფასებენ მის ერუდიციასა და ადამიანებთან ურთიერთობაში იშვიათ სიფაქიზეს. ინსტიტუტებში მოღვაწე კოლეგები ღრმა პატივისცემით იგონებენ და დიდ აღტაცებას გამოსთქვამენ ფატის განსწავლულობაზე, მოხიბლული არიან მისი დარბაისლური და შინაარსიანი, დამაჯერებელი საუბრის უნარით.

ფატი გოციელი მიღწეულით არასოდეს არ გამოაფილდებოდა, იგი ბევრს შრომობდა, დიდა ოჯახის საქმით გადატვირთული, შოულობდა დროს ნაყოფიერი შემოქმედებითი და სამეცნიერ-მოღვაწეობისათვის. მან დიდი წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, მისმა ნაშრომმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დამისახურა. ამასთან ფატი გოციელის უამრავი ლიტერატურული ეტიუდი დარჩა გამოუქვეყნებელი.

სიცოცხლეში საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიიდან გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა „შექსიარი და ბელისკი“, „შემინგუის შემოქმედებითი გზა“, „ბელისკი და დასავლეთის რომანტიზმი“. „ქართული ლიტერატურული კრიტიკა და ფრანგული რომანტიზმი“, „ლოპე დე ვეგას ცხოვ-



რება და შემოქმედება“, „დაუბღელეს პოლიტიკური სონატები“ და სხვა.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო ფატი გოციელის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან ქართულად თარგმნა მოლიერის „ძალად ექიმი“, მ. გორკის „მტრები“, ა. ოსტროვსკის „ტალანტები და თაყვანისმცემლები“ ე. ტრაილეს რომანი „ვარდები ნისიად“, სტ. ცვაიგის „ლეგენდა მესამე მტრედზე“. სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა გრეკელი მონოგრაფია — „ფრანგული განმანათლებლური მწერლობა და ქართული ლიტერატურა“.

ფრიად მნიშვნელოვანია ფატი გოციელის ღვაწლი. მადლიერი საზოგადოება მუდამ კეთილად მოიგონებს მის სახელს.

ელენე შაფათაძე

თეატრალურ მოღვაწეთა რიგებს უდროოდ გამოაქლდა ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე და სიცოცხლეს მოწყურებული ნიჭიერი და დაკვირვებული თეატრმოდენე ელენე (ტატა) ივანეს ასული შაფათაძე. მისი სახით დაეკარგეთ ერუდირებული და თავმდაბალი მოღვაწე, რომელიც მთელ ცოდნასა და შესაძლებლობას ქართული

თეატრის განვითარებისა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ახმარდა.

ელენე შაფათაძე დაიბადა 1916 წელს. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, 1937 წელს აქვე დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო „მეტეხის“ მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად.

ხოლო შემდეგ სამუშაოდ გადავიდა თბილისის სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში 1938 წ. ამავე წელს, სამსახურის პარალელურად, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, 1944 წლიდან 1949 წლამდე კი თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა.

ფართო ზოგადმა განათლებამ, ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურისა და კულტურის კარგმა ცოდნამ ელენე შაფათაიას ხელი შეუწყო ღრმად დაუფლებოდა თეატრის ისტორიასა და თეორიას. თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მან მასწავლებლთა და ხელმძღვანელთა ყურადღება სიქქია სამეცნიერო-კვლევითი უნარითა და პედაგოგიური მოღვაწეობისადმი ინტერესით. ამიტომ ინსტიტუტის წარმატებით დათავრებისთანავე იგი იქვე იქნა დატოვებული პედაგოგად ელენე შაფათაია უკანასკნელ დრომდე თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორიას. 1960 წლიდან იგი მუშაობდა აგრეთვე თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. აქ კითხულობდა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის კურსს. ორივე ინსტიტუტში ელენე შაფათაია პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტთა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. საგნის კარგ ცოდნასთან ერთად იგი ვადაცემის იშვიათ უნარს აქვდა, მისი ლექციები შინაარსიანი და მიმზიდველი იყო. იგი ახალგაზრდებისადმი ფაქიზი დამოკიდებულებითა და მზრუნველობითაც გამოირჩეოდა, ყოველნაირად ეხმარებოდა სტუდენტებს ღრმად ჩასწვლამოდნენ საგანს და საფუძვლიანად შეესწავლათ.

საქმით დამსახურება მიუძღვის ელენე შაფათაიას, როგორც თეატრალურ მკვლევარსა და კრიტიკოსს. მას რუსულ ენაზე გამოქვეყნებული აქვს ორი ნაშრომი ა. გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრზე, სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა წერილებს რუსულ-ქართული თეატრალური ურთიერთობის საკითხებზე, ქართული თეატრის წარსულზე, ახალ სპექტაკლებზე, სცენის ცალკეულ ოსტატებზე მისი თეატრალური რეცენზიები მუდამ ობიექტურობით



თა და პრინციპულობით იქცევდნენ ყურადღებას.

არ შეიძლება აქვე არ გაიხსენოთ ელენე შაფათაიას მოღვაწეობა თბილისის ტელესტუდიოში. მიუხედავად ინსტიტუტებში მუშაობით გადატვირთვისა მიინც პოულობდა დროს ტელეეკრანი სინტერესო გადაცემებით გაემდიდრებინა, ამ დიდ საქმეშიც თავისი წვლილი შეიტანა.

ელენე შაფათაია აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ნაყოფიერად მუშაობდა საზოგადოება „ცოდნის“ ხაზითაც.

ელენე შაფათაია პირად ცხოვრებაში სამაგალითო ვახლდათ, გამოირჩეოდა სისამეტიკითა და თავმდაბლობით, მისი ურთიერთობა მეგობრებთან მუდამ წმინდა და უანგარო იყო.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, თავისი ხალხის წინაშე პირნათელი. მის სოსუნას დიდხანს შემოინახავს ჩვენი თეატრალური საზოგადოებრიობა.

საქართველოს თეატრალური
საზოგადოების განგეოზა

გენო ქელბაქიანი

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი დრამატურგი გენო ლეონტის ძე ქელბაქიანი. იგი დაიბადა ქუ-

თაისში 1910 წლის 15 თებერვალს. თბილისში საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გ. ქელბაქიანმა სწავლა განაგრძო თბილისის სა-



ხელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

16 წლის ყმაწვილმა დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. გ. ქელბაġიანის ნარკვევები, ფელეტონები და იუმორისტული მოთხრობები ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. 1942 წელს მან დაწერა პირველი პიესა „სევედიანი რომანი“, რომელიც დაიდგა სანკულტურის თეატრში. ამის შემდეგ გ. ქელბაġიანი აქტიურად იწყებს მუშაობას დრამატურგიაში. მეორე პიესა „შესაფერი ჯიღო“ დაიდგა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. დიდი წარმატება ხვდა წილად გ. ქელბაġიანის პიესას „ახალგაზრდა მასწავლებელი“, რომელიც წარმოადგინა რუსთაველის სახელობის თეატრმა. ამ პიესამ ერთბაშად გაუთქვა სახელი გ. ქელბაġიანს, როგორც ნიჭიერ დრამატურგს, ეს პიესა წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა რესპუბლიკის მრავალ თეატრში. იგი ითარგმნა რუსულადაც და ჩინებულად დადგა მოსკოვის პუშკინის სახელობის თეატრმა. გაზეთმა „პრავდაში“ მაღალი შეფასება მისცა გ. ქელბაġიანის ამ პიესას, აღიარა რა ის „დიდი საზოგადოებრივი ქლერადობის ნაწარმოებად“, „ახალგაზრდა მასწავლებელი“ ცალკე წიგნად გამოსცა მოსკოვის გამომცემლობა „ხელოვნებაში“, გამომცემლობა „მოლოდიაი გვარდიაში“ კი ეს პიესა შეიტანა პიესების კრებულში „მშობელ მხარეში“.

გ. ქელბაġიანის ორმა პიესამ „გურაჲის შეცდომა“ და „ჩვენი პირადი საქმე“ დაიმსახურა რესპუბლიკური კონკურსის პრემიები.

წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ქუთაისის, ფოთის, თელავისა და ჩვენი რეს-

პუბლიკის სხვა ბევრი ქალაქის თეატრებში. გ. ქელბაġიანის პიესები: „ჩმა გულისა“, „გახანეს სიყვარულია“, „ოქმულება დიად მეგობრობაზე“ და მისი მრავალი ერთაქტიანი პიესა.

გ. ქელბაġიანმა თავის პიესებში შექმნა მრავალი სინტერესო მხატვრული სახე ჩვენი თანამედროვე მშრომელი ადამიანისა. იგი დაუნდობლად ჰკიცხავდა ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ მანიკერ მხარეებს.

გ. ქელბაġიანი ავტორია ოცამდე პიესისა. ყველა ამ პიესაში დრამატურგი გულწრფელი და პრინციპული მოქალაქეობრივი პათოსით ეხებოდა ჩვენს აქტუალურ, თანამედროვე პრობლემებს. სულ ახლახან ცალკე წიგნად გამოვიდა გ. ქელბაġიანის პიესების კრებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გ. ქელბაġიანის ჟურნალისტური მოღვაწეობა, იგი წლების განმავლობაში სისტემატურად ბეჭდვდა ფელეტონებს ჟურნალ „ნიანგსა“ და სხვა ყვეოვლითი გაზეთების ფურცლებზე. ამ ფელეტონებში ის მოურიდებლად ამათრახებდა ყველასა და ყველაფერს, რაც კი ხელს უშლიდა ჩვენი მშრომელი ხალხის წინსვლას. ინტერესით მიიღო ქართველმა მკითხველმა გ. ქელბაġიანის იუმორისტული მოთხრობების კრებული „მოწყვენი ღრის საკითხავანი“.

გ. ქელბაġიანი ავტორია მრავალი პრინციპული წერილისა თეატრსა და დრამატურგიაზე.

თანამედროვე საბჭოთა დრამატული ნაწარმოებების შექმნისათვის გამოცხადებულ კონკურსებზე სხვადასხვა დროს გ. ქელბაġიანის ოთხმა პიესამ დაიმსახურა რესპუბლიკური პრემიები.

დიდი სიყვარულით დაწერა ამ ბოლო წლებში გენო ქელბაġიანმა მოგონებების წიგნი ტერენტო გრანდლზე „ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა“.

გენო ქელბაġიანი სიყვარულით სარგებლობდა მეგობარ მწერალთა წრეში, იგი იყო პრინციპული და პირუთენელი, პატიოსანი და თავმდაბალი ადამიანი. უდროოდ წავიდა ჩვენგან, მაგრამ გენო ქელბაġიანის ნაწარმოებები კვლავ დიდხანს გამოიწვევს მკითხველი საზოგადოების ინტერესს.

გენო ქელბაġიანის ნათელ ხსოვნას არასოდეს დაივიწყებენ მწერლები, მისი მაღლივი მკითხველები და თეატრის მოღვაწეები.

**საკამთველონ მწერალთა კავშირის
გამგეობა, საპარტველონ თეატრალური
საზოგადოების გამგეობა**

СО Д Е Р Ж А Н И Е

Пленум правления Театрального общества Грузии	3
День грузинского театра	3
Выставка театральных художников	5
Димитрий Алексидзе — Незабываемые встречи	6

У ТЕАТРАЛЬНОЙ АФИШИ РЕСПУБЛИКИ

Рубен Четит — Спектакль Цхинвальской осетинской труппы	9
Нана Кобешавидзе — «Баллада о второгоднике»	10
Джаба Иоселиани — «Секретарь райкома» на сцене Кутанеского театра «Обвинительное заключение» в телави	12
Участники спектакля в редакции газеты	13
Участники спектакля в редакции газеты	14
Закрытие выставки	15
Мурад Хиникадзе — Десять дней в Болгарии	16
200-й спектакль «Старинных водевилей»	19
Александр Ескин — Мейерхольд ставит кантату	20

НАШИ ЮБИЛЯРЫ

Гугули Бухникашвили — Михаил Чааурели актер и режиссер Грузинского Театра	22
Натела Арвеладзе — Саломэ Канчели	25
Арчил Давитиани — Покажи себе в деле	28
Вечер Гургена Джанибекияна	30

В НАРОДНЫХ ТЕАТРАХ

Кетеван Хуцишвили — Просмотр спектаклей народных театров Кахетии	31
Михаил Ярალი — Первые шаги	32
И. Тодуа — Добрая традиция продолжается	35
Георгий Маркозашвили — Встречи с Сесилией Такайшвили	37
Евгений Бартая — У двух больших художников	38
Гиви Джаошвили — Подлинный адресат одного из стихотворений Ал. Казбеги	40

НАШИ ПУБЛИКАЦИИ

Карло Каландадзе — Из моего архива	41
--	----

ПРОЩАНИЕ

Леван Мирцхулава — Памяти друга	42
Гиви Чичинадзе — Сон (стихотворение)	43
Нелли Чачава — Фати Гокпели	43
Елена Шапатава	44
Гено Келбакиани	45

ВЕСТНИК
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)

Тбилиси — 1974

№ 1 (77)

ფასი 25 კაპ.
Цена 25 коп.

ვადაეცა წარმოებას 21/II-74 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-74 წ.